ეროვ-პედაგოგიური და სალიტერ. ჟურნალი

ანათლება

(წელიწადი მეოთხე)

მარტი 1911 წ.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურო ჟურნალი

განათლება

(წელიწადი მეოთხე)

III მარტი 1911 წ.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან.
ნახევარი წლით . 2 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს ჟურნალი დაეთმობათ წლიურად ოკრ მანეთად

ცალკე ნომრის ფასი 30 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში . წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და „ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები . და ჟურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ. Дворянская Грузинская Гимназія. Л. Г. Боцвадзе.

ოჯახი და მისი დანიშნულება

ყოველი წული მშობელთა
მგზავსი მგზავსს ემზგავსებ[illegible]ან
დ. გურამიშვილი.

ხშირად, ძალიან ხშირად გაიგონებთ მშობლებისაგან სამდურავს სასწავლებელზე, როცა ყველანი ცხადად ხედავენ შვილების უხეირობას, უზნეო საქციელს, თავ-აშვებულს ცხოვრებას და გარყვნილების მორევში შეტოპვას. ახალთაობა ცხოვრების შვილია, მისი უზნეობა და ავ-კაცობა ცით მოხაბერს რასმე არ წარმოდგენს, თუ მას ამ არა სასურველ თვისებათა მაგალითები ოჯახში და ცხოვრებაში არ უნახავს, არ შეუთვისებია იგი, და ამის გამო არ ამცდარა ჭეშმარიტს და საიმედო გზას. ეხლანდელს სკოლას, რასაკვირველია, ბევრი ნაკლულოვანება აქვს, მაგრამ ცხადია ისიც, რომ სკოლა უძლურია იქ, სადაც ოჯახი და კერა გაცივებულია, სადაც ყოველს ბრალს სკოლასა სდებენ, მაშინაც კი, როცა ნამდვილად პირველი დამნაშავე ოჯახია და არა სკოლა.

ყველა მომწიფებულს ერს აქვს ცოტათ თუ ბევრად მტკიცედ მოწყობილი ოჯახური ყოფა-ცხოვრება, დამყარებული ეროვნულს ნიადაგზედ, რასაც ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს მოზარდ თაობის წესიერ აღზრდაში. ჩვენი მომავალი თაობის ბედი [illegible] ოჯახ[illegible] [illegible] [illegible] [

რად გადვიქციეთ, ის სახელი, ის დიდება, ის ოჯახი დავაქციეთ". თუ რამდენად სუსტია ჩვენი ოჯახი, როგორც კერა ბავშვის კანონიერ აღზრდისა, ეს ცხადია ჩვენი ცხოვრების ყველა მეთვალ ყურეთათვის და ამის გამოკვლევა არ შეადგენს ამ ჟამად ჩვენს მიზანს. უტყუარი ქეშმარიტებაა, რომ ბავშვის გონებრივსა და ზნეობრივს აღზრდაზედ უმთავრესი გავლენა ოჯახს აქვს, სადაც იგი დაიბადა და იზრდებოდა. აქედან ოჯახურს ცხოვრებას გავლენა აქვს ადამიანზე მთელს თავის სიცოცხლეში. ოჯახი დამყარებული უნდა იყვეს სიყვარულზედ; მისთვის თავდაპირველ საჭიროებას სიყვარულის ნიჭი შეადგენს. მაგრამ ყველას ვერ შესწევს ის სიყვარულის ძალა, რასაც ოჯახი მოითხოვს. არიან ისეთები, რომელთაც სიყვარულის გრძნობა თავის გარეშე არა სწამთ, მათ შეუძლიათ სხვა შეიყვარონ იმდენად, რამდენადაც ეს სხვა აკმაყოფილებს მათს სურვილებს, მოთხოვნილებას, ჟინს. ამისთანებს, რა თქმა უნდა, სიყვარული არ შეუძლიათ იმდენად, რასაც ოჯახური ცხოვრება მოითხოვს. ნამდვილი ქეშმარიტი ცოლ-ქმრული სიყვარული, რაც საჭიროა ოჯახასათვის, მოითხოვს სიყვარულის გაცემას და არა აღებას და მით უფრო მოთხოვნას. ქეშმარიტი სიყვარული გამოიწვევა არა ძალადობით, არა ვალდებულობით, არამედ ნება-ყოფლობით, სიხარულით. ქორწინების ბედნიერება სწორედ იმაში გამოიხატება, რომ კაცს ნება ეძლევა გააბედ იეროს მეორე, მოსიყვარულე ადამიან. ეს ძირითადი კანონი ოჯახის სიმტკიცისა დღეს ჩვენშიაც შერყეულია: ხშირად ცოლი ქმარს ატყუებს, ქმარი ცოლს და ორივე შვილებს, აქედან ცხადი თუ დაფარული ოჯახური დრამა და მისი შედეგები თავს იჩენენ მოზარდ თაობაში და რასაკვირველია, რომ ქართული ბრძნული თქმულება „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო" სრული ქეშმარიტებაა.

ურთიერთ შორისი დამოკიდებულება ცოლ-ქმარს შორის, გაჟღენთილი ქეშმარიტის სიყვარულით ჰქმნის ბავშვისათვის ოჯახობრივს ატმოსფერას. კარგს ოჯახში ბავშვი თავ-გამოდებული სიყვარულის წმინდა ჰაერსა სუნთქავს. თუ ბავშვი იმ დღიდან, როცა მან გონების თვალი გაახილა, ხედავს, რომ მამა უპირველეს ყოვლისა დედაზედ ჰფიქრობს, დედაც—მამაკაცზე, ორნივე კი შვილებზე, მაშინ საძირკველი წესიერის აღზრდისა უკვე ჩადგმულია ოჯახში. ბავშვი პატარაობიდანვე განიმსჭვალება იმ აზრით, რომ ცხოვრებაში ბედნიერება გამოიხატება სხვისი გაბედნიერებით. რამდენად დაშორებულია ამ იდეალს ჩვენი ოჯახობრივი ცხოვრება ცხადია ყველასათვის, ვინც დაკვირვებია ჩვენებურს ცხოვრებას, როგორც სოფლად, ისე ქალაქად.

სიტყვა „აღზრდა" ისე არ უნდა გვესმოდეს თითქოს ის იყოს ადამიანის მარტო ფიზიკური და ზნეობრივი მხარის განვითარების ხელოვნება. ამ ცნებაში „სწავლებაც" შედის ე. ი. გონებრივად განვითარება, ასე რომ ამ სამი პირობის—ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი მხარეთა კარგად წარმართვით შეიქმნება ნორმალური ადამიანი. „აღზრდაში რომ ვიგულისხმოთ მხოლოდ გრძნობათა და ხასიათის განვითარება, ეს ვიწრო შეხედულობა იქნებაო, ამბობს ბენეკე—აღზრდას სწავლებასთან ერთად აქვს სახეში—მიმღეობითი ნიჭის, დაკვირვების, მოქმედების. ესტეტიური შეგნების, მსჯელობის, გონება-მახვილობის და ბოლოს

სხეულის ძალის და სიმარდის განვითარებაო.

აღზრდის მიზანს სპენსერი ასე განმარტავს: „საზოგადო დანიშნულება, რომელსაც უერთდება სხვა ყველა დანიშნულებანი, იმაში მდგომარეობს, რომ კაცს შეეძლოს ყოველს შემთხვევაში და ყოველს გარემოებაში ანგარიში გაუწიოს და უხელმძღვანელოს თავისს მოქმედებას; რომ იცოდეს როგორ მოუაროს თავისს სხეულს, როგორ განავითაროს თავისი გონება, როგორ წაიყვანოს საქმეები, როგორ აღზარდოს ბავშვები, როგორ შეიქმნეს კარგი მოქალაქე, როგორ გამოიყენოს ყველა ის სიკეთე, რაც ბუნებას მიუნიჭებია ადამიანისათვის, როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ნიჭი, რომ მეტი სარგებლობა გვქონდეს ჩვენც და სხვებსაც,—ერთი სიტყვით როგორ უნდა იცხოვრო სრულის ცხოვრებით“.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი არ შეადგენს tabula rasa-ს, თეთრს ქაღალდს, რაც ზოგიერთებს ჰგონიათ და რომელზედაც შეიძლებოდეს ყველაფრის დაწერას, რაც გსურთ. აქ დიდი გავლენა აქვს მემკვიდრეობასაც. ეს საკმარისად დამტკიცებულია ძველ და აწინდელ მეცნიერთა მიერ. მართლაც აღმზრდელს ხშირად საქმე აქვს არა მარტო ბავშვის მიერ შეძენილს ცუდს თვისებებთან და მიდრეკილებასთან, არამედ მემკვიდრეობით გადასულს თვისებებთანაც, რაც ატავიზმის ძალით ხშირად მოგვაგონებს ჩვენი დროის ხალხის ნათესაობას ველურებთან. ამ ატავისტური თვისების განსაზღვრა, გარჩევა შეძენილისაგან და მათი ამოფხვრა, ან უკეთ რომ ვსთქვათ სასარგებლო თვისებად გარდაქმნა ახალი დანიშნულებაა სკოლისა. მაგრამ, რადგანაც ბავშვების შთაბეჭდილებანი, ჩვეულებანი და მიდრეკილებანი სტოვებენ ადამიანის მთელს სიცოცხლეში წაუშლელს კვალს, ამიტომ უფრო ბუნებრივი იქნება, რომ მშობლები ოჯახშივე შთაუნერგავდენ ბავშვებს კეთილს მიდრეკილებას და ამოფხვრიდნენ ცუდს ზნე-ჩვეულებას. უკვე კომენსკიდან დაწყებული ჩვენს დრომდის ჰეშმარიტებად არის აღიარებული, რომ აღზრდა ბავშვისა დაბადების დღიდანვე იწყება და მიტომაც მშობლები ხდებიან პირველი აღმზრდელები; სკოლა მხოლოდ განაგრძობს, აგვირგვინებს ოჯახის მიერ დაწყებულს საქმეს. რუსების ცნობილი პედაგოგი უშინსკი ამბობს: „მშობლები არიან თავიანთი შვილების აღმზრდელები, ისინი ჰყრიან პირველს თესლს მომავალი აღზრდის წარმატებისა თუ წარუმატებლობისას“.

რუსსო, იმის შესახებ რომ ოჯახში ბავშვებმა კარგი თვისებები უნდა შეიძინონ, ამბობს: „სიტყვა მოუმზადებლად არაფერს ნიშნავს. ვიდრე დასთესავდნენ, ნიადაგს უნდა მომზადება; თესლი სათნოებისა გვიან აღორძინდება; საჭიროა დიდი ხნის მომზადება, რომ ღრმად გაიდგას ფესვებიო“. გარდა ზნეობრივი თვისებისა ოჯახში ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გონებრივს განვითარებასაც. სპენსერის სიტყვით—„მშობლებმა ყოველგვარი ღონისძიება უნდა იხმარონ შვილების თვით-განვითარებისათვის, მუდამ უნდა აქეზებდენ საკუთარ გამოკვლევაში და საკუთარსავე დასკვნათა გამოყვანაში“.

ამ სახით ზნეობრივი და გონებრივი აღზრდის საძირკვლის ჩადგმა ბუნებრივი და პირდაპირი საქმეა ოჯახისა. როცა ნიადაგი საკმარისად არის მომზადებული, მაშინ ცოდნის შეძენაც, რასაც სკოლა აწვდის ბავშვს, ადვილია ამ უკანასკნე-

ლისათვის და სკოლაში შემოღებულს მარტივს წესებს და ზრდილობასაც, რაც საჭიროა ყველა განათლებული კაცისათვის ადვილად ითვისებს ბავშვი, თუ ოჯახშივე თავ-აშვებული, განებივრებული, ცუდი თვისებებით აღჭურვილი და გაუზნეურებული არ არის, რაც სამწუხაროდ ეშვიათს მოვლენას არ შეადგენს ჩვენს ცხოვრებაში. ხშირად სკოლაში შეხვდებით ისეთს ბავშვებს, რომელთაც ოჯახში შეძენილი თუ მემკვიდრეობით მიღებული ცუდი ზნე და ჩვეულება იმდენად მტკიცედ აქვსთ ძვალ რბილში გამჯდარი, რომ სკოლა სრულიად უძლური ხდება გაასწოროს იგი, ამიტომ სკოლა იძულებული ხდება ამ გვარი მოწაფე ისევ ოჯახს და საზოგადოებას მიუგდოს. მიზეზი ეგივე ოჯახია, მან თვისის უმეცრებით თავისი შვილი მსხვერპლად გახადა და საზოგადოებას მიუძღვნა მავნე წევრი.

ფრიად სიმპატიური შეხედულობაა და აუცილებელი საჭიროებაც არის, რომ სკოლასა და ოჯახს შორის მტკიცე კავშირი არსებობდეს. მაგრამ უსათუოდ საჭიროა ისიც, რომ ოჯახი, რომელსაც კი კავშირი აქვს სკოლასთან თავისი შვილის სახით, განმსჭვალული უნდა იყოს გონებრივი შრომის ღირსებით და მისი წარმომადგენელთა პატივისცემით, სკოლის საქმეებში ცხოველ მონაწილეობით. „ბავშვებისადმი ძლიერ დიდი სიყვარულია საჭირო, ამბობს უშინსკი, რომ სათითოოდ მათ შესახებ იფიქრო, და საზოგადოებასაც უფლება არ აქვს ასეთი სიყვარული მოსთხოვოს-ვისმეს, თუ თვითონ არ იღებს მონაწილეობას აღზრდის საქმეში. მაგრამ რაში უნდა ჩნდეს მშობლების მონაწილეობა? როცა მშობლები შვილებს აბარებენ სკოლაში, მათს ზნეობრივს მოვალეობას შეადგენს შვილების აღზრდაზედ თვალ-ყურის დაჭერა. მაგრამ აქ აუცილებლად საჭიროა, რომ მშობლებს ჰქონდეს სრული და ცხადი წარმოდგენილება იმის შესახებ, თუ რა უნდა მოსთხოვონ ერთის მხრით მასწავლებელს და მეორე მხრით თავიანთ შვილებს. მარტო თვალ-ყურის დაჭერა, თუ როგორი ნიშანი მიიღო ბავშვმა ამა თუ იმ საგანში, საკმარისი არ არის. ხშირად მშობლები სასწავლებელში მომხდარ ფაქტს, რაც მათს შვილებს შეეხება, სხვანაირად ხსნიან: ან უდიერად სჯიან თავიანთ შვილებს, რომელნიც შეიძლება სასჯელის ღირსნიც არ არიან. ან ხშირად თავიანთ შვილებს ისეთს აზრებს შთაავონებენ, რაც ეწინააღმდეგება ჭეშმარიტ-ზნეობრივს აღზრდას და შემდეგ თვით უკვირთ თუ შვილის აღზრდის საქმე რად მიდის აგრე ცუდად, ან რად მოაქვს მწარე ნაყოფი? ამაში ვინ არიან დამნაშავენი თუ არა მშობლები? პროფესიონალურ პედაგოგებზე არაფერს, მოგახსენებთ, მაგრამ ყველა დიდებულნი მეცნიერნი, ვისაც პედაგოგიური საკითხები ინტერესებდათ, ცხადად ამტკიცებდნენ, რომ ბავშვების ზნეობრივ აღზრდის ნაკლულევანებაში ბრალი მშობლებს უდევსთო. ცნობილი მეცნიერი რუსსო ამბობს: „მშობლები, თავის შვილების მეტის მეტად კადნიერებაში გათამამებით, აფუჭებენ ბუნებრივს დასაწყისს და შემდეგ თვითონვე უკვირსთ, რომ მღვრიეა ის ნაკადული, რომლის სათავე თვითონ გაატალახიანეს“. სპენსერი ამბობს: „როცა ჩვენ ვსჯელობთ ბავშვის ცუდი საქციელის შესახებ საბავშვო ოთახში, ან სასწავლებელში, ყველა ცოდვებს ბავშვს ვახვევთ თავზედ, ფიქრადაც არ მოგვდისთ მშობლები, რომელთაც წილი უდევთ შვილების ზნეობრივს დანაშაულობაში. ეს იმდენად

უსამართლოა, რომ ჩვენ ყოველის მხრივ ვაიცხავთ მშობლებს და ისინი ბევრს შემთხვევაში მიგვაჩნია ოჯახური უწესოების მიზეზად, რასაც შედეგად ბავშვების გაფუჭებას მიაწერენ". ფრანგების ცნობილი პედაგოგი ჟოლი პირ და პირ ამბობს: „მტკიცედ აღვიარებთ, რომ მშობლები აღმზდელების გავლენას უფრო ხელს უშლიან, ვიდრე უკანასკნელები მშობელთა გავლენას", „მასწავლებლებისაგან მოელიან და ბოლოს მოითხოვენ კიდეც ბევრს რასმე, მაგრამ არ შეუძლიათ მიიღონ სრულიად ყველა ის, რასაც მოითხოვენ და მაშინ კი იმდენად მიდრეკილებას იჩენენ მასწავლებელთა გაკიცხვაში, რამდენადაც ნაკლებ ესმისთ ბავშვის სწავლაში ჩამორჩენის ხშირად რთული მიზეზები". რას ავალებს სკოლა მშობლებს? ,,სინამდვილეს, პატივისცემას, საჭირო ნდობას, ყველა ეს საერთოდ გადაჭარბებას არ შეადგენს,—ამბობს ჟოლი. - მაგრამ ოჯახის მოთხოვნილება ხშირად მეტად ბევრია. ოჯახი ითხოვს სკოლისაგან ამოფხვრან ბავშვებში ყველა ცუდი ჩვეულებანი, მიდრეკილებანი სიზარმაცე, მოუფიქრებლობა, სიავკაცე, გონება-გაფანტულობა, რომლებიც ან თვითონ ოჯახმა ჩაუნერგა, ან ვერ გაუწია სასურველი წინააღმდეგობა, ითხოვს თავისი შვილი იმაზე უფრო ნიჭიერად აღიარონ, რაც ბუნებას მიუცია მისთვის, ჩათვალონ სხვებზე უკეთესად და ამას თავის მხრით ყველა თხოულობს და სხ.

ყველა გონიერი ადამიანი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ბავშვის, ან ჭაბუკის ზნეობრივი თუ უზნეო მიმართულება განსაკუთრებით ოჯახში ვითარდება, ვიდრე სკოლაში, სადაც იგი დღეში რამდენიმე საათს დაჰყოფს ხოლმე. მართლაც ბავშვი მომეტებულად ოჯახის ჰაერსა სუნთქავს; ოჯახში ხედავს და ისმენს იგი სიტყვა-პასუხს და საქციელის მაგალითებს იმათგან, ვინც მას უფრო უყვარს და ვისაც პატივისცემით ეპყრობა; ოჯახის ცხოვრებაც გაცილებით უფრო საინტერესოა, მიმზიდველი და სხვა და სხვა ფერი, ვიდრე სკოლის ცხოვრება; ამიტომაც ოჯახის გემოვნებანი, ჩვეულებანი, მიდრეკილებანი და გართობანი უფრო მეტად და ცხადად აღიბეჭდებიან ბავშვის სულში, ვიდრე სკოლის მორთულობის აუცილებელი ერთფერობა.

ბენეკეს სიტყვით—,,განვითარების აწინდელ პირობათა მიხედვით მშობლებზე წარმოდგენილება ბავშვისათვის უსათუოდ ყოველად ძლიერი უნდა იყოს, თუ ეს არ არის, თუ მაგალითად ბავშვს პატარაობიდანვე ეტყობა ურჩობა, ეს ყოველ შემთხვევაში აღზრდის ბრალია''. ამიტომ ფრიად სამწუხაროდ უნდა მიგვაჩნდეს ის მოვლენა, რასაც დღეს ვხედავთ ჩვენებურს ოჯახში, საზოგადოებაში და ახალგაზდობაში. განძრახ თვალ დახუჭული უნდა იყო ადამიანი, რომ არ დაინახო ის სისაძაგლე, რასაც სჩადის დღეს ახალ-გაზდობა— ყვავილი ჩვენი მომავალის ცხოვრებისა, რა მცირე გავლენა აქვს დღევანდელს აღზრდას საზოგადოებრივს ზნეობაზედ, რა მცირედ აყენებს სულს სხეულზედ მაღლა და სჩაგრავს სულიერს მოთხოვნილებას, როცა აღზრდის საქმე ცუდად სწარმოებს, ე. ი. როცა აღსაზრდელის სულიერი მხარე სასურველად ვერ განვითარებულა. ანგარება, ერთურთის გაუტანლობა, სიკეთის გმობა, საზნეო წესების და პატიოსნების უარჰყოფა, გულგრილობა საზოგადო საქმეში, მოტყუება, გარყვნილობა, სიზარმაცე და სხვა არიან დაუძინებელნი მტერნი აღზრდისა. ამათ საწინააღმდეგოდ, საბრ-

ძოლველად უნდა მიჰმართოს აღზრდამ თავისი ფარ-ხმალი. ეს ბრძოლა კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა კეთილი დასაწყისი რწმენად გადიქცევა, რწმენა—ჩვეულებად და ჩვეულებაც მიდრეკილებად, რასაც იხელმძღვანელებს ბავშვისა და ჭაბუკის ცხოვრება. მაგრამ ჩვენი დღევანდელი დაქუცმაცებული ოჯახი, რომელსაც გამოცლილი აქვს ძველ საძირკველი და ახალი კი ქვიშაზეა აგებული, უნდა ღრმად ჩაუფიქრდეს ამ გარემოებას, განიმსჭვალოს თავისი საღვთო მოვალეობის ცხოველი შეგნებით, ამაღლდეს ზნეობრივად და გონებრივად. თორემ ვერც რეპრესიები გვიშველის რასმე და დიდხანს გასტანს დღევანდელი სამწუხარო დრო, როცა ლიუტერის თქმისა არ იყოს, ქალ-ვაჟნი ისე იზრდებიან, როგორც ხეები ტყეში და ვარგან მხოლოდ უსარგებლო ღობედ, ან გასართობ ჭია-კოკონის ასანთებად და არა შენობის ასაგებად.

ქვეყნიერებაზედ არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომელსაც კი ცოტად თუ ბევრად ისტორიული წარსული აქვს, რომ არ ზრუნავდეს თავისი ეროვნულ თვისებათა შენარჩუნებაზედ. ჩვენი ოჯახი ამ მხრითაც მეტად ჩამოქვეითებულია. გადაგვარებული ოჯახი ჩვენში ხშირია, ხოლო ვისაც ჯერ კიდევ შერჩენია ეროვნული ოჯახის ნიშან-წყალი, არც იქ ვხედავთ რასმე საიმედოს, რადგანაც შინაურს აღზრდას ჩვენი ბავშვები სრულიად მოკლებულნი არიან და მაშასადამე ოჯახი ვერ აძლევს მათ ისეთს ცნებას, რაც შეეხება ჩვენს საზოგადო ეროვნულს არსებობას, ოჯახი არ აწვდის ბავშვს შესაფერისს სულიერ საზრდოს, რასაც შეეძლო პატარაობიდანვე ჩაანერგა ბავშვის გულში თავის ერისადმი სიყვარული და მნიშვნელობა ერთობის ძალისა, რასაც ყველგან კულტურულს ქვეყნებში ოჯახშიე აქცევენ ყურადღებას.

თუმცა ზნეობრივ აღზრდაში უმთავრესი როლი ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ სკოლასაც აქვს ისეთი საშუალებანი, რომელთაც გავლენა აქვს მოწაფის ზნეობრივს მხარეზე და რომელნიც აფაქიზებენ ბავშვის სულს და მისს ზნეობრივს გრძნობასაც განავითარებენ. მხოლოდ სამწუხაროდ უნდა აღვიაროთ, რომ ხშირად სკოლის მიერ ჩანერგილი თესლი ნაზის მცენარისა მაშინვე გაუფურჩქნელად ხმება სიცივეში და ოჯახურ მოწყობილობის წყვდიადში. სკოლასა და ოჯახს ხშირად არათუ საერთო აქვსთ რამე, პირიქით ერთი მეორის წინააღმდეგია. რასაკვირველია ძლიერს და მუდმივს ყოველთვის შეუძლია სუსტი და შემთხვევითი დაჩაგროს და სწორედ აქ უნდა ვეძიოთ მიზეზი იმ მოვლენისა, რომ ახალთაობა საკმარისად ვერ იჩენს ზნეობრივს სიმტკიცეს, რამდენადაც ეს სასურველია და სანატრელი. სწორედ ოჯახის სისუსტით აიხსნება ის გარემოება, რომ თავის მხრით მშობლებს ვერავითარი გავლენა ვერ მოუხდენია თავიანთ ურჩს შვილზედ და წყა ლწაღებულნი ხშირად ხავს ეკიდებიან.

ერთად ერთ სარწმუნო საშუალებად სკოლაში მოწაფეების ზნეობრივად აღზრდისათვის უნდა მიგვაჩნდეს მეცნიერება: თუ მოწაფემ შეიგნო მეცნიერული მიმართულება, შეიყვარა იგი და გართულია დამოუკედებლად მეცადინეობაში, ესეც, ცოტათ თუ ბევრად, საკმარისი იქნება, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ სკოლა ცხოვრების წინამძღვარია და მისს მოვალეობას ისიც შეადგენს, რომ მას შეჰქონდეს განათლების სხივი თვით ოჯახშიაც, მასთან დაახლოვებით, გაცნობით და კეთილის გავლენით, რამდენადაც კი შესაძლებელი იქნება. ლ. ბოცვაძე.

ჩინელი ბრძენი კონფუცი

ჩინეთი ფრიად ვრცელი ქვეყანაა დედამიწაზედ; ჩინელებიც ერთი უძველესი ხალხია. ძველის ძველად, რამდენიმე ათასის წლის წინად, ჩინელები უგანათლებულეს ხალხად ითვლებოდნენ; ისინი მისდევდენ მიწის მუშაობას, აბრეშუმის მოყვანას, იტოდნენ წერა-კითხვა, ჭქონდათ თავიანთი შეცნიერება, აგებდენ დიდს და ლამაზს სასახლეებს. მაგრამ თავის განვითარებაში ჩინელები შეჩერდნენ ერთს წერტილზედ და თითქმის დღესაც ისეთები არიან, როგორნიც იყვნენ ორი ათასის წლის წინად.

ჩინელები-წარმართები არიან. ძველის ძველად იმათ ღმერთად ცა და დედამიწა მიაჩნდათ, რომელიც ქვეყნიერებაზედ ყველაფერის წარმომშობი დედა-მამა. ჩინელები აღმერთებენ ნაგრეთვე სხვა და სხვა სულიერ ძალებს. ყველაზე უფრო პატივით იხსენიებდენ თავიანთ წინაპრის სულს, რასაც დღესაც კი დიდი პატივით უპერობიან. ჩინელების აზრით თავიანთი მშობლების, ანუ წინაპრების სულს შეუძლია ბრძნული რჩევა მისცეს მათ და ან თავიანთი რისხვით კვალ და კვალ მიჰყვეს მათ. ცისა და ქვეყნის, აგრეთვე წინაპართა სულის პატივსაცემად დაწესებული იყო სჩვა და სხვა უქმეები, როდესაც კერპებს მსხვერპლსა სწირავდნენ. ჩინეთში მმართველობა ძველად და ეხლაც მონარქიულია. ხალხი თითქმის ერთს ოჯახს შეადგენს, რომლის მამა ბოდდიხანი (მეფე) ითვლება და ყველა უტილობლად მას ემორჩილება. ბოდდიხანი ცის შვილად ითვლება და მისი პიროვნებაც წმინდა და შეურეველია. მაგრამ ყველა ეს მხოლოდ იმ დრამდის არის, სანამ ბოდდიხანი სამართლიანად განაგებს ხალხს. თუ ის უსამართლოდ იქცევა, ხალხს უფლება აქვს ძალად ჩამოაგდოს ტახტიდან. ჩინელების ძველ წიგნებში ნათქვამია: „ზეცის აზრს ხალხის შეხედულობა-

კონფუცი.

ში ნახავო. რაც ზეცას არ მოსწონს, არც ხალხს მოსწონსო".

ამიტომაც ჩინელებს ძველი დროიდანვე მტკიცე კანონები აქვთ შემოღებული, თუ როგორ უნდა განკგოს ბოდიხანმა სამეფო და როგორ უნდა ეჭიროს მას თავი. ასეთივე წესები არსებობს მოხელეებისა და ყველა კაცის შესახებ. დაწესებულია კანონი სიარულისა, ლაპარაკისა, თავის დაკვრისა. ყველა ეს ცერემონიები შეადგენენ რელიგიოზურს წესრიგს და მოხსენებულია სიდვთო წიგნებში.

ჩინელები ძველი დროიდანვე დიდის პატივით ეპურობიან თავიანთ ბრძენ კაცებს, როგორც სიცოცხლეში, აგრეთვე სიკვდილის შემდეგაც. მაგრამ ყველაზედ უფრო მაღლა აყენებენ თავიანთ დიდებულ ბრძენს კონფუცის, რომელიც პირველ წმინდანად მიაჩნიათ. კონფუცის ჩინელებისთვის ახალი სარწმუნოება არ მიუცია, მაგრამ მან განმტკიცა ძველი სარწმუნოება და შეადგინა ცხოვრებაში გამოსაყენებელი ბრძნული წესები.

კონფუცი დაიბადა ქრისტეს წინად 551 წელს ე. ი. 2462 წლის წინად. ის იყო კეთილ-შობილ ოჯახის შვილი. სამი წლისა იყო, როცა მამა მოუკვდა. პატარობისას იჩენდა საკვირველს მორჩილებას დედისას და უფროსების პატივისცემას; მშვიდი, წესარი და წყლოვნების მიუხედავად ჭკვიანი მოდაპარაკეც იყო. შვიდი წლის რომ შესრულდა, სკოლაში მიაბარეს. იქ მან ყველა დაჩრდილა თავისი ბუკითობით, სიმშვიდით და სწავლაში წარმატებით.

სწავლის დასრულების შემდეგ, კონფუცი სახელმწიფო სამსახურში შევიდა; მიიღო ბაზრის ზედამხედველის ადგილი, კონფუცი სინდისიერად სრულებდა თავის საქმეს და რაც თავისუფალი დრო ჭქონდა, მეცნიერების შესწავლას ანდომებდა.

ცხრამეტის წლისამ ცოლი შეირთო და ერთის წლის შემდეგ ვაჟი ეყოლა. ამ დროს კონფუცის ჩაბარეს მთელი ქვეყნის მეურნეობის საქმე. მისი გამგეობის დროს მწირე მიწა-წყალნი მინდვრები მდიდრულ სუფნე ადგილებად გადაიქცა. ჯოგი და მესაურ პირუტყვთა ჯაში გაძრავდა და გაუმჯობესდა.

დედის მოულოდნელმა სიკვდილმა აიძულა კონფუცი სამის წლით დაეტოვებინა სამსახური. ჩინეთში ძველის დროდანვე არსებობს ისეთი ჩვეულება, რომ შვილებმა მამის ან დედის სიკვდილი სამს წელიწადს უნდა იგლოვონ, ამასთან მოხელეებმა სამსახურს თავი უნდა დანებონ და შეუძლიათ ხელ-ახლად დაუბრუნდენ სამსახურს გლოვის ვადის შესრულების შემდეგ. გლოვის ვადის შესრულებამდის მგლოვიარე კარეთ არ გამოვა, არ შეუძლია ღვინო დალიოს და არც ლხინში ეწვიოს ვისმე. კონფუცი სასტიკად სრულებდა ყველაფერს, რასაც ჩვეულება მოითხოვდა და სამსახურსაც თავი დანება. დედის დასაფლავებაზე კონფუცმა სიტყვა წარმოსთქვა: „გეყოვარდეო" ერთმანეთი და მთელი კაცობრიობის მოდგმა, მთელი ჯაჭვი, რომლის ერთ ერთ რგოლს შეადგენს თითო ჩვენთაგანი. ცოცხლები პატივს უნდა ცემდნენ მიცვალებულებს იმ სიკეთის გამო, რაც მათ სიცოცხლეში მოგვანიჭეს".

დედის დასაფლავების შემდეგ კონფუცი გულმოდგინეთ შეუდგა ძველი სამღმრთო წიგნების, დიდებულ ძველ ბრძენთა და ქვეყნის მმართველთა დადგენილებათა შესწავლას.

მალე მისი სახელი, როგორც მეცნიერის და ბრძენისა, მოეფინა მთელს ჩინეთს და ეოველ მხრიდან აწყდებოდნენ მას მოწაფეები.

ამ დროდან მისი სახლი გადაქცეულ შუამავ სკოლად. მალე კონფუცი თავისი მოწაფეებით გაეგზავნა სამთავრო ტსიში, სადაც მიიწვია იგი აქაურმა მთავარმა. ტსის ახალგაზდა თავადმა დიდის პატივით მიიღო ბრძენი. თავადმა კრებასთვის დაუთმო მას ერთი თავისი სასახლე. ერთხელ მეგობრულად ლაპარა-

კის დროს, ოვალდმა შეიტყო, რომ ხალმწიფის სასახლეში ელვის დაეწვავს ერთი ტაძარი, აშენებული წინაპართა სახელზედ. —

ზეცის ტაძარი ჩინეთში

— ეს ეეჭველად ღიგანგას ტაძარი იქნებაო, მიუგო კონფუციმ.

— რად გგონიათ ეგრე?—ჰკითხა თავალდმა.

კომფუციმ მიუგო:

— ვიდრე ქვეყნის მფლობელნი ცოცხალნი არიან, შიში შეიპერობს მათ გარეშე მეიოფთ. მაგრამ ზეცა მიუდგომელია, იგი ადრე თუ გვიან კამოუგზავნის თავისს რისხვას რჯულის დამრღვეველთ. ღიგანგი ბოროტი შეფე იყო, იმან უარჰყო ბევრი ბრძნული დადგენილება, მან პირველმა შემოიღო სასახლეში უაზრო მედიდურობა. ღვთის რისხვამ ტაძრის დანგრევით გვამცნო ხალხს, რომ პატივს ვცემდით ულირსს.

თავალდმა კიგო შემდეგ, რომ მართლა ელვის დაეწვა ღიანგას ტაძარი.

მალე კონფუცი კვემგზავრა სატახტო ქალაქ ლუში, რომ კაეცნო იქაური ცერემონიები.

ერთს ტაძარში კონფუციმ დაინახა ოქროს კაცის ქანდაკება.

ამ ქანდაკებას ზურგზედ შემდეგი ეწერა:

,,ბევრს ნუ ლაპარაკობთ, რადგანაც წარმოგიდგებათ ისეთი რამ, რის თქმაც არ შეიძლება...

,,ნუ ეძებთ სურვილ დიდს სიამოვნებას, ნურც მეტს სიმშვიდეს... ნურასოდეს ნუ იქთ ისეთს საქმეს, რასაც ბოლოს სინანული მოჰყვება... ნუ უგულებელს ჰყოფთ ცოდვების გასწორებას, რაც უნდა ცოტა იყოს,—დატოვებული ცოტა ბოროტებაც კაიზრდება და გაბევრდება... ადვილია მიწიდან ნორჩი ხის ამოთხრა, მაგრამ თუ დაცდით გაზრდას, მაშინ ცული დაგჭირდებათ... ძლიერი ყოველთვის იმოვის უძლიერესს, რომელიც დაამარცხებს მას... ზეციერთგან ემები არ არსებობენ, მისთვის ყველა ხალხი ერთია''.

კონფუციმ წაიკითხა ეს წარწერა და სთქვა:

„მე ამ წესებს ისე ეეურები, როგორც ნუსხას ყველა იმისს, რაც შეიძლება სასარგებლოდ ჩაეთვალოთ“.

შემდეგ კონფუციმ კიდეე იმოკზავრა აქეთ იქით, რომ გაეგო სად ცხოვრობს ხალხი კარგად და სად არის დაცული ძველი მოძღვრება. მაგრამ უბრალო ხალხი ყველგან სიდატაკისგან იღეუებოდა, დიდებულნი კი ფუ-

ფუნებაში იეგნენ. ძველი კეთილმსახურების კვალიც ადარსად სჩანდა.

გზაზედ მან დაინახა რამდენი მიწის მუშაკნი, რომელნიც ისარს ისროდნენ და სამხედრო ვარჯიშობაში იეგნენ კართულნი, კონფუციმ სთქვა:

— ეს საქმე, ძველ ბრძენ მეფეების დროს, მხედრების მოვალეობას შეადგენდა და არა მიწის მუშაკთა—ესლა მგონია ეგვალა ხალხი ჯარის კაცებად უნდა კახდნენ; ამით, რასაკვირველია, ომი არ გაუმჯობესდება, მაგრამ მინდვრების შემუშავება კი იკლებს.

როცა კომფუცი ლუს სამთავროში დაბრუნდა, იქ შიმშილობა იყო. მოაკონდათ კონფუცი და მისი ბრძნული თავდარიგი მიწების შემუშავებისა. ჰირველმა ვეზირმა მიიწვია კონფუცი სათათბიროდ, მაგრამ მან არავითარი რჩევა არ მისცა. მოწაფეებს ძალიერ გაუკვირდათ ეს და ჭკითხეს მას:

— თქვენ, ასეთმა სულგრძელმა და კეთილის მეოფელმა, რატომ არ ინებეთ გეპასუხნათ ვეზირისათვის?

კონფუცემ უპასუხა: „ასე მოვიქეცი იმიტომ, რომ ვეზირი ხარბი, გაუმაძღარი და მდიდარი შემაშულეა, ის ჭფიქრობს მხოლოდ თავისი მამულიდან შემოსავლის გაბეგვრებაზე და არა ხალხზე. ის მხოლოდ იმაზე ზრუნავს, რომ უკანასკნელი ლუკმა მოსტაცოს ხალხს. თავისი სარგებლობისათვის უნდოდა გამოეტუუებინა ჩემთვის მიწის შემოსავლის გაბეგვრების საიდუმლოება. არ მინდოდა, რომ ჩემის რჩევით სულმდაბალს ანგარების მოყვარეს გამოეწეწნა ხალხის უკანასკნელი წვენი“.

შემდეგ კიდევ უთხრა მოწაფეებს:

— ძალიერ ფასდაფლობ, რომ სამშობლო ქვეყანა სიღარიბის გამო განსაცდელშია, როცა მოვიგონებ შინაურს განხეთქილებას. ნუ თუ ჩვენ ერთად ვერ მოვიგონებთ რასმე, რომ ვისწავლოთ ქვეყანა განსაცდელისაგან? შემდეგ მიჭმართა ერთს თავისს მოწაფეს და უთხრა: ტსი! სთქვით თქვენი აზრი ამის შესახებ!

— მე შევაგროვებდი აურებელს ჯარს და იარაღით დავიმორჩილებდი მეამბოხეებს!— მიუგო მან, — სხვების სამაგალითოდ დატეგვეებულებს სიკეთდალით დავსჯიდი და შემდეგ ადგადგენდი ძველს კეთილმსახურებას.

— თქვენ მამაცი ხართ,—უთხრა კონფუციმ.—რას იზამდით თქვენ?—მიჭმართა მეორე მოწაფეს.

— მე სხვანაირად მოვიქცოდი;—მიუგო მან. რაკი მოწინააღმდეგენი გავიდოდნენ მინდორზე საჩხუბრად, მეც გავჩნდებოდი იქ გამოსაჩენ ტანისამოსში და შეეცდებოდი დამეკურთხებინა მათთვის ომისგან მომხდარი ეგვალა უბედურება და მშვიდობიანობის ეგვალა სიკეთე; მე დავსურათებდი ომის ეგვალა შედეგებს და სამწუხარო ბედს, რაც უნდა მოეღოდეს ორივე მხარის ცოდშვილს. იქნება ჩემს სიტყვებს გავლენა მოეხდინა მოჩხუბარებზედ და შერიგებულიეყნენ. მაშინ ქვეყანაზე ჩამოვარდებოდა მუდრობა და მშვიდობიანობა.

— თქვენ მეწერმეტეგელი ხართ,—უთხრა კონფუციმ.

შემდეგ მიჭმართა მესამე მოწაფეს. მან სთქვა:

— მე ვსთხოვდი ხელმწიფეს თავდაპირველად მოეშორებინა თავიდან ცბიერები და შეთა ადგილი მეცა გულახდილ და სიმონიან პირებისათვის და დაეკვლებინათ მათთვის ასწავლონ ხალხს სუთი მადალი ვალდებულება— კეთილშეგვარეობა, მართლმსაჯულება, ზეშმარიტების სიყვარული, სიმართლე და პატიოსნება. მე ვეტეოდი მეფეს, რომ მაშინ მას არ ექნება მტრის შიში, არც საწერო იქნება მრავალი ჯარის შენახვა, ცახე ქალაქების გამაგრება; ორმოებს ამოავსებენ, თხრილებს გაასწორებენ და გადაიქცეოდა ნაყოფიერ მინდვრად, ცახეების ქვების საზოგადო სახლებს მოახ-

მარგებენ, ზარბაზნებს სამეურნეო იარაღებად გადაადნობენ, მხედრები შეგიდობიან მოქალაქეებად გახდებიან, მაშინ მეკონია ყველა ბედნიერად იცხოვრებს.

— თქვენ ნამდვილი ბრძენი ხართ, მიუგო აღელვებულმა კონფუციმ:

ორმოცდა ოთხის წლის კონფუცი დანიშნეს ერთი სამთავროს მმართველად. მან თავდაბირველად ხელი მიჰყო მეურნეობის გაუმჯობესობას. ცდილობდა დაახლოებოდა მდაბიო ხალხს, ხშირად ესაუბრებოდა მათ. თავადმა დანიშნა კონფუცი სამთავროს მადალ მოსამართლეთ. ამით კონფუცი თავისი მნიშვნელობით და უფლებით სამთავროში მეორე პირი შეიქმნა. ის ამბობდა: „მდაბიო დამნაშავე მხოლოდ ნახევრად დამნაშავეა, ხშირად სრულიად უდანაშაულოა იმის გამო, რომ არ იცის თავისი ვალდებულება. უსასტიკესი სასჯელის ღირსი არიან მადალი კლასების დამნაშავენი იმიტომ, რომ ცუდ მაგალითს აძლევენ ხალხს, აგრეთვე მთავრობის პირნიც, რომელნიც ხალხს არ ასწავლიან“.

თავადი მალე გაურისხდა კონფუცის და ის იძულებული გახდა მეტოვებინა სამთავრო და თავისი მოწაფეებით ისევ მგზავრობას შესდგომოდა.

კონფუცი ქალაქებში და სწავლებაში ატარებდა მთელს დროს. მოწაფეთა რიცხვი ამ დროს 3000 მდის ავიდა. აუარებელი მსმენელები ემატებოდა ყოველ დღეს, რომ მოესმინათ ბრძენი ფილოსოფოსის სიტყვები. უკანასკნელი დღეები კონფუციმ მოწაფეების სწავლებას მოანდომა. 3000 მოწაფეთაგან მხოლოდ 12 შეეძლო აეხსნა ხალხისაგის სიბრძნისა და სათნოების წესები. ეს მოწაფეები უფრო დაახლოებული იყვნენ კონფუციასთან და ამიტომ უფრო კარგად იცოდნენ მისი გულის ზრახვანი.

როცა კონფუციმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, შეკრიბა ყველა თავისი მოწაფეები, აიყვანა ერთის მთაზედ, რომელიც ქალაქს გარშემო ერტყა, აქ მათ აღმართეს საკურთხეველი, დასვენეს ზედ ექვსი წიგნი, მათ მიერ დაწერილი. კონფუციმ აღაპერო ზეცას თავადი, ადიცა და სთქვა:

— ჩვენ დიდხანს ვიცხოვრეთ ერთმანეთის და არც მხოლოდ გუშინდან ვარ თქვენი მასწავლებელი. ანდერძად გიტოვებთ ამ ჩემს წიგნებს, რომელშიაც მოყვანილია სიბრძნის კანონები. ეს წიგნები თქვენ უნდა გადასცეთ შთამომავლობას მთელის სიწმინდით.

ამის შემდეგ განგლო რამოდენიმე დღემ, კონფუცი გარდაიცვალა 73 წლისა 479 წელს ქრისტეს დაბადებამდის.

დასაფლავება ძველის წესით შესრულეს. მიაბარეს თუ არა მიწას განსვენებულის კვამი, მოწაფეებმა გადაწყვიტეს ყოველ წლის თავზედ მისულიყვნენ თავიანთ მასწავლებლის საფლავზედ სალოცავად.

ორი ათასი წლის განმავლობაში ეს ჩვეულება სრულდებოდა და დღესაც სრულდება. ამას კარგა თითქმის ყველა ქალაქებში ბრძენის სახსოვრად აგაგეს ნიში. 200 წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის კონფუციის ხსენების დღე საგანგებულო გახდა მეფეებისთვისაც. ამ დღიდან კონფუცი წმინდანად ითვლებოდა და აღმერთებდენ. კონფუცის უწოდეს უწმინდესი, უბრძენესი და უსათნოესი კეთილშობილების ყველა მასწავლებელთა შორის.

ჩინური სიბრძნე.

(ჩინელ ბრძენთაგან ნათქვამი)

1. ბრძენმა სთქვა: ჩემი მოძღვრება მარტივია, იმის აზრს ყველა ადვილად გაიგებს. ეს იმაში მდგომარეობს, რომ კიეგარდეს მოუგასი, ვითარცა თავი შენი.

2. პირველი პირობა ცხოვრებაში სადგომი კანონის გასატარებლად ესაა ბრის საყვარული ყოველ ცხოველ არსებისა.

3. ბრძენსა ჰკითხეს: „რა არის მეცნიერე-

ბაო?“ მან მიუგო: „ცოდნა ადამიანისაო“. იმასვე ჰკითხეს: „რაში მდგომარეობს სათნოება?“ მან მიუგო: „ადამიანის სიყვარულის ნიშნიაო“.

4. იმდენად თავშეკავებული რომ იყო, სხვასაც ისეთს ბატივს ცემდე, როგორც შენს თავს და სხვასაც ისე მოექცე, როგორც შენ გსურს, რომ სხვები მოგექცენ,— ამას ჭქვიან სწავლა კაცთმოყვარეობისა. ამაზედ მაღლა არა არის რა.

5. წმინდა ადამიანი, მცხოვრები ქვეყანაზე, ზრუნავს ხალხთან თავის დამოკიდებულებაზე. ის გრძნობს ხალხის მაგიერ და ეგვალნიც მიაპურობენ მას თავიანთ თვალეურს.

6. სხვისი მომრეკი ძლიერია, თავის თავის მომრეკი ეოველად ძლიერი.

7. მოეპყარით თავის თავს უფრო სასტიკად, სხვებს კი ლმობიერებით და მტრებიც არ გეყოლება.

8. ბრძენი ყველაფერს თავის თავსა სთხოვს, უნდა კაცი კი ყველაფერს სხვასა სთხოვს.

9. როცა ბრძენსა ჰკადვთ, დაფიქრდიო: გაქსთ თქვენც იგივე სათხოება, რაც მას აქვს. როცა გარყვნილ კაცს შეხვდებით, ჰკითხეთ თქვენ თავს: ხომ არ გაქვთა თქვენც იგივე ბოროტება.

10. წმინდა კაცს საკუთარი გრძნობა არ აქვს: ხალხის გრძნობა მისივე გრძნობაა.

11. ომში გამარჯვების სიხარული ნიშნავს ხალხის ამოწყვეტის სიხარულს, ვინც ხალხის გაწყვეტით სიამოვნებს, იგი მიხსნის ვერ მიაღწევს.

12. ზნეობრივად რომ სრულ იყო, საჭიროა ზრუნვა სულის სიწმინდეზე. ხოლო სულის სიწმინდე შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა გული სიმარდეს ეძიებს და ნება სიწმინდისაკენ მიისწრაფის. ყველა ეს დამოკიდებულია ჭეშმარიტ სწავლაზედ.

13. ჭეშმარიტი სიტყვები არ იქნება სასიამოვნო; სასიამოვნო სიტყვები არ იქნება ჭეშმარიტი:

14. კეთილნი არ იქნებიან მოჩხუბარნი, მოჩხუბარნი არ იქნებიან კეთილნი.

15. კაცი, სანამ ცოცხალია, ნაზია და მოქნილი. როცა მოკვდება გამაგრდება და გაშეშდება. ყველა ნივთები, ბალახი, აგრეთვე ხეებიც ნაზია და მოქნილი, სანამ ცოცხალია. როცა მოკვდება, დაობდება და ხმება. ამიტომ სიმკვრივე და სიმაგრე სიკვდილის თანამგზავრია. რბილი და ნაზი სიცოცხლის თანამგზავრია. ამის გამო ვინც ხელით ძლიერია, ვერ გაიმარჯვებს. როცა ხე გაამაგრდება, იგი სიკვდილის პირასა. ძლიერნი და დიდები ქვრს ჰრიან, ნაზები და რბილები ზემოთ.

16. თითის წვერებზე მდგომი დიდხანს ვერ გაჩერდება. კაცი, რომელიც თავის თავს წინ აყენებს, ვერ გაანათებს. ვინც თავისი თავის კმაყოფილია, ხასელს ვერ მოიხვეჭს. ვინც ტრაბახსა, იმას ნამსახურობა არ ექნებ. ვინც ამპარტავანია, თავს ვერ აიმაღლებს, კორნების სამსჯავროს წინ ამისიანა კაცები საჯმლის ურგეტ ნაწილს მოგვაგონებენ და ყველას ზიზღსა ჰგვრიან. ამიტომ ვისაც კორნება უყვარს, მარტო თავის თავს არ უნდა დაენდოს.

17. ხელოვანია ის, ვინც ხალხს იცნობს, მაგრამ ჭეშმარიტი ბრძენია ის, ვინც თავის თავს იცნობს.

18. ვისაც თავის თავის ცნობა აქვს, ის დმერთსაც იცნობს.

19. ჩინური მეცნიერების აზრი ასეთია: ჭეშმარიტი მეცნიერება ასწავლის ხალხს უმაღლესს სათნოებას—ხალხის კანაბლებას და ამ მდგომარეობაში ყოფნას; რომ შეამოწმო უმაღლესის ნიჭიერებით საჭიროა: 1) რომ მთელს ხალხში კეთილი კანწყობილება იყვეს. ხალხში რომ კეთილი კანწყობილება იყვეს,—საჭიროა 2) რომ ოჯახში იყვეს კეთილი კანწყობილება. ოჯახში რომ

კეთილი განწყობილება იყვეს, ამისთვის სა-ჯერო, 3) რომ თავის თავში გქონდეს კეთილი განწყობილება. თავის თავში რომ კეთილი განწყობილება გქონდეს, საჯეროა 4), რომ გული წმინდა გქონდეს, განსწორებული. გული რომ წმინდა გქონდეს და განსწორებული, საჯეროა 5) სიმართლე, აზრის შეგნება. აზრის შეგნება რომ გქონდეს, საჯეროა 6) უაღრესი ხარისხი ცოდნისა, მისთვის რომ გქონდეს უაღრესი ხარისი ცოდნისა, საჯეროა 7) თავის თავის შესწავლა.

ჩინური ანდაზები.—1) სიმართლე ერთად ერთი ფფილა, რომელსაც უველგან გასავალი აქვს.

2) კეთილი ადამიანები ერთმანეთ შვედიან, თითოქოს ვერ ამჩნევენ ისე; ბოროტები კი განაძრახ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს.

3) მხოლოდ სხვისი თვალებით შეიძლება დანახვა თავისი ნაკლულევანება.

4) ვინც ზურგს უკან მეცინავს, იმას ჩემი ეშინიან; ვინც პირში მაქებს—იმას კეზიზღები.

5) ყველაზე უფრო მადიარია ის, ვისაც დასაკარგი არაფერი აქვს.

6) სიტყვა კეთილი კლიტეა. თუ დაპარაკიდან არაფერი გამოდნება რა, მაშინ ერთი სიტყვაც კი ზედმეტია.

კახაბერი.

14106
2-88 ეკ

არითმეტიკის გაკვეთილები

რიცხვების შეფარდება მეტ-ნაკლებლობის მიხედვით*)

ბეგმა. ვარჯიშობა ჩოთქზედ იმის გასარკვევად თუ რას ნიშნავს ერთი რიცხვის მეორე რიცხვით დამცირება, როგორც წინასწარ მოქმედებისა **გაბევრება.** ზეპირი ვარჯიშობა ერთი რიცხვის მეორე რიცხვით დამცირებაში. ზეპირი ბრაქტიკული ამოცანები.

გაკვეთილის მსვლელობა. მასწავლებელი ჩადის საანგარიშო ჩოთქზე ხუთს რგოლს და ჰკითხავს მოწაფეებს: „რამდენი რგოლი ჩავედი?“ მოწაფეები—ხუთი რგოლი. მასწავლებელი უმატებს ხუთს რგოლს კიდევ ორს და ეკითხება: „რა ვქენი?“ მოწაფეები—ხუთს მიუმატეთ კიდევ ორი. მასწავლებელი—„რამდენი შეიქნა?“—მოწაფეები—შვიდი. მასწავლებელი—„შვიდი უფრო მეტია ხუთზე თუ ნაკლები?“ მოწაფეები—მეტია. მასწავლებელი—მაშასადამე როცა ხუთს მიუმატეთ ორი, ხუთი რამდენით გავაბევრეთ? მოწაფეები—გავაბევრეთ ორით. მასწავლებელი ჩავა ჩოთქზე ექვს რგოლს და ეკითხება მოწაფეებს: „როგორ უნდა გავაბევროთ ექვსი რგოლი ორი რგოლით?“ მოწაფეები—ექვს რგოლს უნდა დავუმატოთ ორი რგოლი. ამ ნაირად უჩვენებენ 7 და 8 ორით გაბევრების და 2, 4, 5, 6, და 7 სამით გაბევრების წესს. ამ ვარჯიშობას მოჰყვება დასკვნა თუ როგორ უნდა გააბევრონ ერთი რიცხვი მეორე რიცხვით (რომ გავაბევროთ ერთი რიცხვი მეორით, [illegible] რიცხვს უნდა დავუმატოთ მეორე რიცხ-

*) რადგანაც დასაწყისს სკოლებში სასწავლო საგნების ზოგიერთი ნაწილი სწავლა-გადაცემის დროს მეტს დახელოვნებას მოითხოვს მასწ ვლებლის მხრით, ამიტომ განძრახვა გვაქვს დრო გამოშვებით ვბეჭდოთ სამაგალითო გაკვეთილები ყველა სასწავლო საგნებიდან. **რედ.**

ხვი). შემდე მასწავლებელი ჩავა ჩოთქზედ ათს რგოლს და ეკითხება მოწაფეებს: „რამდენი რგოლი ჩავედი?“—მოწაფეები—ათი. თუ ერთბაშად ვერ მისცეს მოწაფეებმა ეს პასუხი, მაშინ რგოლებს თითოეულად დათვლიან მოწაფეები ყველანი ერთად. მასწავლებელი გამოყოფს ათიდან ხუთ რგოლს და ეკითხება: „რა ვქენი?“ მოწაფეები: მოაშორეთ, მოაკელით ხუთი რგოლი. მასწავლებელი—„რამდენი ღა დარჩა?“ მოწაფეები—ხუთი. მასწავლებელი—„ხუთი მეტია თუ ნაკლები ათზე?“ მოწაფეები—ნაკლებია. მასწავლებელი—მაშასადამე ათს რომ ხუთი მოვაკელით, ამით ათი ხუთით გავამცირეთ თუ დავამცირეთ?“ მოწაფეები—ათი ხუთით დავამცირეთ. მასწავლებელი—„აბა მითხარით როგორ უნდა დავამცირეთ რიცხვი ათი ხუთით?“ მოწაფეები—რომ დავამცირეთ ათი ხუთით, ათს უნდა გამოვაკლოთ ხუთი. ამის შემდეგ მოწაფეები ადვილად შეიგნებენ 9, 8, 7 და 6 სამით დამცირებას, რასაც მოჰყვება დასკვნა: რომ დავამცირეთ ერთი რიცხვი მეორე რიცხვით, პირველ რიცხვს მეორე უნდა გამოვაკლოთ. შემდეგ გაკვეთილი დაახლოებით ასე გაგრძელდება. მასწავლებელი: „ათი რომ სამით დავამცირეთ, რა დარჩება?“—მოწაფეები—ათი რომ სამით დავამცირეთ შვიდი დარჩება. მასწავლებელი—„ცხრა რომ სამით დავამცირეთ, რა დარჩება?“—მოწაფეები—ექვსი. მასწ. „რვა რომ სამით დავამცირეთ?“—მოწაფე—ხუთი. მასწავ. შვიდი რომ სამით დავამცირეთ?“—მოწაფე—ოთხი. მასწ. ექვსი რომ სამით დავამცირეთ?“ მოწაფე—სამი. მასწავლებ.—„ხუთი რომ სამით დავამცირეთ?“—მოწაფე—ორი. მასწ.—„ოთხი რომ სამით დავამცირეთ?“ მოწაფე—ორი. მასწავლებ.—„ოთხი რომ სამით დავამცირეთ?“ მოწაფე—ერთი. მასწავ.—„ათი რამდენით არის მეტი ექვსზე?“—მოწაფე—ოთხით. მასწავლებელი—„ხუთი რამდენით არის ნაკლები ცხრაზედ?“ მოწაფე—ოთხით. მასწავლებელი—„ოთხი რამდენით არის რვაზე ნაკლები?“ მოწაფე—ოთხით. მასწავლებელი—„სამი რამდენით ნაკლებია შვიდზე?“ მოწაფე—ოთხით. მასწავლებელი „ორი რამდენით ნაკლებია ექვსზე?“ მოწაფე—ოთხით. მასწავლებელი—„რომელი რიცხვია ხუთზე ოთხით ნაკლები?“ მოწაფე—ერთი. მასწავლებელი—„რომელი რიცხვია ათზე ექვსით ნაკლები?“ მოწაფე—ოთხი. მასწავლებელი—„რომელი რიცხვია ცხრაზე ექვსით ნაკლები?“ მოწაფეები—სამი. მასწავლებელი—„რომელი რიცხვია რვაზე ექვსით ნაკლები?“ მოწაფეები—ორი. მასწავლებელი „რომელი რიცხვია შვიდზე ექვსით ნაკლები?“ მოწაფეები—ერთი. ყველა ამის შემდეგ შეიძლება ხელი მიჰყონ ამოცანების კეთებას. თუ მასწავლებელი დარწმუნებულია, რომ მოწაფეებმა კარგად იციან რას ნიშნავს ერთი რიცხვის მეორით გაბერვება, მაშინ, რასაკვირველია, გაკვეთილი შეიძლება დაიწყოს მეორე ნახევრიდან.

შედარება რიცხვებისა კითხვებზე რამდენჯერ ეტი ან უ ნაკლები

გეგმა—ჩოთქზე გარჯიშობა; გარჯიშობა თვალსაჩინო საგნების დაუხმარებლად. კითხვები განუვნებულს რიცხვებზედ; ამოცანების კეთება.

გაკვეთილის მსვლელობა. მასწავლებელი საანგარიშო ჩოთქის ზემო მავთულზე ჩადის სამს რგოლს, მის ქვემო მარ-

თულზე ორჯელ სამს ე. ი. ექვს რგოლს და ეკითხება: რომელ მავთულზეა მეტი რგოლები?" მოწაფეები—მეორეზე. მასწავლებელი—სამი რგოლი შეადგენს ერთს სამიანს, ექვს რგოლში რამდენი სამიანია?" მოწაფეები—ორი. მასწავ.—ექვსი რგოლი მეტია სამზე ორჯელ იმიტომ, რომ უნდა ავიღოთ ორჯეთ სამი, რომ შეიქნეს ექვსი. სამი რგოლი კი ნაკლებია ექვსზე. რამდენჯერ?—მოწაფეები—ორჯელ. მასწავლებელი—რამდენჯერ უნდა ავიღოთ ორი რგოლი, რომ ექვსი რგოლი გახდეს? მოწაფ.—სამჯერ. მასწავლებელი—„ორი რამდენჯერ ხაკლებია ექვსზე?" მოწაფეები—სამჯერ. მასწავლებელი (ჩადის სამ რგოლს) მე ჩავედი სამი რგოლი, სამიანი, რამდენი უნდა ჩავიდე, რომ სამჯერ მეტი გახდეს? მოწაფეები—უნდა ჩახვიდეთ ცხრა (სამჯერ სამი). მასწავლებელი—„უზალთუნში რამდენი შაურია?" მოწაფ. ორი. მასწავ.—„მაშ უზალთუნი რამდენჯერ მეტი ყოფილა შაურზე?" მოწაფ.—ორჯერ. მასწავ.—ათი კაპიკი რამდენით მეტია ხუთ კაპიკზე?—მოწაფე—ხუთი კაპიკით. მასწავ.—მაშ, უზალთუნი რამდენით მეტი ყოფილა შაურზე?—მოწაფე—ხუთი კაპიკით. მასწავ.—„ხუთი კაპ. რამდენჯერ ნაკლებია ათ კაპიკზე?" მოწაფ.—ორჯელ. მასწავლებელი—შაური უზალთუნზე რამდენით არის ნაკლები? მოწაფე—ხუთი კაპიკით (შაურით) მასწავ.—„ექვსი რამდენჯერ მეტია ორზე" — მოწაფე — სამჯერ. მასწავ.—„სამი რამდენჯერ ნაკლებია ცხრაზე?"—მოწაფ. სამჯერ. მასწავლებელი ,,რომელი რიცხვია ორზე ოთხჯერ მეტი?''—რვა. მასწავლებელი — მე ჩავიფიქრე რიცხვი, რომელიც ორჯელ ნაკლებია ოთხზე, რა რიცხვი ჩამიფიქრნია?—ორი. მასწავლებელი—ორი რომ ოთხჯერ გავაბევროთ (ორი რომ ოთხზე გავამრავლოთ) რამდენი იქნება?—იქნება რვა.—როგორ უნდა გავაბევროთ სამი სამჯერ?—სამი უნდა ავიღოთ (გავამრავლოთ) სამჯერ.—როგორ დავამციროთ ათი ორჯელ?—ათი უნდა გავყოთ ორად.—რვა რომ ოთხჯერ დავამციროთ, რამდენი იქნება?—ორი.

შემდეგ აკეთებენ შესაფერისს ამოცანებს კრებულიდან, რომ უკეთ შეიგნონ შედარება რიცხვებისა რამდენით და რამდენჯერ მეტ ნაკლებობის მიხედვით.

ცნებები $^1/_2$, $^1/_4$ და $^1/_8$.

გეგმა გაკვეთილისა. კამეორებითი ვარჯიშობა რიცხვების 4, 6, 8, 10 ორად გაყოფაში. ხაზის გაყოფა შუაზედ ორ თანასწორ ნაწილად. გაყოფა რიცხვებისა 3, 5, 7, 9 შუაზე, ხახედწოდებულს რიცხვებზე; ცნება ნახევარი, როგორც ერთეულის ნაწილი; სწორის ხაზის ოთხ თანასწორ ნაწილად გაყოფა და შედარება ნახევარისა მეოთხედთან. სწორი ხაზის გაყოფა რვა თანასწორ ნაწილად და შედარება მერვედისა ნახევართან და მეოთხედთან.

გაკვეთილის მსვლელობა. რიცხვების 4, 6, 8 და 10 გაყოფა ორ თანასწორ ნაწილად მოწაფეებს არ უნდა გაუძნელდეს, რადგანაც უეჭველია, ისინი წინა-გაკვეთილებზე ნავარჯიშევი იქნებიან და ეცოდინებათ ამ რიცხვების გაყოფა. ამიტომ ამ გაკვეთილზე ამ სავარჯიშოს სხვა მიზანი აქვს – აქ უნდა მტკიცედ შეიგნონ ცნება ნახევარი, (შუაზედ გაყოფა, ნახევარი ათეული, რვის ნახევარი და სხ.) როცა მასწავლებელი ამ მიზანს მიაღწევს, შემდეგ გაკვეთილი მიიღებს ასეთს ხასიათს: მასწავლებელი—,,როგორ მიიღებთ ქაღალდის მთელ თაბახიდან ნახევარ თაბახს?'' მოწაფეები ,,მთელი თაბახი უნდა გავხიოთ ორ თანასწორ ნაწილად და ავი-

ლოთ ერთი ნაწილი". მასწავლებელი — დიახ, ეს ერთი ნაწილი იქნება ნახევარი ანუ ნახევარი. მასწ. „როგორ მივიღებთ მთელი ვაშლიდან ნახევარ ვაშლს?" მოწაფეები — მთელი ვაშლი უნდა გავსჭრათ შუაზედ, ორ თანასწორ ნაწილად და ერთი მათგანი იქნება ნახევარი. მასწავლებელი — „რას ნიშნავს ფანქარის შუაზედ გასჭრა?" მოწ. — ეს ნიშნავს ფანქარის ორ თანასწორ ნაწილად გაჭრას. მასწავლებელი — „როგორ უნდა გავსჭრათ ძაფი შუაზედ?" მოწაფე — უნდა ვიპოვოთ შუა ადგილი და იქ გავსჭრათ. მასწავლებელს გაჰყავს დაფაზედ სიგრძით სწორი ხაზი და შემდეგ ჰკითხავს: „როგორ გავყოთ ეს ხაზი შუაზედ?" მოწაფ. შუა ადგილი უნდა წავშალოთ და ვაყოფილი იქნება ორ თანასწორ ნაწილად. მასწავლებელი ამ ხაზს ჩვენ გავყოფთ შუაზედ თუ შუა ადგილზე დავსვამთ წერტილს. რამდენ ნაწილად გავყავით ეს ხაზი? მოწ. — ორად. მასწ. „რომელი ნაწილია უფრო დიდი?" მოწაფ. ორივე თანასწორია. მასწავლებელი — „რას ვუწოდებთ ამ ხაზის ერთს ნაწილს?" მოწაფე — ნახევარს. მასწავლებელი — „როგორ გაუყოფთ სამს ვაშლს ორ ბავშვს თანასწორად?" მოწაფე — ჯერ ორ ვაშლს გავუყოფ, თითოს შეეხვდება თითო მთელი ვაშლი, შემდეგ ერთ მთელს გავჭრი შუაზედ და თითო მიიღებს კიდევ ნახევარს, სულ ერთს მთელს და ნახევარს. მასწავლებელი „სამი თაბახი ქაღალდი რომ ორს გავუყოთ თანასწორად, რამდენი შეხვდებათ?" მოწაფე ერთი მთელი და ნახევარი, ანუ მთელ ნახევარი. ამას მოჰყვება ვარჯიშობა 5, 7 და 9 ორად გაყოფაზედ. სწორი ხაზის ოთხ და რვა თანასწორ ნაწილებად დაყოფით მასწავლებელი მიყოლებით მიახვედრებს მოწაფეებს რას ნიშნავს $^1/_4$, $^1/_8$.

შემდეგ მოხდება ხაზის აღნიშნული ნაწილების შეფარდება, შედარება და პასუხები შემდეგს კითხვებზე: მასწავლებელი — „ერთ გირვანქაში რამდენი ნახევარი გირვანქაა?" მოწაფე — ორი. მასწავლებელი — „ერთს გირვანქაში რამდენი მეოთხედია?" მოწაფე — ოთხი. მასწავლებელი — „მაშ ნახევარ გირვანქაში რამდენი მეოთხედია?" მოწაფე — ორი. მასწავლებელი — ერთს გირვანქაში რამდენი მერვედი იქნება?" მოწაფე — რვა. მასწავლებელი — „ერთს მეოთხედ გირვანქაში რამდენი მერვედია?" მოწაფე — ორი. მასწავლებელი — ნახევარი რამდენჯერ მეტია მეოთხედზედ?" მოწაფე — ორჯელ. მასწავლებელი — „მეოთხედი რამდენჯერ არის მეტი მერვედზე?" მოწაფე — ორჯელ. მასწავლებელი — „ნახევარი რამდენჯერ მეტია მერვედზე?" მოწაფე — ოთხჯერ.

შემდეგ გაკვეთილზე მოწაფეებს უნდა მიეცეს გასაკეთებლად ამოცანები ხსენებულს ნაწევრებზედ.

სოკოების გარჩევა

(გერმანულიდან)

ის, რასაც ჩვენ საუროდ ვსთვლით სოკად, შეადგენს მარტო ერთ ნაწილს ოვით მტენარისას, სახელდობრ, ნაყოფს, რომელიც შეიძლება შევადაროთ დიდ მტენარის უვავილს.

სოკოები მრავლდება ასე: მიკროსკოპიული ჰატარა მარცვალი (თესლი) ხვდება მდიდარ სისველეში, ტეისა ან მინდვრის მიწის ზედაგზე, რომელიც შესდგება კანცალკევებულ დამპალ მტენარეებისაგან და აქ, ამ ნაეოფიერ მსუქან მიწაში, იზრდება (მრავლდება); ჰირველად ჩნდება რბილ ნაბადსავით



ის სოკოები, რომელთაც ჯვარი უზის, შხამიანია.

I სურ. ქამა სოკო. ანუ მინდვრის სოკო (საპმელია) II სურ. † Knollenblätterschwamm, ძლიერ შხამიანია III † შხამა სოკო, შხამიანია. IV ნიყვი, ანუ წითელი სოკო, საპმელია. V † შხამიანი ნიყვი, შხამიანია. VI მჭადა ანუ რძიანი სოკო, საპმელია. VII † Speiteufel, შხამიანია. VIII—მანჭიკონარა სოკო, საპმელია. IX—Buttepilz, საპმელია. X—არყა სოკო, საპმელია. XI—Моховикъ (Boletus edulis) საპმელია. XII † ეშმაკის სოკო, შხამიანია. XIII—Semmetpilj, საპმელია, XIV—მიმინოს ფაშვა, საპმელია. XV ა) გერმანული ტყურფლი, საპმელია. ბ) ირმის ტყურფლი. XVI ა) გუდაფშუტა სოკო. ბ) † კარტოფელა ანუ შხამიანი გუდაფშუტა სოკო. XVII—ხარის ფაშვა, საპმელია. XVIII—ჯუჯა ანუ მოშავო სოკო, საპმელია. XIX—თხისწვერა სოკო, საპმელია. XX—ჯონჯოლა ანუ ირმის ბაწარა სოკო, საპმელია.

მრავალი შტოები, ისეთი, უმეტეს ნაწილად თეთრი ძაფებისაგან სოკოს ძირი, რომელიც სასურველ ადგილს მიწიდან, რაც ამიტომ შეგვიძლია შევადაროთ ბიდ მცენარის ფესვებს.

თუ სოკოს ეს ძირი კარგად განვითარდა, მაშინ კარგ პირობებში (თბილი წვიმა) ჩნდება კვერცხის ნაირი მრგვალი ფერო, რომელიც იზრდება მაღლა, ჩქარა და მაგრად ვითარდება, ამოეფეს თავს მიწიდან და იქცევა სოკოდ. ფეროსა და ქუდ შუა ჩნდება ბატარა ნაწილები, რომელნიც იძლევიან თესლს შემდეგ შთამოშავლობისათვის.

როგორც დიდ მცენარეებს ვარჩევთ ჩვენ ერთმანეთისაგან, ისევე შეგვიძლია გავარჩიოთ სოკოები ერთი შეორისაგან ფერადებით, ფერით და ქუდით. სოკოების უმეტეს ნაწილს აქვს ქუდისნაირი ფორმა. ვინც სოკოსა ჭკვეფს, მან ის კი არ უნდა მოგლეჯოს ხელით, არამედ მიწის პირად უნდა მოსჭრას, რომ არ ავნოს ნორჩ სოკოს შემდეგისათვის. კეფეთ დროს უნდა ერიდოთ იმ სოკოს, რომელიც გასვრილ-გაჭუჭყიანებულია მწერებისაგან, და უნდა ჭკრიფოთ უმეტეს ნაწილად ნორჩი სოკოები. თუ სოკო წვიმის დროს არის მოკრეფილი, ის მალე ლპება და ამიტომაც უნდა მაშინვე გაკეთდეს ან კიდეგ გაშრეს.

შეგვიძლია გავარჩიოთ შემდეგი სოკოები:

1) ქამა სოკო, ანუ მინდვრის სოკო (Agarici), საპმელი—ნახატი I.

ეს სოკო არის რგოლიანი, მაგრამ უბუდოთ ფეროს დასაწყისში და უმეტესად ქუდზე. ქამა სოკო, სუკეთესო სოკოა. ქუდი დასაწყისში მრგვალი აქვს, ქოლგის მსგავსი და შემდეგ თანდათან სწორდება. სიგანით არის 6—14 სანტიმეტრი. ზევითი კანი ადვილად სცილდება. ხორცი აქვს თეთრი, და თუ ჩვენ რომელსმე ადგილს ქამა სოკოს დავჭრით, იმ ადგილს თეთრი ხორცი იცვლება ბა წითლად. სუნი და გემო ქამა სოკოს აქვს კაკლის მსგავსი. ფურცლები ფეროსთან არ ერთდებიან, მხოლოდ მისკენ მიმართულნი არიან და დგანან ერთი შეორესთან ძლიერ მჭიდროდ. ფერო სიმაღლით 6—8 სტმრ. აქვს და სისქე—1—2 სტმ. ფერო ძირში უფრო სქელია ვიდრე მაღლა. ფერო აქვს თეთრი და დაახლოვებით ქუდსა და ფეროს შუა შემორტყმული სქელი თეთრი რგოლი აქვს. მოდის მინდორსა და ბაღებში ითბითვიდან დგინობისათვემდე. მოდის მთელი წელიწადი, უმეტეს ნაწილად სასუქით გაუმჯობესებულ მინდვრებში.

† 2) Knollenblätterschwamm (Amanita phaloides). ძლიერ შხამიანია—ნახატი II.

ქუდი სიგანით აქვს 6—8 სტმრ. ფერი ეცვლება. უმეტეს ნაწილად თეთრია, მაგრამ არის აგრეთვე კიდევ მომწვანო და მოყვითალო ფერისა. მას ზევითა კანი არა სცილდება. ზევითა კანი ხშირად შეიმოსება ხოლმე ადვილად გადასარეცხ თეთრი, მეჭეჭებით. ხორცი აქვს მოთეთრო და გემო სასიამოვნო. ფურცლები ფეროსთან არ ერთდებიან. ფერო აქვს მოთეთრო; სიმაღლით არის 8—10 სტმრ. თავიდან ფერო სავსეა და შემდეგ კი ნელ-ნელა ცარიელდება. ფეროს ზევითა ნაჩეკარითან შემოკრული აქვს მოთეთრო, ან მოყვითალო რგოლი. ფერო მაღლა უფრო ვიწროა, ვიდრე დასაწყისთან. მოდის ნაძვისა ან ფოთლოვან ტყეებში. მოდის აგრეთვე მინდვრებშიც მკათათვიდან—გიორგობისთვემდე. თუ ნორჩია, შეიძლება მივიღოთ ქამა სოკოდ. ქამა სოკოსაგან განირჩევა მხოლოდ მით, რომ თუ გადავტეხავთ, ფერდის ფერი ფურცლები არა აქვს, როგორიც აქვს ქამა სოკოს.

3 † შხამა სოკო (Amanita muscaria) შხამიანია ნახატი III.

ქუდი მას წითელი აქვს, სიგანით 8—20 სტმრ. და შემოსილია თეთრი მეკბეკბებით, რომლებიც შეიძლება წვიმისაგან გაფარეცხილი იყოს. ხორცი და ფურცლები თეთრი აქვს. ღეროს სიმაღლე 8—25 სტმრ. აქვს, სიგანე ღეროს ზევითა ნაწილისა 1—2 სტმრ. და ქვეითა ნაწილი კვერცხის მაგვარი აქვს. ღეროს ზევითა ნაწილთან შემოკრული აქვს თეთრი რგოლი. მოდის ტუეში მკათათვიდან გიორგობისთვემდე.

შხამა-სოკოს მაგვარნი არიან მეფის, ვეფხვის და რძიანა სოკოები.

4. მეფის სოკო (Amaita caesarea) საქმელია.

შესახედად მეფის სოკო ძლიერ ჰგავს შხამა-სოკოს: ქუდი აქვს ფორთოხლის ფერისა, სქელი და თეთრი მეკბეკბებით მოჭედილი. ფურცლები, ღერო და ხორცი აქვს ყვითელი.

5. † ვეფხვის სოკო (Amauita pantherina) იქმევა.

თუ გადავცალეთ ზევითა კანს (თუმცა ეს ჯერ-ჯერობით სრულიად არ არის გამოკვლეული), ზევითა კანი ქუდისა დარჩენის ფერისაა, აქვს თეთრი მეკბეკბები და გამოიეურება ვეფხვის ტყავსავით. ფურცლები, ხორცი და რგოლი (ღეროზე) თეთრი აქვს. მოუვანილოობით თითქმის შხამა-სოკოსს ჰგავს.

6. რძიანა სოკო (lactariae) საქმელია.

ეს შეიძლება ვიცნოთ მით, რომ მას არა აქვს რგოლი ღეროზე და თუ გადავტეხავთ ან გადავჭრით, რძე იწყების დენასა.

7. ნიყვი ანუ წითელი სოკო (lactaria deliciosa) საქმელია. ნახატი IV.

ქუდი სიგანით 3—9 სტმრ. აქვს და ფერი წითელი. დაჭრილ ან დაშავებულ ადგილს მწვანე ფერისაა. დასაწყისში მშვილდივით მოკაკულია და შემდეგ თანასწორდება ძაბრის მიმაგვარად. ქუდის ნახირები უთმო აქვს. ზევითი კანი ნამთან დარში დაბეა. ფურცლები ღეროსთან ერთდებიან. ხორცი მოწითალო-მოყვითალო აქვს. შეიცავს კეთილ სუნელოვან (არომატიულ) ფორთოხლის ფერის რძეს. ხორცი გემრიელი აქვს. ღეროს სიმაღლე 2—6 სტმრ. აქვს და სისქე—1—1,5 სტმრ. ფერი ისეთივე აქვს, როგორიც ქუდს. მოდის ტუეებში და ჭაობიან ადგილებში მარიამობისთვიდან გიორგობისთვემდე.

საჭმელ ნიყვის ახლოს ხშირად მოდის შხამიანი ნიყვი.

8. † შხამიანიანი ნიყვი (lactaria torminosa). ითვლება შხამიანად. ნახატი V.

ძლიერ ჰგავს საჭმელ ნიყვს, მაგრამ ქუდის ნახირები დაკეკუნებული აქვს. რძე აქვს თეთრი. ხორცს ძლიერ მსუსხავი გემო აქვს. გაჭრის დროს ქუდს არ ემჩნევა გაჭრილ ადგილს მომწვანო ფერი. მოდის ფოთლოვან ტუეებში, ჭაობებში და ხშირად არეის ხის ქვეშ თიბათვიდან გიორგობისთვემდე.

9. მეჭადა ანუ რძიანა სოკო (lactaria volema) საჭმელია. ნახატი VI.

უუბოი აქვს რძისა და წვეინიც თეთრი. ქუდი სიგანით 5—10 სტმრ. აქვს, მოწითალო-მოყვითალო ფერისაა. ხორცი ფერმკრთალი, მაგარი და სქელი აქვს და შეიცავს ბეგრს თეთრ მშვენიერ, სასიამოვნო გემოს რძეს. ძველს აქვს დიფსიტი თეგზის გემო. ფურცლები ერთი მეორესთან ძლიერ მჭიდროდ არიან მიკრულნი. ღეროს სიმაღლეა 5—12 სტმრ. და სისქე 1—2 სტმრ. ფერი ქუდისავე აქვს. მოდის ფოთლოვან ან ნაძვის ტუეში თიბათვიდან ენკენისთვემდე.

10. მწვანე სოკო (tricholomae) საჯმელია.

ქუდი აქვს ბრტყელი (შუაში კუზიანია აქვს) სიგანით 10 სტმრ. ფერო მოკლე აქვს, ისე რომ სოკო ძლიერ ტოტად შორდება მიწის ზედაპირს. ქუდი დარიჩინის ფერისა აქვს. მოდის ნაძვის ტყეებში გვიან შემოდგომაზე.

11. † Speiteufel (Russula emetica) შხამიანია. ნახატი VII.

ქუდი სიგანით 5—10 სტმრ. აქვს. უმეტეს ნაწილად წითელია (სისხლის ფერი); ხშირად ხდება ფერშეერთადი და ეძლევა მოწითალო—დარიჩინის ფერი. ხორცი თხელი აქვს და მალე ტუდება. ფურცლები თეთრი აქვს, რომლებიც საკმარისად შორს დგანან ერთი-მეორესთან და ფეროსთან არ ერთდებიან. ხორცი თეთრი აქვს და თუ გაანალრობი ზეითა კანს, გამოჩნდება ხორცი მოწითალო ფერისა. გეშო ცხარე აქვს. სიმაღლე ფეროსი 6—8 სტმრ. არის და სისქე— 1—1½ სტმრ. შიგნით ღრუებულია და კარგად—თეთრი ან წითელი. მოდის ტყეებში თებერვალიდან გიორგობისთვემდე.

12. ნიორა სოკო (Marasmius alliatus=M. scorodonius) საჯმელია.

ძლიერ ხშირად იხმარება მოხარაკულ საჯმელში. ქუდი სიგანით 1—2 სტმრ. აქვს მოთეთრო-მოწითალო ფერისა. ხორცი აქვს თხელი და მოთეთრო. გეშო და სუნი ნიგრისა აქვს. ფურცლები აქვს ძლიერ თხელი, მიმაგვარი თხელი კანისა, ფერად თეთრი და შეხორცებულნი არიან ზეითი ფეროსთან. ფეროს სიმაღლე 2—4 სტმრ. არის და სისქე—1 მილიმტრ. ქვეითი მოშავო და ზეითი მოთეთრო ფერისა. მოდის ტყეების ნაპირებში თებერვალიდან ივნისობისთვემდე.

13. მიხაკის სოკო (Marasmius caryophylleus=M. Oriades) საჯმელია.

ქუდი დიადარიჩინის ფერისა აქვს. სიგანით 2—6 სტმრ. ფურცლები აქვს თხელი და ერთი მეორესაგან თავისუფლად არიან დეროს სიმაღლე 4—8 სტმრ. არის და სისქე—3—4 მილიმტრ. სუნი აქვს მიხაკისა და სასიამოვნო გეშოსია. მოდის ტყის გზის ნაპირებში მაისიდან ზაფხულამდე.

14. მანჭიკორა სოკო (Cantharellus cibarius) საჯმელია. ნახატი VIII.

მთელი ნაყოფი ძლიერ ხორციანი აქვს. ფერი აქვს კვერცხის ცილის ნაირი და ხან და ხან დიან მოუვითალო ფერისაა. ქუდის სიგანე 8 სტმრ. არის. დასაწყისში მშვილდივით მოკაკული, შემდეგ შუაში იწევა ძაბრის მიმაგვარად და იქცევა ნელ-ნელა ფეროდ, რომელიც ქვევით სქელდება და სისქით არის 1—1½ სტმრ. აგრეთვე ფერო აქვს ავსე და მაგარი. მთელი ნაყოფის სიმაღლე ახწევს არა უმეტეს 6 სტმრ. ხორცი მოუვითალო და ზოგჯერ შიგნით თეთრი აქვს. გეშო ცოტად მაგარი აქვს. მოდის თოთლოვან და ნაძვის ტყეებში მკათათვიდან გიორგობისთვემდე. უნდა ერიდოთ ფორთოხლის ფერის სოკოს, რადგანაც ის შხამიანად ითვლება და ძლიერად ჰგავს მანჭიკორა სოკოს. ფეროს ქვევითა ნაწილი ორფალი ანუ მტრედის ფერისა აქვს.

15. Buttepilz (Boletus luteus) საჯმელია. ნახატი IX.

ქუდი მოუვითალო, უმეტესად უფრო მოუვითალო-დარიჩინის ფერისა. ნამიან დროში ადვილად სველდება თხელი კანი. ქუდის ნაპირები ფეროსთან არის შეერთებული. ფერო ქვევით არის დარიჩინის ფერისა და რგოლ ზეითი კი—მოუვითალო. ხორცი შუადამ შეუცვლელად მოუვითალო-მოთეთრო აქვს. სუნი

და გემო კი ხიდისა მოდის ტუეებში მკათა-თვიდან დვინობისთვემდე.

16. არყა სოკო (Boletus scaber) სუ-ფელია. ნახატი X.

ქუდი მოწითალო-დარიჩინის ფერისა აქვს ან მოდეურჯო—დარიჩინისა. ნამიან დარში დაბეია, დერო აქვს ტანადი, მოყვანილი, შემო-სილია მრავალ რიცხოვან წვრილ მეუბეებით, რომლებიც თან და თან შავდებინ. ხორცი მუდამ თეთრი და შეუცვლელი აქვს. მოდის არეის (ნაძვის) ტუეებში და ბუჩქებში მკათა-თვიდან დვინობისთვემდე.

17. Моховикъ (Boletus edulis) სუ-ფელია. ნახატი XI.

სუფელად ძალიერ მშვენიერია. ქუდის სიგა-ნე 11—20 სტმრ. და ზოგჯერ კიდევაც გა-ნიერი აქვს. ფერი აქვს მოთეთრო, შაგრამ მალე ეცვლება მოშავო დარიჩინის ფერად. აქვს დულად დახვეული კანი, ჰირველად თეთრი, შემდეგ მომწვანო და არა წითელი, რომელიც შესაშინეველად განიჩეკა დერისაგან. ხორცი აქვს თეთრი და თუ გადვტეხავთ, ფერს არ იცვლის. დერის სიმაღლე 16 სტმრ. და სისქე 4—6 სტმრ. აქვს. აქვს სხვა და სხვა ფორმები. მოდის ბუჩქებში, ფოთლოვან და ნაძვის ტუეებში მკათათვიდან გიორგობისთვემ-დე.

18 † ეშმაკის სოკო (Boletus Satanas) შხამიანია. ნახატი XII.

ძალიერ ჭეავს моховикъ-ს. მარტო კან-სხვავდება მით რომ ამას ძარს დერის დასა-წყისში აქვს რამდენიმე მოდიგით ნაწოდები ან ფორთოხლის ფერისანი. დერო ზევით მოყვითალია. ხორცი კადტეხილ ალაკს იღებს მოლურჯო-ყომრალ ფერს.

19. თხის ტუჩა სოკო (Boletus subtomentosus) სუფელია.

ქუდი моховикъ-ს უგავს, უფრო ნაზია. სიბერის დროს ზედ ემჩნევა ყვითელი ან წი-თელი ნახეთქები. დერო აქვს მოყვანილი; ხორცი აქვს მოთეთრო-მოყვითალო და თუ გადვტეხავთ, დურჯ ფერს იღებს.

20. ძროხის სოკო (Boletus bovinus) სუფელია.

ქუდი მოყვითალო-მიხაკის ფერისა აქვს. ხან და ხან მოკაკულია. ხშირად რამდენიმე ქუდი ერთად ერთდება. დერო მსხვილი და თანასწორი აქვს. ხორცი—მოყვითალო-მოთეთრო.

21. Semmelpilj (Polyporus confluseus) სუფელია. ნახატი XIII.

თუ დაძველდა მომწარო გემო ეძლევა. სა-ნაყოფო აქვს ძალიერ ხორციანი, ხმელი და ადვილად გადასტეხი. ქუდები თანასწორნი არ არიან, სიგანით 12—15 სტმრ. ზევითა კანი (ქუდისა) ნორჩობისას ლაბი, მოთეთრო-მოწითალო ხორცის ფერისა აქვს. უმეტეს ნაწილად უფრო მოყვითალო. ხორცი აქვს თეთრი და მაკარი. დერო ძალიერ სქელი, მოკლე და თეთრი. მოდის ნაძვის ტუეებში მარიამობისთვიდან ენკენისთვემდე.

22. მიმინოს ფაშვა Hjdnum-imbricatum= Phaedon imbricatus) სუფელია. ნახ. XIV.

ქუდი სიგანით 4—15 სტმრ. აქვს და ზოგჯერ 25 სტმრ. არის სწორე, მრგვალი, ხორციანი და დარიჩინის ფერისა. ზედ აქვს ფხები სიგრძე 5—6 მილმტრ. ჰირველად თეთრი და შემდეგ დარიჩინის ფერისა. ხორ-ცი აქვს მაკარი, თეთრი და მოყომრალო ფე-რისა. დერო მაკარი და სიმაღლით 2—5 სტმრ. აქვს, მოყომრალო-მოთეთრო ფერისა.

მოდის ნაძვის ტუეებში. ენკენისთვიდან კიორ-
კობისთვემდე.

23. გერმანული ტუურფლი. (tuber-
aestium) საჭმელია. ნახატი XV a.

იზრდება მიწის ქვეშ, რომელსაც ზევიდან
კაკაკრული აქვს დამშალი მცენარეები ან ტუის
დამშალი ფოთლები. იზრდება კაკალის და
მუშტის ოდენაც, შიგნით არის მუქი ფერისა
და კანი აქვს დარიჩინის ფერისა. თუ კაკაკ-
ჭრით, გამოჩნდება მაგარი და ბადის მიმაგგა-
რი ხორცი. გემო და სუნი აქვს კეთილსუნ-
ნელოვანი (არომატიული). მოდის ტუეებში
ენკენისთვიდან კიორკობისთვემდე.

24. ირმის ტუურფლი. (Elaphomyces-
granulatus) ნახატი XV в.

ეკარგისია და არცა ხმარობენ საჭმელად.
მოდის მიწის ქვეშ და იზრდება ქოთმის კვერ-
ხის ოდენა.

25. გუდა-ფუშუტა სოკო (Bovista-plumbea)
ნახატი XVI a.

საჭმელად კამოდგება ნორჩი, თუმცა ამის
რჩევა არ შეიძლება. ნაყოფი კვერცხის მიმაგ-
გარი და რგვალი აქვს, მიწის ზევით ამოსუ-
ლი. უმეტეს ნაწილად სიგანე აქვს 1, 3—2
სტმრ. ნორჩობასს თეთრია. თუ ცოტად
დაბერებულია, მისი ჭამა ეოვლად შეუძლებე-
ლია. მოდის ველზე და მინდორში ენკენის-
თვიდან კიორკობისთვემდე.

26. † კართოფელა ანუ შხამიანი გუდა-
ფუშუტა სოკო (Sclero-derma vulgare). ნა-
ხატი XVI в.

არის შხამიანი. ღერო თითქმის არა აქვს;
ნაყოფი თითქმის მოლად მიწაში ზის. საერ-
თოდ რგვალია ან კვერცხის მიმაგგარი. იზრ-
დება კვერცხის ან მუშტის ოდენა. თუ შუაზე
კაკაკჭრით, ვნახავთ მოდურჯო ნაყოფს. გე-
მო და სუნიც სასიამოვნო არა აქვს. მოდის
ტუეებში და ბუჩქებში მკათთვიდან კიორკო-
ბისთვემდე.

27. ხარის ფაშვა. (Morchella—esculenta)
საჭმელია ნახატი XVII.

ღერო ძირის დასაწყისთან მომსხო, მორ-
გვალო და ნაკეცებიანი აქვს. სიმაღლით 3—9
სტმრ. აქვს. ღერო მოთეთრო და შიგნით
ცარიელი. ქუდი აქვს კვერცხის მიმაგგარი,
სიმაღლით 3—6 სტმრ. და სიგანით 3—5
სტმრ. ფერი აქვს მიწისა ან დიადარიჩინისა.
ქუდი ღეროსთან შეერთებულია. მოდის ტუე-
ებში და ბაბურულ ბალახებში, აპრილიდან
დვინობისთვემდე.

28. ჯუჯა ანუ მოშავო სოკო (gyromitra
esculenta=Helvella—esculeuta). საჭმელია.
ნახატი XVIII.

შეიძლება საჭმელში ხმარება. ღერო ძლიერ
ხორციანი აქვს, ციდინდრიული, უთანასწო-
რო, მოთეთრო; სიმაღლით 3—9 სტმრ. და
სისქით $1^1/_2$—3 სტმრ. ქუდი უთანასწორო
აქვს, უაფის ფერისა. სიგანით 2—8 სტმრ.
მოდის ეკლოვან ტუეებში ან უმეტეს ნაწილად
ფიჭვის ტუეებში და ქვიშიან მიწაში, აპრი-
ლიდან შემოდგომამდე *).

უსათუოდ საჭიროა ეოველთვის ეს სოკოე-
ბი მოიხარშოს მარილიან წყალში და წყალი
გადიგვაროს, ეოველი უბედურების თავიდან
ასცდენად.

---

*) რობგორც ხარის ფაშვა, ისევე მოშავო სო-
კოები ძლიერ ცუდად მოქმედობენ და ხშირად
ამათგან მოწამლვა ხდება; თუმცა ეს ჯერ-ჯერო-
ბით არ არის გამოკვლეული, თუ ეს სოკოები
რად არიან ხან და ხან შხამიანები და ხან და
ხან არაშხამიანები.

29. თხის წვერა სოკო (Sparassis crispa) სუნელიანი. ნახატი XIX.

ღერო აქვს ხორციანი, სქელი და მთლიანი. აქვს მრავალ-რიცხოვანი ფოთლის მიმაგავარი ნაწილები. სიგანით მთელი სოკო არის 5 35 სტმრ. და სიმაღლით 12 სტმრ. ზორგელად მოყვითალო-მოთეთრო ფერისა და შემდეგ მუქი ფერისა. მოდის ნაძვის ტყეებში, მარიამობისთვიდან გიორგობისთვემდე.

30. ჯონჯოლა ანუ ირმის ბაწარა სოკო. (Clavaria botris) სუნელიანი. ნახატი XX.

ღერო აქვს ბუჩქის მიმაგვარი; სიმაღლით 5 სტმრ. მდიდარია ტოტებით და სიგანით 16 სტმრ. და სიმაღლით 8 სტმრ. არის. ტოტები მოკლე, უთანასწორო და დალმეწილები აქვს, მოყვითალო-მოთეთრო, მოკლე და წიოთელ შტოებად დაყოფილი. ხარშვის დროს ბოლოები უნდა დაეჭრას, რადგანაც, თუ ხარშვაში შეჰყავ სუნელს მომწარო გემოს და აგრეთვე მოსანელებლად ცოდ ნიეთიერებას აძლევს. მოდის ტყეებში მკათათვიდან ღვინობისთვემდე.

31. ყვითელი ანუ მარჯანა სოკო. (Clavaria flava) სუნელიანი.

ძლიერ ჭკვეს ჯონჯოლა სოკოს. აქვს მდგომარე ტოტები, რომელთაც მრავალი ულორტები აქვთ. იშვევა მხოლოდ ნორჩობის დროს.

სოკო როგორც საჭელი მასალა.

შხამიანი სოკოები

საერთოდ სოკო შესდგება $9/_{10}$ წყლისაგან, დანარჩენი ნაწილი $^1/_4$ შეადგენს კაცისათვის მარგებელ ცილას. 1 კილოგრამი ახალი სოკო შეიცავს იმდენისვე სასარგებლო ცილას, რამდენსაც 100 გრამი ახალი ხორცი. ცილის გარდა სოკო შეიცავს ცოტაოდენ სიმსუქნესაც, გახსნილ და გაუხსნელ ნახშირ-წყალს და ფოსფორს. სოკო მოსანელებლად ძლიერ ძნელი არის და ამიტომ ავადმყოფ კუჭისათვის არ გარგა. საერთოდ სოკოს ბევრი ხარშვა სჭირია, რომ კუჭმა ადვილად შეიძლოს მისი მოსანელება. უმეტეს ნაწილად სოკოს ამზადებენ ურბოთი, ფქვილით და კვერცხით. უკეთესი სოკოები არიან: ქამა, ტეფრფლი და ხარის ფაშვა. უსენი არიან არამაგარეული და სუნელდოვანი სანელებელი სუნელისა.

სუნელიანი ანუ ხარშარებელი სოკოები არიან: Steinpilz (Boletus edulis), მასლეკოვი და Semmelpilz (Polyporus confluens). ოუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ ეს სოკოები, რომელიც სუნელიანი ეხარშება, შხამიანი იყვეს, თუ ძველი ან გაფუჭებული იქნება. რადგანაც სოკო მალე ფუჭდება, ამიტომ, მოკრეფის შემდეგ, მაშინვე უნდა მოეზადდეს, ან მაშინვე შეუდგნენ მის გახმობას. სოკოები ერთი მეორის ტოტად მოშორებით უნდა ეაბნეს ძაფზე და გასახმობად ჩამოიკიდოს მზეზედ ან ცეცხლის სიცხოველზე. ამმზარეულოსთვის ეხმარება მხოლოდ ახალი სოკო, რომელის ხორციც ჯერ დამუჭყნარი, დამშალი და წყლიანი არ არის. მიაქციეთ ჯეროვანი ყურადღება შხამიან სოკოებს!.. ჯერ-ჯერობით დანამდვილებით არ არის გამოკვლეული, თუ როგორ შეიძლება შხამიან სოკოს ცნობა. სოკოში ჩაგდებული ვერცხლის კოვზი და ან კიდევ შიგ ჩაერილი ხახვი ეოველთვის არა ჭნსინის სოკოს შხამიანობას. სწორედ ამ ზღაპრების მიმდევარი ოჯახები ბევრი გაუმეტყვერენ სიაქიოს. მხოლოდ სოკოების ნამდვილ ცოდნას შეუძლია დაიფაროს კაცი მოშხამვისაგან.

სოკოსაგან მოშხამვა და მისი განმარტება.

რამდენთაც სოკო სხვა და სხვა არის, იმდენთაც მათი მიზეზით ავადმყოფობა სხვა და სხვა არის. თითქმის ერთსა და იმავე სოკოს

შეიძლება სხვა და სხვა შხამა ჭქონდეს, იმის მიხედვით, თუ როგორ ნიადაგში ან ჭაერში არის მოსული. თითქმის ექიმებისთვისაც ძნელია ამ ავადმყოფობის გამოცნობა და გამოკვლევა. საერთოდ უფრო ცუდ ავადმყოფობასა ჭეგრის კცსა, თუ საჭმელი შესდგება სხვა და სხვა სოკოებისაგან. მოწამვლა უკეთ თავს იჩენს ერთი საათის შემდეგ. ერთ კამონაკლისს შეადგენს მხოლოდ შხამა-სოკო, რომელიც ზამის შემდეგეგ იძლევა მოწამვლის ნიშნებს: მოუსვენრობას, კანკალს და ტონების დაკარგვას. თითქმის არასდროს არ ხდება ბირღებინება, მაგრამ ზოგჯერ კი ხდება ხოლმე, ტანში მოშლა და მუცლის ტკივილი. შეიძლება მოწამლულს მოუნდეს ძლიერ წყლის სმა, მოუვიდეს გულის ფრიალი და შემდეგ მოსდევს სიკვდილიც. სხვა სოკოებისგან მოწამვლა თავს იჩენს მხოლოდ 4 ან 8 საათის შემდეგ. ამ შემთხვევაში ძნელია მოსალოდნელია კაცის მორჩენა, რადგანაც მაშინ შხამი ტანში მთლად გამჯდარი. თუ გრძნობთ რაიმე უსიამოვნებას (ავადმყოფობას), მაშინვე მიმართეთ ექიმს საშველად. თუ ექიმის მოსვლამდე ბირღებინება არა გქონდათ, იმ შემთხვევაში ძალად უნდა გამოიწვიოთ ბირღებინება თითის საშუალებით. რომ რამენაირად კუჭიდან შხამი განსდეკნოთ. სიშის კარემოებაში ავადმყოფმა უნდა დადგეს 1 ან 2 საჭმლის კოვზი სფალრათო ზეთი, შეიძლება მუცელზე ცხელი ტიტოები შემოეკრას ან კიდევ ავადმყოფი ცხელ წყალში ამბანოთ.

მხოლოდ ზემოხსენებულ პირობებში შეიძლება კაცის გადარჩენა და ეოველ მოწამვლის თავიდან აცდენა.

რევაზ ბედევანიშვილი.

ზოოლ-ფსიხოლოგია.

დ—რი რუ (ბარიზი)

ლაპარაკი ცხოველთა შორის

ცხოველთა მომეტებულს ნაწილს—რძით მკვებავთ, ფრინველებს და მწერებსაც თავიანთი საკუთარი ენა აქვსთ, რომლითაც გამოსთქვამენ იმას, რის ახსნაც სწადიან და ისე საოგებლობენ თავიანთი ენით, როგორც ჩვენ ვსარგებლობთ ჩვენის ენით. ის ცხოველ-არსებანი კი, რომელნიც თევზსავით მოკლებულნი არიან ხმას, ტანის მოძრაობით ატყობინებენ სხვებს რაც უნდათ. ყველაზედ უფრო მდიდარი მეტყველების ნიჭი აქვს ძაღლს, კატას და ზოგიერთს ფრინველს. ჩარლზ კორნიშმა, (Charles Cornish), რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა ძაღლები, უწოდა მათ პოლიგლოტები, ე. ი. მრავალ ენაზე მოლაპარაკენი. ძაღლს არა თუ ესმის ყველაფერი, რასაც პატრონი უბრძანებს, ის ა'რულებს სხვა და სხვა ენაზედ მიცემულს ბრძანებასაც. ამის მაგალითს ვხედავთ კლონდაიკაში სადაც ძაღლებს უყვიდენ. პირველად კანადელები, შემდეგ—ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, რუსები და ინდოელები, რომელთაგან თითოეული მათგანი თავიანთ ენას ხმარობდა; არც ერთს შემთხვევაში ძაღლებს შეცდომა არ ჩაუდენიათ იმის ას-

რულებაში, რასაც უბრძანებდენ. ნორ-
დენშელდი და პირიც აღიარებდენ ამასვე
თავიანთ მოხსენებაში პოლიალურ ქვეყ-
ნებში მოგზაურობის დროს. ესკიმოსების
ძაღლებს ერთნაირად ესმოდათ შვედუ-
რი, ინგლისური და გერმანული ენები.

უელის მწყესები კელტურის ენით ელა-
პარაკებიან ინგლისურის ჯიშის ძაღლებს
და იმათაც ესმით გაგონილი სიტყვები.
ჩრდილო შოტლანდიაში გლეხებს საზო-
გადოთ სიჩუმე უყვართ; ისინი იშვიათად
დაელაპარაკებიან ერთმანეთს და ისიც
მხოლოდ მოკლე სიტყვით, ძაღლებს
მარტო შორისდებულით მისცემენ ბრძა-
ნებას; იმათაც ესმისთ ეს ბრძანება,
მაშინაც კი, როცა მარტივი ხორხისებ-
რივი ხმით არის გამოხატული და არც
უცდიან გამეორებას. ძაღლი წევს კერის
პირას, თითქმის უმოძრაოდ, მაგრამ ყური
ყოველთვის მახვილი აქვს, თვალებიდგა-
ნაც არ გამოეპარება არც ერთი მოძრაო-
ბა და, როგორც სენ-ჯონი ამბობს თავის
საყურადღებო ნაშრომში მთიან ადგი-
ლებში სპორტის შესახებ. ძაღლი ტუჩე-
ბის მოძრაობაზედ ატყობს რა ხდება და
რა უნდათ მისგან.

ძაღლი დათესილი მინდვრების სარწ-
მუნო დარაჯია,—არც ხარს, არც ცხვარს,
არც ცხენს და არც არავის ნებას არ აძ-
ლევს დათესილში შევიდეს.

„თქვენ შეგიძლიათ, გამოცადოთ ეს
ძაღლი გონება-გამჭრიახობაშიაო“.

— უთხრა ერთმა გრემპიენელმა ფერ-
მერმა (შოტლანდიაში) გამვლელ მონა-
დირეს.

ძაღლი იწვა და სთვლემდა, თავი წინ
გაშვერილ თათებზე დაედო. ფერმერმა
გულგრილად წარმოსთქვა: „მგონია ძრო-
ხა შევიდა კარტოფილის ყანაში“. ძაღლი
იმ წამსვე წამოვარდა ზეზე, გავარდა ფან-
ჯარაში, აირბინა გორაკზე, საიდანაც
მთლად მოსჩანდა დათესილი მინდორი.
გადაავლო თვალი, ძროხა ვერსად შენიშ-
ნა, გაიქცა ბოსელში, ნახა ძროხა, სადაც
მიბმული იყო და დაბრუნდა ისევ სახლ-
ში. ფერმერმა ერთის წუთის შემდეგ ისევ
ის სიტყვები გაიმეორა. ძაღლი ისევ გაი-
ჭრა გარეთ, მიიარ-მოიარა, დაათვალიე
რა და დაბრუნდა შინ. მაგრამ მესამედ
ძაღლმა მარტო თავი ასწია, სხვანაირად
გაიღიმა, კუდი გააქნია, თითქოს ამბობ-
და: „გავიგეო“, ისევ დაწვა, თითქოს
უნდოდა ეთქვა—მეტს ვერ მომატყუე-
ბო.

ძაღლებს, რომლებიც ოჯახში პატრონ-
თან დაახლოებით ცხოვრობენ, ესმით
ყველაფერი უსიტყვოდაც. ისპანელი სეტ-
ტერი ყოველთვის მიხვდება, როცა სანა-
დიროდ წასვლას აპირებენ, ის ხედავდა,
როცა თოფსა სწმენდდენ, ჩამოიღეს კაჩ-
ხიდან სანადირო ჩანთა, ავსეს თოფის
წამლით სასწრაფო, ისიც უკვე მზად არის
სანადიროდ, სანამ დაუძახებდნენ. ფინიამ
იცის, როცა სასეირნოთ წასასვლელად
ემზადებიან და ნელის წკავ-წკავით გამო-
ხატავს თავისს სიამოვნებას; სიხარულით
ცას ეწევა, როცა დიასახლისი ქუდს დაი-
ხურავს და ემზადება წასასვლელად. მაგ-
რამ სრულიადაც არ გაინძრევა მაშინ, თუ
საწვიმარ ქოლგას აიღებენ: იცის წვიმა
დაუშლის მის სასეირნოდ წაყვანას.

ძაღლს ხმების მთელი გამმა აქვს: ის
ყეფს, წკმუტუნებს, სტირის შემთხვევის
მიხედვით; ლაპარაკობს თვალით, კუდით,
მთელის სხეულით და მშვენიერადაც იცის,
რომ მისი მოძრაობა, როგორც მისი ენა,
ისე კარგად ესმისთ სხვებს, როგორც მას
სურს. ეს არის მისი ჩვეულებრივი ხერხი
ჩვენთან ლაპარაკისა, მაგრამ ძაღლი სხვა
ხერხსაც ხმარობს, როცა თავის ნათესა-

ვებს ელაპარაკება. ერთი ინგლისელი ნატურალისტი ფიქრობს, რომ ბევრს შემთხვევაში ძაღლებს უხმოდაც ეყურებათ ერთმანეთისა: აქ ხდება აზრის გადაცემა, იმას ასეთი ფაქტი მოჰყავს: პატარა ფინია იწვა ბაღის ღობეზე. ღობის ძირს მისი დედა იწვა. უცებ ლეკვი გამოიღვიძებს და კანკალებს. მან იგრძნო რაღაც, დაინახა დიდი ქოფაკი, რომელიც მორბოდა. ლეკვი ჩამოხტა ღობიდან და გაიქცა დედისაკენ. იმათ თავი მიადეს ერთმანეთს, ხმა არ ამოუღიათ, მაგრამ, ცხადია, მოილაპარაკეს. ორნივე უსიტყვოდ გარბიან შესახვედრად იქითკენ, საიდანაც მტერს მოელიან, არც პატარა ფინიას და არც მის დედას მარტო არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მტრისთვის, მაგრამ ორნი კი საკმაოდ ძლიერად გრძნობდნენ თავს, რომ მაგრად დახვედროდენ მტერს. ისინი ორნივე მივარდენ მოწინააღმდეგეს, რომელმაც იკადრა უკან დახევა. ეს საქმე ორივე დედა-შვილმა ჩუმად ჩაიდინეს.

ამ ცოტა ხნის წინად პარიზის ერთს მიყრუებულს ქუჩაში დავინახე ორი ძაღლი — ლეკვი და მოზრდილი. ისინი თამაშობდნენ, სწვდებოდნენ ერთმანეთს ყელში, მაგრამ არ კბენდნენ. დავაკვირდი. როცა დაინახეს, რომ მათ ვაკვირდებოდი, თავი დაანებეს თამაშს, ალბად შეეშინდათ, ეგონათ მე დავუშლიდი თამაშს. შემდეგ შევნიშნე თითქოს ერთი მათგანი ეუბნებოდა მეორეს რამე ეშმაკობა ჩავიდინოთო. მოზრდილი ძაღლი გაიქცა და მოშორდა იმ ქუჩას. მე გავყევი უკან. ის გაჩერდა ყასბის დუქანთან და შორი ახლოდან დაუწყო თვალიერება გამოფენილს ხორცეულობას. ხორცი კარებთანვე იყო, მაგრამ იქვე ყასაბი იდგა. ძაღლი დაბრუნდა თავის ამხანაგთან. ხმაც არ ამოუღიათ, არც უნიშნებიათ ერთმანეთისათვის, მაგრამ თითქოს მაშინვე შეიმუშავეს მოქმედების გეგმა. ერთად წავიდნენ და ჩუმად მიუახლოვდენ გამოფენილ ხორცეულობას. შეარჩია დრო, როცა ყასაბს დუქანში დაუძახეს, პატარა ძაღლმა სტაცა პირი ერთ ნაჭერ ხორცს, ორივე ქურდი გაიქცა მიყრუებულს ქუჩისკენ, სადაც არაფერი საფრთხე არ მოელოდათ, და არხეინად გაიყვეს ნაპარავი. ყველას ახსოვს პატარა ფინიას ამბავი, რომელსაც ბეითალმა მოტეხილი ფეხი მოურჩინა და რომელმაც მორჩენის შემდეგ იმავე ბეითალს მიუყვანა მეორე კოქლი ძაღლი და ერთგვარის წკმუტუნით, რომელშიაც იხატებოდა მადლობა, სთხოვდა დახმარება აღმოეჩინა თავის მეგობრისთვისაც.

ლონდონის ერთ სამკურნალოს ასისტენტებს შეუძლიათ დაასახელონ მსგავსი ფაქტები. სამკურნალოს ახლო წიგნების ვაჭარს ორი ძაღლი ჰყავდა. ისინი ყოველ დღე ხედავდენ, რომ თავ-პირ და ხელებ შეხვეული ხალხი მიდიოდა კლინიკაში. მიხვდნენ ძაღლები, რომ კლინიკა ისეთი ადგილია, სიდაც დაჭრილებზე ზრუნავენ? ასე თუ ისე, ისინი ერთს დღეს შევიდნენ კლინიკაში და თან შეიყვანეს ერთი დიდი კოქლი ძაღლი, რომელიც იმათ, ცხადია, საოპერაციო დარბაზში მიჰყავდათ.

—

კატა მეგობრულად ეკრუტუნება თავის სახლის პატრონს-დიასახლისს. მას მხოლოდ სიტყვები აკლია, რომ გაეგებინოს, მაგრამ სიტყვების მაგივრად გასაგებად კრუტუნებს. ერთს კატას ვიცნობდი, რომელიც საოცარ თვისებას იჩენდა. იმას კეკელ-მამულობა ასწავლეს. ეს კატა მიდიოდა სასტუმრო ოთახში და იქ ეძებდა თა-

ვისს დიასახლისს, რომ წასულიყვნენ სასეირნოთ. მოითხოვდა თვითონვე თავისს საყვარელ საჭმელს და ადგენდა საჭმლების სიას: ფილტვებს, ღვიძლს, ხბოს ხორცს, რძეს, სატაცურს და სახლის პატრონებსაც კარგად ესმოდა, თუ რა უნდოდა მას.

სახლთან ბაღი იყო. დანიშნულ დროზედ ის კატა ჩადიოდა ბაღში, ადიოდა ხეზედ და გადაჰყურებდა იქვე ტბას. ერთხელ მეორე კატამ, რომელსაც მახინჯი კნუტი ჰყავდა, მიატოვა თავისი შვილი. ეს კნუტი იშვილა იმ კატამ, რომელიც ზემოთ მოვიხსენიეთ. ამ კნუტის უწყალო კნავილზე ხიდანვე აძლევდა ნუგეშს, თითქოს ეუბნებოდა: „ნუ გეშინიან, მოვდივარო“. კატამ კბილებით ფრთხილად აიყვანა მიგდებული კნუტი და გაიყვანა მზეზედ; დედობრივს მზრუნველობას უწევდა, ანუგეშებდა და თითქოს ელაპარაკებოდა კიდეც. მიუხედავად ამ მზრუნველობისა საცოდავი კნუტი მოკვდა; კეთილის მყოფელი კატა ისე სწუხდა ამ ამბავს, რომ დიდ ხანს საჭმელი არ უჭამია. ამ ცხოველებმა, უეჭველია, ერთმანეთის გულის პასუხი იცოდნენ, საჭირო იყო მხოლოდ დაკვირვება, რომ დარწმუნებულიყავით ამაში. მე მიამბეს ერთი ამბავი მეორე შემთხვევაზე ძლიერ გამჭრიახ კატის შესახებ. ის გაჩნდა თავის სახლის პატრონის სახლში და მუდამ იქ ცხოვრობდა. ათი წლისა იყო, როცა სამგზავროდ წაიყვანეს. გრძელი გზა ჰქონდათ გასავლელი. კატა კალათში იწვა დამშვიდებული, მხოლოდ ხან და ხან სუსტი ხმით კნაოდა. როცა დანიშნულ ადგილას მივიდნენ, კატაც გაათავისუფლეს. იმ გლეხს, ვისთანაც მივიდნენ, ორი კატა ჰყავდა. კატების პირველი შეხვედრა რაღაც უნდობლობას წარმოადგენდა, მაგრამ ორი სამი დღის შემდეგ დამეგობრდნენ და ყველაფერში სრული თანხმობა ეტყობოდათ. სამნივე ერთად შეუდგნენ სადღაც ხეტიალს. ცხადად სჩანდა, როცა თავს მიაყრდნობდენ ერთმანეთს, რაღაც გეგმას ადგენდენ. მართლაც იმ ღამესვე გაჰქრა სადღაც ეს კატაც. ეს მის ცხოვრებაში პირველი ეშმაკობა იყო. სამ დღეს არ გამოჩენილა, მხოლოდ მეოთხე დღეს დილით დაბრუნდა და ეს დაბრუნება სასიამოვნო კნავილით ამცნო ყველას. ყოველს ეტკვნ გარეშე იყო, რომ იმ ორმა კატამ უთხრეს მას, რომ იქვე მახლობლად ნადირობა შეიძლებაო და იმანაც ისარგებლა ამ შემთხვევით. უეჭველია მან იგემა რომლისამე ჩიტის ხორცი, რადგანაც ნიკაპზე ჩიტის ბუსტაული ჰქონდა მიკრული.

ყველა ცხოველებში უფრო გასაგებია მაიმუნების ლაპარაკი. ჰარნერმა, ცნობილმა თავისი შესანიშნავი ცდით შიმპანზეს აღზრდით საფრანგეთის კონგოში, ამერიკის ჟურნალებში გამოაქვეყნა ახალი შედეგები თავისის დაკვირვებისა. ის ამტკიცებს, რომ მან არა თუ მოახერხა და გაეცნო მაიმუნთა ლექსიკონს, რაც ისედაც ვრცელი არ არის, მან მიაღწია იმას. რომ ასწავლა ოთხელ მოწაფეებს მკაფიოდ გამოთქმა ზოგიერთა ინგლისური სიტყვებისა, უფრო ერთ მარცვლოვანისა, რაც შეეხება მიხრა-მოხრის გამოხატვას, ან საგნების ჩვენებას. მაიმუნების ენაზედ ამოძახილი „eogk“ ნიშნავს „ლოდინს“ მეორე ხმა „ohney“ ნიშნავს „წყალს“. ზოგიერთი ბგერები, რასაც შიპანზე გამოთქვაბს, ვერ გამოითქმის კაცის მიერ. ამ სიტყვების შეგროვებით ჰარნერს შეეძლო შეედგინა ლექსიკონი, რასაც იგი მიჰმართავს ხანგრძლივ ლაპარაკის დროს. მაიმუნებს სრულად ესმის ყველა-

ფერი, რასაც ეუბნებიან და რა პასუხსაც აძლევენ მას. იგივე ხდება, როცა ის ინგლისურად ელაპარაკება მათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბევრს სიტყვებს არ ხმარობს და ნახმარი სიტყვების მნიშვნელობაში მაიმუნები არ ცდებიან.

პროფესორ უაიდმერმა მოახდინა მსგავსი ცდა ფსიხოლოგიურს კლინიკაში ფილადელფიაში შიმპანზეზედ, რომელიც მან აღზარდა.

„პეტრსის—ამბობს იგი,—შესანიშნავი ნიჭი ჰქონდა, იმას უეჭველად ჰქონდა მეტყველების ნიჭიც. მე უკვე შევასწავლე გამოთქმა სიტყვისა „mam-ma“ M—me Mac Ardle, რომელიც ზრდიდა მას და მასვე უფრო უგონებდა, ვიდრე მე, მშველის ამ საქმეში. მას ხელში უჭირავს წყლით სავსე ჭიქა, მეორე ხელს გააქნევს და ეტყვის „სთქვი: mam-ma“. პეტერი ცდილობს გამოთქვას, მაგრამ უძნელდება. ის უმეორებს ბრძანებას და თან დაუმატებს: „თუ არ გამიგონებ, წავალ“. ხელების ქნევით ემუქრება. მაიმუნს ესმის ყველაფერი და იმტვრევს ხელებს. ხელახლად ბრძანება სთქვი „mam-ma“. პეტერი ხმარობს უკანასკნელ ძალღონეს და მკაფიოდ წარმოსთქვამს: „mam-ma“, ის მიუგებს კითხვებზე: „სად არის mam-ma?“ უჩვენებს m-me Mac Ar'dle-ზე „სად არის papa?“ ის ეძებს ქმარს იმ ქალისას, რომელიც შორი ახლოს არის. „სად არის პეტერი?“, უჩვენებს თავის თავზე. ერთხელ მაგიდიდან ჩამოსულიყო, რის გამო სილა მიიღო თავის პატრონისგან, რომელმაც შეჰყვირა: „შენდობა ითხოვეო“. მან გაიშვირა სათხოვნელად ხელები ერთი სიტყვით ის ისე იქცევა, როგორც პატარა ბაღლი, რომელსაც ასწავლიან ლაპარაკს და უხსნიან სიტყვების მნიშვნელობას.

აუარებელი საბუთებით მტკიცდება, რომ მაიმუნებს მოსაზრებაც აქვთ და მეტყველების ნიჭიც. ბრემი, სხვათა შორის, გვიამბობს როგორ ემუსაიფებიან ერთმანეთს მაიმუნები. აფრიკაში მოგზაურობის დროს შეხვდა მას მთელი გროვა პავიანებისა. ბრემს თან ორი ძაღლი ახლდა, გამოედევნენ პოვიანებს. მაიმუნებმა მოჰკურცხლეს და გაიქცენ, უკან ჩამორჩა პატარა მაიმუნი, რომლის დაჭერა უნდოდა ბუნებისმეტყველს, მაგრამ როცა ძაღლები მიუახლოვდენ პავიანებს, იმათ ყველამ ერთად ისეთი სამხედრო ყვირილი ასტეხეს, რომ უნდოდათ დაეშინებინათ მტრები. იმავე დროს ერთი ბებერი პავიანი თამამად გაბრუნდა უკან. გამოგლიჯა ძაღლებს პირიდან პატარა მაიმუნი, შეცოცდა კლდეზედ და აიყვანა უშიშარს ადგილას“.

— ორი დღის შემდეგ, — განაგრძობს ბრემი,—მე ხელახლად ვიპოვე იგივე ჯოგი. მაიმუნები ისევ იმავე ყვირილით შემხვდნენ. დედლები შვილებით აცოცდნენ კლდეზე, ხოლო მამლები კი გაანჩხლებული ყვირილით და მიხრა-მოხრით მომვარდნენ; ისინი ემორჩილებოდნენ უფროსებს, რომლებიც ბრძანებას აძლევდენ ხმა მაღლა. ერთი მათგანი შეცოცდა ხეზედ, დამიშინა ქვები და თავისის ყვირილით ცხადათ ამბობდა, რომ ჩემი მოკვლა უნდოდა.

ერთი ინგლისელი ჯარის-კაცების უფროსი გვიამბობს რა ორნი უყვეს მას მაიმუნებმა: მათ ზოგს ჯარის კაცებს კარავებიდან ტანისამოსი მოჰპარეს, ლეიტენანტმა შიპპმა გაგზავნა ჯარის-კაცები წაერთმიათ მაიმუნებისთვის ნაპარავი. პავიანები მოემზადნენ თავის დასაფარავად. ორმოცდა ათი მათგანი ჩამწკრივდა გზის ნაპირს მაღლობზე. დიდი ქვებით შეია-

რაღებულები უცდიდენ წინამძღოლის მოხუცი პავიანის ბრძანებას, რომელიც უფროსობდა მათში, როგორც ძველი გენერალი და ჯარის-კაცებსაც უკან უნდა დაეხიათ.

—

მაიმუნები თავიანთი გრძნობის, განძრახვის და სურვილების გამოსახატავად სხვა და სხვა ნაირად იძახიან, ერთი ხმა შიშს აღნიშნავს, მეორე—გულის შეჯერებას, სიყვარულს, სიძულვილს. სიტყვების ამ ნაირი ნიშანი სხვა ცხოველებშიაც არის. ლომი ღრიალებს, რომ დააფრთხოს თავისი საკბილო და მაშინ მისი ხმა ქუხილივით გრგვინავს, მაგრამ როცა ემუსაიფება თავისს ძუ ლომს და სიყვარულს უცხადებს, იგი ისეთივე ალერსიანია, როგორც კატა. ვეფხვიც ასე იქცევა.

მგლებსაც აქვთ მეტყველების ნიჭი. როცა ისინი გადიან მინდვრად სანადიროდ, წრეს შეჰკრავენ, თათბირობენ, მოილაპარაკებენ. ერთი მათგანი გამოაგდებს საკბილოს წინ და წინ დანიშნული მხრით. საბრალო ცხოველი გარბის, მაგრამ იქვე ჩნდება მეორე მგელი და მიერეკება იქით, შემდეგ იქვე რიგი მესამეზედ მიდგება, შემდეგ მეოთხეზედ და ასე იმ დრომდის, სანამ ცხოველს არაქათი არ გამოელევა. მაშინ მგლები შეგროვდებიან და იყოფენ ნანადირევს.

სპილოებს განსაკუთრებული ხერხი აქვთ ლაპარაკისათვის. ინდოეთში, როცა სპილოებზე ნადირობენ, ამბობს მკვლევარი გომადე, ერთი ჯოგი შეატყობინებს მეორეს გაბმით ყვირილით, იწვევს საშველად და იმედი აქვთ, თუ მეორე ჯოგმა უშველა, დაამარცხებენ მტერს. ეს ყვირილი ბუკის ხმასა ჰგავს და დიდათ განსხვავდება იმ ხმისაგან, რასაც ეს სქელკანა ცხოველი იღებს ზოოლოგიურს ბაღში, როცა მსახურს საჭმელი მიაქვს მისთვის.

სპილოები, როცა ერთმანეთს დაუახლოვდებიან, ხორთუმს მიადებენ ერთმანეთს და ამ შეხებით გადაცემენ, რაც უნდათ. არ შეიძლება უარ ვჰყოთ, რომ მათ აქვთ ენა, რაც ყველა მათგანს ესმის. გომადე ამბობს: როცა სპილოები მიდიან წყლის სასმელად, ერთი მათგანი წინ მიუძღვის წყლის საძებრად. როცა ის წყალს იპოვის, ბრუნდა უკან, ჩუმად შეეუერთდება სხვა სპილოებს, რომლებიც უცდიან მას, და გადაცემს ჩუმად, რაც აღმოაჩინა; შემდეგ მიდის თავის ამხანაგებთან და მიჰყავს ზოგი მათგანი წყლის დასალევათ. ბილოს დაბრუნდება სხვებთანაც. „ამ სახით მე ვნახე ისინი,—ამბობს მოგზაური,—ოთხმოცამდის, ისინი მწკრივად მიჰყვებოდნენ წინამძღოლს, რომელსაც ისე ემორჩილებოდნენ, როგორც ჯარის კაცი თავისს უფროსს.

ორ სპილოს, რომელიც ეკუთვნოდა მოსიარულე სამხეცეს, თავის წინამძღოლით უნდა გაევლო აღმართში მიმავალს ვიწრო გზაზე. წინ-მიმავალი უსიამოვნებას აცხადებდა და განუწყვეტლივ ბუტბუტებდა, თითქოს უნდა აცნობოს მეორეს რა ხიფათი მოელისთ. მისი ამხანაგი ადგილიდან არ იძროდა და უცდიდა. ის დაიძრა მხოლოდ მაშინ, როცა მოწინავე ავიდა მთის მწვერვალზე. პირველი მობრუნდა და წყნარის მეგობრულის ხმით გაუწოდა თავისი ხორთუმი და აიყვანა მეგობარი მთაზე. შემდეგ მოხდა აუწერელი სცენა. ორივე სპილო გადაეხვიენენ ერთმანეთს და ულოცავდნენ მშვიდობით გადარჩენას.—

ეხლა პატარა ცხოველებზედაც რომ გადავიდეთ, იქაც დავინახავთ ერთმანეთში ზეპირ ჩუმ ლაპარაკს. ვირთაგვები ემუ-

საიფებიან ერთმანეთს, მაგრამ თავიანთ მგზავრობის შესახებ უჩუმრად ლაპარაკობენ, თითქოს უნდათ სთქვან: „გაიგონებენო“. მინდორში სახედარი მეგობრულად ემუსაიფება კვიცს, ან ძაღლს, როგორც ძროხები—ერთმანეთს: ისინი ამბობენ: „ეხლავე მოვლენ და წაგვასხამენ სახლში“ და უნიშნავენ ერთმანეთს ერთად შეყრის ადგილს, მეორე დღისათვის.

გაზაფხულის საღამოს ჭაობის ნაპირას ისმის ბაყაყების ყიყინი, ან უკეთ რომ ვსთქვათ ბაყაყების ლაპარაკი და ეს საუბარი გრძელდება იმ დრომდის, ვიდრე ეს კუდა ქვემძრომნი იგრძნობენ შიშს და ჩაიყურყუმელავებენ წყალში. ერთი ინგლისელი, რომელიც გერტვორტშირში ცხოვრობდა, გვიამბობს ისეთს ამბავს, რომელსაც არავინ დაიჯერებდა, რომ არ ყოფილიყო დამტკიცებული სარწმუნო მოწმის მიერ. მინდორში, მისი მამულის მიჯნასთან, ჭაობიანი ადგილი იყო. ერთხელ, როცა ის ცეცხლის პირას იჯდა, დაინახა ამოვიდა ბაყაყი და ხტუნვით გაეშურა ცეცხლისკენ. ინგლისელმა წაუყრუა ცოტა ხანს და შემდეგ გადისროლა შორს. მეორე დღეს ის ბაყაყი ისევ მობრუნდა; ინგლისელს შეეცოდა ბაყაყი და მისცა საჭმელი. ამან გაამხნევა ბაყაყი, რომელიც უშიშრად მიდიოდა. იმას, როგორც ეტყობოდა, ძლიერ ეგემრიელა მაქრის ფხვნილი, რასაც ინგლისელი წინ უყრიდა. მეორე დღეს ისევ დაბრუნდა, მაგრამ ეხლა მამალი ბაყაყიც თან მოჰყვა და ეს უკანასკნელი საშინლად ყიყინებდა, თითქოს ისიც თხოულობდა თავის წილს სანოვაგეს. ეს გრძელდებოდა სამ კვირას. ერთხელ სტუმართ-მოყვარე ინგლისელმა გაუფრთხილებლობით ფეხი დაადგა მამალ ბაყაყს და გაჭყლიტა. დედალმა სიმწუხარით მოართო ყვირილი, ახტა, დახტა და გადიკარგა. შემდეგ არ გამოცხადებულა. თუთიყუშები ლაპარაკობენ, გალობენ და თითქმის ილანძღებიან კიდეც. შროშნებიც თავის მხრით სარგებლობენ სიტყვებს.

შევნიშნავთ, რომ ფრინველებს საზოგადო ენა არ აქვთ. თითოეულს ჯიშს თავისი განსაკუთრებული კილოკავი აქვს. კორნიშმა შენიშნა ეს ნორფოლკის ჩრდილო ნაპირზე, სადაც ფრინველები ათასობით გროვდებიან და მჭიდროდ ცხოვრობენ, მიუხედავად ჯიშის სხვა და სხვაობისა. ეს ფრინველები, როგორც სჩანდა, უზიარებდენ ხმებს ერმანეთს, მაგრამ ამ ხმების გამმა ძლიერ რთული არ იყო. ისინი, კორნიშის სიტყვით, აღნიშნავდენ: „სადა ხარ“, „აი აქ“, „მივდივართ“. თითოეულს ჯიშს თავისი სხვა და სხვა სიტყვები ჰქონდა, რასაც სხვა ჯიშის ფრინველი უფრო აზრით მიხვდებოდა. და ყველაზე უფრო საოცარი, ის არის, რომ მათი საუბარი სრულიად განსხვავდება გალობისაგან. იმათ აქვთ აგრეთვე სპეციალური გამოთქმა ხმისა, რომელიც აღნიშნავს გაქცევას, ან უჩვენებს რა გზას უნდა დაადგენ, როცა გუნდი ფრინველებისა აპირებს წასვლას სხვა ქვეყნებში.

ბატონ-ყმობა

და გლეხების განთავისუფლება ჩვენში*)

წელს თებერვლის 19-ს შესრულდა 50 წელიწადი მის შემდეგ, რაც რუსეთში გამოცხადდა გლეხთა განთავისუფლება ბატონ-ყმობისაგან. ამის გამო საჭიროდ მიგვაჩნია მივაწოდოთ ჩვენს მკითხველებს ზოგიერთი ცნობები ამ ფრიად და დიდ-მნიშვნელოვან საგნის შესახებ.

ყმების გლეხების მესაკუთრეებად საქართველოში შეიძლებოდა ყოფილიყვნენ თავადები, აზნაურები, მონასტრები და ეკლესიები. ბატონ-ყმური წესით ჰფლობდნენ აზნაურებს და სასულიერო წოდების პირებს მეფეები და თავადები. გლეხების ყმად ყიდვა შეეძლოთ აგრეთვე ტფილისის მოქალაქეთ და ვლეხებსაც.

ყმად ხდებოდა: 1) მეფის ნაჩუქარი კაცი, 2) როდესაც გლეხი მიდიოდა სხვის მამულში და ეყმობოდა ბატონს, 3) ტყვედ წამოყვანილი უცხო ტომის სხვა რჯულის კაცი, 4) ნაყიდი კაცი, 5) შემოგდებული ან შვილად აყვანილი და გაზდილი, 6) შეუძლებელი მოვალე, 7) ქურდი, რომელსაც არ შეეძლო დაკმაყოფილება პატრონისა, 8) გლეხი, რომელმაც შეირთო ყმის ქალი, 9) თავისუფალი გლეხის ქალი, რომელიც გაჰყვა ცოლად ყმას, 10) კაცი, რომელსაც ჰქონდა უკანონო დამოკიდებულობა ყმის ქალთან (ჰხდებოდა იმ ქალის ბატონის ყმა), 11) გლეხის ოჯახი, რომელსაც დაარჩენდა სიმშილობის დროს მემამულე, ჰხდებოდა ამისი ყმა, 12) ტყვეობიდან გამოყიდული, 13) გლეხი ოჯახობით ჰხდებოდა ყმა იმისა, ვინც გადაიხდიდა მის ვალს, ან მისცემდა მის ქალს მზითევს, 14) ბატონის მკვლელი და 15) ვინც თავის ნებით გაყიდა თავისი თავი.

ყმობა ისპობოდა: 1) როდესაც ბატონი გაანთავისუფლებდა ყმას თავის სულის საცხონებლად, 2) ყმა გამოიყიდიდა თავს ფულის გადახდით, 3) როდესაც ბატონის მიერ დაგირავებული ყმა იხდიდა ბატონის ვალს, 4) თავისუფალი ჰხდებოდა ოჯახობით ბატონის მიერ დაჭრილი გლეხი, 5) თავისუფლდებოდა ბატონის მიერ მოკლულის ყმის ოჯახობა, 6) თავისუფლდებოდა გლეხის ოჯახობა, რომლის ქალი გააუპატიურა ბატონმა. იყო სხვა საშუალება განთავისუფლებისათვის, მაგ. თავისუფალი იყო ყმა, რომელიც 30 წელიწადს იცხოვრებდა საქართველოს საზღვრებზე, თავისუფალი იყო ისიც, ვინც 12 წელიწადს იცხოვრებდა თრიალეთში. საქართველოს მტერი ყოველთვის თრიალეთზე გადმოივლიდა და ამ პროვინციის მცხოვრებნი ყოველთვის პირველნი შეებრძოლებოდნენ მტერს, ამიტომ ეძლეოდათ შეღავათი.

ბატონ-ყმის ურთიერთობა. რასაკვირველია, გლეხი—ყმა თითქმის ყოველ-გვარ უფლებას მოკლებული იყო. ბატონს შეეძლო მისი გაყიდვა, გასაჩუქრება; ყოველივე მისი საკუთრება იყო ბატონის, ბატონი იყო მისი მსაჯული, რომელსაც შეეძლო კიდეც მოეკლა ყმა. გლეხს არ შეეძლო არაფრის ყიდვა, არც გაყიდვა ბატონის დაუკითხავად; როდე-

*) გადმობეჭდილია 1905 წ. საქართველოს კალენდრიდან.

საც გლეხი კვდებოდა უშვილოდ, მისი ქონება გადადიოდა ბატონის საკუთრებად. ძლიერ ბევრი იყო ბეგარა, რომელიც ვალად ედვა ყმას. აკადემიკოს ბროსსეს გამოანგარიშებით გლეხს ჰქონდა 120 სხვა და სხვა ბეგარა. ბატონების მეურნეობას აწარმოებდნენ მხოლოდ ყმები — მიწის დამუშავება, მორწყვა, მოთიბვა, ვენახის გაშენება, ყურძნის მოკრეფა და ღვინის დაყენება და სხვ., ყველაფერი ყმის საქმე იყო. გლეხები ეწევიან ფულით ბატონის ოჯახს, როდესაც ბატონი კვდება, ან ქორწილია ან სხვა რაიმე ლხინი; როდესაც ბატონს ეწვევა სტუმარი, ყმები უნდა გაუმასპინძლდნენ მას; როდესაც ბატონი შიდის ომში, ყმებმა უნდა მისცენ მას ფული, ცხენები, ურმები და თვითონაც ემსახურონ და სხვ., ერთის სიტყვით, ყოველთვის, როდესაც რაიმე სამწუხარო ან სამხიარულო მოხდებოდა ბატონის ოჯახში, ყმები ვალდებულნი იყვნენ დახმარება აღმოეჩინათ მისთვის.

ბატონსაც ჰქონდა ზოგიერთი მოვალეობა ყმებისადმი. როდესაც ყმა სახლდებოდა ახალ ადგილზე, ბატონი ანთავისუფლებდა მას ყოველსავე ბეგრისა და გადასახადისაგან 6 წლის განმავლობაში; ბატონს უნდა ერჩინა ყმა შიმშილობის დროს; როდესაც მტერი ააოხრებდა სოფელს ან სეტყვა ანადგურებდა ნათესს, ყმები თავისუფალნი იყვნენ ბეგრისაგან რამდენიმე წელს; ბატონს არ შეეძლო ძალათ გაეთხოვებინა ყმის ქვრივი; ყმას უფლება ჰქონდა მოეკლა ბატონი, თუ მას შეესწრებოდა თავის ცოლთან და სხ. როგორც ზევით ვსთქვით, ყმები იყვნენ თავად-აზნაურებისა, ეკლესია—მონასტრებისა და მეფეებისა. მათში უფრო იოლი ცხოვრება ჰქონდათ ეკლესია-მონასტრების ყმებს და უფრო მძიმე — თავადაზნაურებისას.

გლეხის განთავისუფლების მანიფესტი რუსეთში 1861 წ. 19 თებერ. გამოიცა. ჩვენში კი ბატონ-ყმობის მოსპობა გამოცხადდა ტფილისის გუბ. 1864 წ. 8 ნოემბერს და ქუთაისის გუბერ. (იმერეთში) 1865 წ. 8 ნოემბერს, სასეგრელოში 1866 წ. 1 დეკ.

კავკასიის ცენტრალური საგლეხო კომისია.

1861 წელს ცხრამეტს თებერვალს გამოვიდა კანონი, რომლითაც მოისპო ბატონ-ყმობა რუსეთში. ამ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ბრძანება მოუვიდა კავკასიის მთავარ-მართებელს ა. ბ რიათინსკის, რათა დაუყოვნებლივ შეედგინა მოსაზრებანი ამ კანონის კავკასიაში გავრცელების შესახებ. ბატონ-ყმობა კავკასიაში არსებობდა მხოლოდ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში. რადგან ტფილისის გუბერნია უფრო ახლო იყო კავკასიის მთავრობასთან, უკანასკნელი ჯერ ტფილისის გუბერნიის გლეხების საქმეს შეუდგა. ბარიათინსკის განკარგულებით, ტფილისის გუბერნატორმა შეადგინა განსაკუთრებული სამაზრო კომიტეტები მარშლების თავმჯდომარეობით. მაგრამ მერე თავად-აზნაურთა თხოვნით, კომიტეტების საქმეები გადაეცა სამაზრო კრებებს, რომელთა მოსაზრებანი გლეხთა მდგომარეობის მოწყობის შესახებ უნდა განეხილა თ.-აზნაურობის საგუბერნიო კრებას, საქმეების უმთავრეს ხელმძღვანელობისათვის კი დაარსდა ცენტრალური კომიტეტი.

გლეხების განთავისუფლების საქმე ნელ-ნელა მიდიოდა წინ 1863 წლამდის, როდესაც კავკასიის მთავრობამ წინადადება

მისცა ტფილისის თავად-აზნაურობას, დაუყონებლივ წარმოადგინეთ თქვენი მოსაზრებანი. ამავე წელს ივლისში თავად-აზნაურობამ წარადგინა 539 აზნაურის მიერ ხელმოწერილი საგლეხო დებულება და მასთანვე აზრი 14 აზნაურისა, რომელნიც არ ეთანხმებოდნენ უმრავლესობას. სექტემბერში ცენტრალური კომიტეტი შეუდგა თავად-აზნაურობის მოსაზრებათა განხილვას. ამ დროს კომიტეტის წევრებად იყვნენ ა. ნიკოლაი (თავმჯდომარე), გუბერნატორი, დიმ. ყიფიანი, ა. მ. ფადეევი, ი. კ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, ე. ბ. სტარიცკი, ნ. ი. ბარანოვსკი, იუ. თ. ვიტტე, მ. ბ. თუმანიშვილი და სხვ. კომიტეტის სხდომებში მონაწილეობას იღებდენ თავად-აზნაურობის წარმომადგენელნი.

ცენტრალურმა კომიტეტმა თავად-აზნაურების მოსაზრებათა განხილვას მოანდომა ორმოცი სხდომა, დაიწყო 1863 წ. 9 ოქტომბერს და დამთავრა მუშაობა 1864 წლის 6 ივლისს. ამ მუშაობის შედეგი იყო პროექტები დამატებითი კანონებისა საბატონო გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ტფილისის გუბერნიაში, რომლებიც დამტკიცებულ იქმნა უმაღლესის მთავრობის მიერ 1864 წელს 13 ოქტომბერს.

ამ კანონებს საფუძვლად დაედვა 1861 წ. 19 თებერვლის კანონი, ე. ი. ტფილისის გუბერნიის გლეხებსაც მიენიჭა პირადი, მოქალაქობრივი და ქონებრივი უფლებანი. ხოლო 19 თებერვლის კანონში შეტანილ იქნა ზოგიერთი კერძო ცვლილება ადგილობრივ პირობების მიხედვით იმის შესახებ, თუ როგორი და რამდენი ნადელი უნდა მისცემოდა გლეხებს და რა და რა გადასახადი უნდა დარჩენილიყო მათზე.

კომიტეტმა მუშაობა დაიწყო თავად-აზნაურობის მოსაზრებათა განხილვით. თავად-აზნაურობა ერთხმად თანახმა იყო, რომ მინიჭებოდა გლეხებს პირადი თავისუფლება, ხოლო გლეხის ქონებრივის უზრუნველყოფის შესახებ-კი სხვა და სხვა აზრი წარმოსთქვა. უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ გლეხების მფლობელობაში დარჩენილიყო სამი წლის ვადით ყველა ის მიწა, რომელიც მაშინ ჰქონდა მას, იმ პირობით-კი, რომ შემდეგ გლეხების და ბატონების ქონებრივი ურთიერთობა განსაზღვრულიყო ერთმანეთთან შეთანხმებით და ნებაყოფლობით. უმცირესობის აზრით კი, გლეხების ხელში უნდა დარჩენილიყო სამუდამოდ: სახლი და საოჯახო შენობები, ვენახები და ბაღები (მიწა კი ბატონის სრულ საკუთრებად რჩებოდა). გლეხებს მიეცემოდათ აგრეთვე უფლება, ესარგებლნათ საბატონო ტყით საკუთარის საჭიროებისათვის და საბალახო ადგილებით, სახნავი მიწები კი მიეცემოდა გლეხის კომლს ბატონთან შეთანხმებით. გარდა ამისა კომიტეტში წარდგენილი იყო განსაკუთრებული აზრი კოსტ ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკისა, რომელიც ამბობდა: 1) მიეცეს გლეხებს უფლება მოძრავი ქონების წაღებისა და გადასახლებისა, 2) გლეხები აღიარებულ იქმნენ მემკვიდრეობითი იჯარადრებად, 3) მიცეს ბატონს უფლება, ნახევარი მიწა დაიტოვოს თავისთვის, ნახევარი კი დაუნაწილოს გლეხებს, 4) დარჩეს გლეხებს ეზოები და ბაღები და 5) უფლება ჰქონდეს ბატონს, თუ საჭიროდ დაინახოს თავისთვის, ერთის ადგილის მაგიერ მეორე მისცეს გლეხს.

ცენტრალურმა კომიტეტმა არ მიიღო არც ერთი ეს აზრი, გლეხების უმიწაწყლოდ განთავისუფლება ეწინააღმდეგე-

ბოდა 19 თებერვლის კანონს. კომიტეტის შეხედულობით, თუმცა ბატონყმობას ტფილისის გუბერნიაში თავისებური ხასიათი ჰქონდა, მაგრამ იგი არ იყო რაღაც განსაკუთრებული დაწესებულება და საერთოდ არ განსხვავდებოდა რუსეთისა და ევროპის ბატონყმობისაგან. ამიტომ საჭიროც არ იყო საზოგადო რეფორმების შეცვლა. კომიტეტმა სავალდებულოდ სცნო გლეხების განთავისუფლება მიწიანად.

ჩვენებური ბატონყმობის თავისებურ თვისებას წარმოადგენდა ყმების გადასადების ხასიათი და რაოდენობა. გლეხი იხდიდა ბატონის სასარგებლოდ სამნაირს გადასახადს: ბეგარას, ღალას და კულუხს და სხვა და სხვა პირად გადასახადებს. ბატონყმობის მოსპობასთან ერთად ისპობოდა უკანასკნელი (პირადი) გადასახადები, მოისპო აგრეთვე ბეგარაც, მხოლოდ ამის მაგიერ გადიდებულ იქმნა ღალა და კულუხი, კომიტეტმა ყველაზე უწინარეს განსაზღვრა ღალა და კულუხი და დაადგინა, რომ გლეხს ეძლია ნაბატონარისათვის შემოსავლის ერთი მეოთხედი. საზოგადოდ კომიტეტმა ორჯერ მეტი ღალა და კულუხი შეაწერა გლეხს (ღალა—ყანის ბეგარაა, კულუხი—ვენახის ბეგარა). სათიბ ადგილებს მოუმატა ერთი მესამედი გადასახადი, ეზოებს კი დაადგა გადასახადი სამი მანეთი დღიურზე (ქალაქის ახლოს 6 მან.). ამ რიგად გაცილებით მეტი გადასახადი დაწვა გლეხს კისერზე, ვიდრე წინად ჰქონდა.

გადასახადების განსაზღვრის შემდეგ კომიტეტი შეუდგა იმის განხილვას, თუ რა და რა მიწა უნდა დარჩენოდა გლეხს. გადასაწყვეტი იყო შემდეგი უმთავრესი კითხვები: 1) რა უნდა ითვლებოდეს ეზოდ? 2) როგორი ადგილი უნდა იგულისხმიერებოდეს ბაღად, რომელიც უნდა ჩაითვალოს გლეხს ნადელში? 3) როგორი მიწები უნდა ჩაირიცხოს სახნავის ნადელში? 4) უნდა მიეცეს გლეხს ყველა ის სახნავი და სათიბი ადგილი, რომელსაც ფლობდა, თუ არა? 5) რა პირობებით უნდა გაეცეს გლეხს საბალახო ადგილები? 6) როგორ უნდა ისარგებლონ გლეხებმა საბატონო ტყეებით? კომიტეტმა დაადგინა, რომ გლეხის კომლს უნდა მისცემოდა ეზოდ 1200 კვ. საჟენი მიწა; მაგრამ ნამდვილად იშვიათად თუ რომელიმე გლეხმა მიიღო ამდენი ეზო. ამასთან ეზოდ მიღებულ იქმნება გლეხის სახლით და საოჯახო შენობებით დაკავებული ადგილი. ბაღად ჩაითვალა მიწა, სადაც გაშენებული იყო ვენახი ან დარგული იყო ხეხილი, ცალიერი ადგილი კი გამორიცხულ იქნა ბაღიდან. მესამე და მეხუთე საგნის შესახებ კომიტეტმა დაადგინა, რომ გლეხს დარჩენოდა ის სახნავი და სათიბი მიწა, რომელიც უკვე იყო მის ხელში. საძოვარი ადგილების განაწილება კი კომიტეტმა მიანდო მომრიგებელ შუამავლებს და ეს საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი.

მართალია, კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ გლეხს შერჩენოდა ის სახნავი და სათიბი მიწა, რომელსაც ფლობდა უკვე, მაგრამ ამასთანავე მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ ტფილისის გუბერნიაში ბევრი მცირე მამულის პატრონი აზნაური იყო (გლეხების განთავისუფლების დროს ტფილისის გუბერნიაში 1537 მემამულე ბატონი იყო, აქედან ნახევარზე მეტი მცირე მამულის პატრონი იყო და ყმაც 21-ზე ნაკლები ჰყავდა თითოეულს მათგანს). და გინსაკუთრებული შეღავათები მიანიჭა ასეთს აზნაურებს. თუ ვინიცობაა ასეთს მემამულეს სახნავი, სა-

ძოვარი და სათიბი ადგილი 120 დღიურზე ნაკლები ჰქონდა, შეეძლო ნახევარი მიწა თავისთვის დაეტოვებინა, ნახევარი კი მიეცა გლეხებისათვის, და თუ 60 დღიურზე ნაკლები ჰქონდა, მაშინ სრულიად არაფერსაც არ მისცემდა გლეხებს. ამ რიგად ბევრს განთავისუფლებულს გლეხს არ ეძლეოდა ის მიწა, რომელსაც იგი ფლობდა ბატონ-ყმობის დროს. 1864 წელს ტფილისის გუბერნიაში 14230 საბატონო გლეხის კომლი იყო, ამათ რიცხვში 1334 კომლს სრულებით არ მიუღია ნადელი.

ტყეების შესახებ კომიტეტი მეტად უსაფუძვლოდ და უსამართლოდ მოიქცა: ტყეები სრულიად ჩამოართვა გლეხებს და გადასცა საკუთრებად თავად-აზნაურებს. გლეხებს აეკრძალათ ტყით უსასყიდლოდ სარგებლობა და მხოლოდ პირველი 9 წლის განმავლობაში შეეძლოთ გამოეტანათ შეშა, სარები და წკნელი ვენახებისათვის.

ამ საკითხების გადაწყვეტის შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა სოფლისათვის ახალი სამოსამართლო და საადმინისტრაციო წეს-წყობილება. მაგრამ იმის მაგიერ, რომ როგორც რუსეთში, შემოეღო ცალკე საადმინისტრაციო სამოსამართლო მმართველობა (სოფელი და ვოლოსტი), შეაერთა ყველა ერთად და მრავალი მძიმე მოვალეობა დააკალა სოფლის მამასახლისს, რომელიც დღეს მხოლოდ მთავრობის საპოლიციო აგენტია და არა სოფლის კეთილდღეობისათვის მზრუნველი. კომიტეტმა შემოიღო აგრეთვე მომრიგებელ შუამავალთა ინსტიტუტი და საგლეხო საქმეთა საგუბერნიო საკრებულო. უარჰყო მომრიგებელ შუამავალთა კრებები, რომელიც არსებობს რუსეთში.

ტფილისის გუბერნიის გლეხებისათვის შემუშავებული დებულება მცირეოდენის ცვლილებით შემოღებულ იქმნა 1865 წ. 8 ნოემბრიდან იმერეთშიც და 1866 წ. 1 დეკ. სამეგრელოში.

თუ თვალს გადავავლებთ მოკლედ საგლეხო რეფორმას ჩვენში, დავინახავთ, რომ თუ რუსეთშიაც არ იყო სრული გლეხების განთავისუფლება, კიდევ უფრო ფართა-შეკვეცილი და ნახევარ გზაზე შეჩერებული იყო იგი ჩვენში. თუ რუსეთში გლეხისათვის დადგენილიყო 10—20 დესეტინა ნადელი, ჩვენში გლეხი უნდა დასჯერებოდა ტფილისის გუბერნიაში 5 დესეტინას და ქუთაისის გუბერნიაში ამის ნაკლებსაც. ასეთი იყო დადგენილება, თორემ ნამდვილად ხშირად გლეხს არ ეძლეოდა ამის ნახევარიც. რასიკვირველია, დიდი საქმე იყო ბატონყმობის მოსპობა ამ სახითაც, როგორც ეს მოხდა ჩვენში, ძვირფასი იყო ის პირადი თავისუფლება, ის ადამიანობა, რომელიც მიენიჭა ჩვენს გლეხს, მაგრამ მეტად უსამართლოდ მოეპყრო მაინც კიდეევ რეფორმა გლეხს. ბატონყმობის დროს ტფილისის გუბერნიაში გლეხების სარგებლობაში იყო 84665 დესეტ. სახნავი მიწა, ე. ი. თითო კომლზე მოდიოდა 5,9 დეს.—განთავისუფლების შემდეგ კი გლეხებს დარჩათ მხოლოდ 55679 დეს. სახნავი მიწა, ე. ი. კომლზე 3,9 დესეტინა. კიდევ უარეს მდგომარეობაში ჩავარდნენ გლეხები ქუთაისის გუბერნიაში.

ასე მცირე მიწა ერგო გლეხებს განთავისუფლების დროს ამ 46 წლის წინად, ღღეს კი, როდესაც გამრავლდა ხალხი და მოთხოვნილებაც გაფართოვდა, გლეხები უკიდურეს გაჭირვებაში იმყოფებიან მიწის სიკოტავისა გამო. როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს? ამისთვის აუცილებლივ საჭიროა, რომ სახაზინო მიწები,

რომლებიც ოდესმე ქართულს ეკლესიას ეკუთვნოდა და ქართველი ერის საკუთრებაა, გადაეცეს ჩვენებურ გლეხებს იმის მაგიერ, რომ ამ მიწებზე დასასახლებლად რუსები მოიწვიონ; უნდა დაარსდეს აგრეთვე საგლეხო ბანკი, რომელსაც უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი საგანი—დაეხმაროს გლეხებს (ადგილობრივს) იმ მიწების შეძენაში, რომელსაც ჰყიდის თავად-აზნაურობა.

ზევით ვთქვით, რომ სოფელში დღეს გაბატონებულია პოლიციური მმართველობა. დაუყოვნებლივ ბოლო უნდა მოეღოს ასეთს წესწყობილებას და სოფელში შემოღებულ უნდა იქნეს სრული თვითმართველობა. ვიდრე ითასნაირი მოხელე იქნება ბატონი სოფელში, მანამდის გლეხი არ იქნება თავისუფალი, და მისი განვითარების საქმე შებორკილი იქნება. გლეხი ჯერ კიდევ არ არის სრული მოქალაქე, უნდა მოისპოს მისი განსაკუთრებული მდგომარეობა და მიენიჭოს მას სრული მოქალაქობრივი უფლებანი...

ბესამე რეფორმა, რომელიც აუცილებლად საჭიროა სოფლისათვის დღეს, არის უფასო და საყოველთაო პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება სამშობლო ენაზე.

სანამ ეს დამატებითი რეფორმები არ იქნება განხორციერებული, გლეხებს არ ეღირსებათ სრული განთავისუფლება.

ლიტერატორთა მგზავრობა

(მოგონება აკაკის იუბილეს გამო 1908 წ. დეკემბრის 7)

აგვისტოს ცამეტი, თუ ოთხმეტი იყო 1880 წელს სოფელ ახალქალაქში ხმა გავრცელდა, რომ **აკაკი** ჩამოვიდაო.

გულმა ფანცქალი დამიწყო, ვნახამ მეც იმ მშვენიერ—ტკბილ ლექსთა მწერალს, სახელოვან მგოსანს, რომელმაც თავისის ბრწყინვალის პოეტურის ნიჭით, ისე ძლავრად ააღღერა ქართული პოეზიის ხმოვანობა, რომელმაც ქართული ენის მუსიკალური მიმოხვრა ციურ გარმონიას დაუახლოვა? მეენება შემთხვევა იმას ხმა გავცე, იმის თვალებში ჩავიხედო მათ სარკეში „სალამურის“ და „შიქასტის“ დამწერის სულის ნაპერწკალი დავინახო? ვეკითხებოდი ჩემ თავს და არ ვიცოდი, როგორ მომეხერხებინა, რა მიზეზი მეპოვნა, რომ გავქცეულიყავ იმ ოჯახში, სადაც ძვირფასი სტუმარი იყო ჩამომხტარი.

— ქალო ეკატერინე! შინა ხარ? უცეფ მომესმა ხმა ერთის ჩემის ნათესავისა და შესწყვეტა ჩემი ფიქრები. გულმა მიგრძნო რაღაც მოულოდნელი სიამოვნება და კარში გავარდი.

აკაკი და მასთან მთელი ჯგუფი ქართველ მწერლებისა ჩემი სადგურის ბალკონთან იდგნენ. სერგეი მესხი, სანდრო ყაზიბეგი, კოტე ნაცვლიშვილი.

მაღალ კიბეზედ ჩავფრინდი და სიხარულით კინაღამ ხელებზედ ვემთხვიე ბრწყინვალე მნათობს – აკაკის.

აკაკი, აკაკი, ეს უშველებელი, დიდი კაცი, ჩემი ქვეყნის ვარსკვლავი, ჩემ სახლში იყო და მე შემეძლო იმის ხელის

შეხება, იმასთან ბაასი! სიხარულით ენა ჩამივარდა, რეტიანივით დავტრიალებდი, არ ვიცოდი ძვირფასს სტუმრებს, როგორ გავმასპინძლებოდი.

— მშვიდობა შენთან, ქალბატონო! რასა იქ, როგორა ხარ, რასა სწერ? თავისებური სისადავით მითხრა აკაკიმ და ჩემი ოთახი გადაათვალიერა, თითქო იქ უნდოდა ეპოვნა რამ, ჩემი ადამიანობის დამახასიათებელი საგანი. სტოლზედ „ჩონგური“ *) იდო და რამდენიმე რვეული, ყმაწვილების ხელით ნაწერი. ერთიც და მეორენიც გადაფურცლა, გაიღიმა და ისევ მე მამიბრუნდა: — ყმაწვილებს ასწავლით? კარგი საქმეა, მაგრამ წერა სჯობს, თუმცა ეს ბატონი თარხნიშვილი სხვა თარხნიშვილებთან ერთად ძრიელ გიჩივიან: შენი წერის გამოისობით. ამან შეურაცყო ჩვენი დარბაისლური, სიმშვიდით სავსე ცხოვრებაო, გაზეთში კორესპონდეცია გაგზავნა და ჩვენი ზნე ჩვეულებანი შიგ გამოსახაო! აბა ქალბატონო — რა საკადრისია, შერყევა მდოვრის ცხოვრებისა!.. ეშმაკურის ღიმილით გადმომხედა პოეტმა და შემდეგ ჩემ ნათესავს მოუბრუნდა. — დიახ, საშინელი ქალი ყოფილა ეს თქვენი ნათესავი! არა, თქვენ გრძელ ჩიბუხთან და სადილ შემდეგ ჩვეულებრივ ძალთან, რაღა ხელი ჰქონდა, რომ იმასაც კი წაეპოტინა!

— ჩვენც მაგას ვემდურით, მრისხანედ გადმომხედა ნათესავმა.

— შინაურმა და მერე ქალმა, განა უნდა ქვეყანაზედ გაიტანოს თავისი ოჯახის ამბავი! მაგრამ რა გეეწყობა, ჩვენია და თუ ისევ ჩვენ არ ვაპატივებთ, სხვა აბა ვინ შეიწყნარებს.

— ჰა, ჰა! გადიხარხარა აკაკიმ. (— ხედავთ ამათ ლმობიერებას! კიდევ ეშმაკურის ღიმილით წამიტუტუნა მე) და მერე ისევ თავადს მიუბრუნდა: მართალია მართალი! ნამდვილ გულის წყროდა მმართებთ, მაგრამ უნდა აპატიოთ დანაშაული და ჩვენ ლიტერატორთა თხოვნით კიდეც უნდა დაჰპატიჟოთ ხვალ ქვათახევში წამოსასვლელად.

— მეტი რა გზაა! კიდევ ბუზღუნით სთქვა ჩემმა ნათესავმა. — საპატიო სტუმრების თხოვნა უნდა ავასრულო. — აბა, ქალო, მოემზადე. ხვალ დილით ურმები მზად იქნება და შენ კამპანია უნდა გაუწიო ამ მწერალ ბატონებს.

— მე მარტო? მორცხვად მიუგე და თან გულში საოცარი სიხარული ვიგრძენ. მოგზაურობა იმ მშვენიერ კუთხეში და ამათთანა თანამგზავრებთან, ყოველ ჩემ საოცნებო განძრახვებს აღემატებოდა.

ის იყო მზემ თავი ამოყო, რომ მე ჩემის პატარა ბოხჩით მიუახლოვდი ლუკა თარხნიშვილის სახლს, რომლის ფართე კარ-მიდამოზედ შეგროვილიყვნენ კიდეც „ქვათახევს“ წამსვლელნი მოგზაურნი. რამდენიმე ჩარდახიანი ურემი, შეკმაზული ცხენები ჩამომწკრივებულნი იდგნენ გზის პირად. მეურმეები ხელზედ საუზმობდნენ. მეჯინიბეები ცხენებს უსწორებდნენ მოსართავებს...

ყველაზედ წინ იდგა ერთი უჩარდახო ურემი და იმ ურემში დაგვაბინავეს ჩვენ „ლიტერატორნი. ურმის თავს, კოფაზედ გამოპიმული იჯდა აკაკი, იმას გვერდით მოკუნტული და მოკრძალებული მე, რადგან ღირსეულად არ ვთვლიდი ჩემ თავს „ლიტერატორთა“ სახელის ტარებისას

*) „ჩონგური“ ჩვენ პოეტთა საუკეთესო ლექსთა კრებული, გამოცემული კირილე ლორდკიფანიძისაგან.

და შემდეგ ურმის ბოლოზედ ფეხებ ჩამოშვებული სერგეი და სანდრო.

„ლიტერატორთა“ ურემი მიუძღოდა მთელ ქარავანს ურმებისას, წინ და უკან კი თან ახლდა მას მთელი ჯარი ცხენოსან ქალთა და კაცთა, რომელნიც კეკლუცათ ისხდნენ ცხენზედ და თან გარმონიით სავსე ხმით შემოსძახოდნენ „მგზავრულს“ ამ ქართველთა გულის ამღელვებელ „მარსელიეზას“.

მთელი გზა ქვათახევისა მიეცოცავს ტყით დაბურულ მაღალ მთაზედ და გზას თან სდევს კლდიდან, კლდეზედ მხტუნავი, აქაფებული, გიჟურად ღრიალა ნაკადი „კავთურა“ რომელსაც ტკბილ ბანს აძლევენ მთანი კლდიანნი.

ურემი, ურემს მისდევდა, ცხენოსანი ცხენოსანს და ასე კამარა გადაბმული ერინელის ნაბიჯით და ბუნების მშვენიერებით დამთვრალი—გარინდებული ეკლესიისაკენ მიილტვოდა. მხოლოდ აკაკი, როგორც მოუსვენარი ბუნება, ხანდისხან ვაჰკრავდა ხოლმე თავისებურს კბილს საწყალს სანდროს, რომელსაც თავვირი საცოდავათ ჩამოსტიროდა და მძიმე ავადმყოფს წაგავდა.

— თვალი ვაახილე, გამხიარულდი!-რას ჩაგიძვრენია თავი კისერში! შეუყვირებდა ხოლმე უძლურს.—გაგიგონიათ ამის თანა გაუმაძღარი, ღვთის უმადური კაცი? მერე მე მომიბრუნდა აკაკი, მითხრა სანდროს შესახებ.—კაცმა სახელი მოიპოვა, ერთად ერთი რამინისტია მთულ საქართველოში, დრამებსაც სწერს, აქტიორიც არის და კიდევ სტირის, ღმერთს ემდურის, თავის მოკვლას ეპირება.

— რას ბრძანებთ! რა საფიქრებელია თავის მოკვლა მაშინ, როდესაც ბუნება ასე მშვენიერია, როდესაც სიყმაწვილე და ნიჭი ასე მძლავრად შეჰფერადებიან ბატონ მოჩხუბარიძეში! მოკრძალებით წარმოვსთქვი მე.

— ეხ, ეხ! გულსაკლავად ამოიოხრა სანდრომ, ღმერთს კი არ ვემდური, ჩემს თავს ვემდური, ჩემს თავს და კიდეც იმიტომ მძაგს ჩემი თავი და სხვისაგანაც ღირსი ვარ სიძულვილისა... ძაღლი ვარ გადასაღრძობი...

ღმერთო ჩემო! რა დაგმართნია, ჩემო ბატონო, მწუხარებით შევძახე და სიბრალულით ხელი დავადე მკლავზედ. სანდრო მონათესავეთ მომხვდებოდა და წინათაც ვიცნობდი.

— ხელი არ მახლო, დაო! ღირსი არა ვარ! კვლავ გასაოცარის მწუხარებით გაიმეორა „მამის მკვლელის“ ავტორმა და განზედ გაიწია *).

— საწყალი, სანდრო! კვლავ წაილაპარაკა აკაკიმ და საშინელს შთაბეჭდილების გადასაყრელად, კიდევ რაღაც იოხუნჯა, მაგრამ სანდროს ვაება ისეთი მძლავრად საგრძნობელი იყო, რომ სიცილი რაღაც უგემური გამოვიდა, ყველას ზაფრის ქარები აკვეშალა. კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი მთელი დღის ურმით ზოზიალისაგან საშინელ დაღალულობას ვგრძნობდით. მზე ძალზედ იყო გადასული, როდესაც უკანასკნელი საფეხური ციცობზედ აგვაცოცეს ლომმა კამბეჩებმა და ქვათახევის მონასტრის ზღუდეებს მივადექით.

ჩვენს თვალს წარმოუდგა დიდებული სურათი და სუყველაფერი დაგვავიწყა.—რა მშვენიერებაა, რა მშვენიერებაა! მოისმა ყოველ მხრივ და ურემი ურემზედ შეჩერდა.

სწორედ **ქვაბივით** შეჭრილ ახოვან

*) იმ დროს სანდრო თურმე საშინელის სენით იყო უკურნებლად ავადმყოფი.

კლდეებსშუა გაშლილ ფართო მინდორზედ კოხტად წამოჭიმული მშვენიერი ეკლესია და გარს შემოსხდომიან ლამაზად ნაგები პატარ-პატარა თეთრი ბერთა სენაკები, მინდორი შემოზღუდულია ახოვანის ნაძვებით და თელის ხეებით; რომელთა ქვეშ უკვე დაბანაკებულ იყვნენ გლეხთა ჯალაბები და აპრიალებულ ცეცხლზედ ვახშამს ამზადებდნენ ქალ-პატარძალნი, წითელ-ყვითლებით აჭრელებულნი. აქა-იქ ძვირფას ყვავილებივით მწვანეზედ ისხდნენ, ალაგ ალაგ, დაირა მუზიკაც გამართულიყო კიდეც. ტყეს ზრიამული გაუდიოდა. კაცთ ხმაურობა, ცხენების ხიხვინი, საქონლის და საღვთოდ მოყვანილის ცხვრების ბღავილს ბანს აძლევს მინდვრის თავში მკლავის სისხო წყარო, გადმოთქრიალებდა და მთელ არე-მარეზედ მხიარულად მირბოდა, მიიკლაკნებოდა და თეთრს ვერცხლის სარტყელივით გარს შემორტყმული მის სიმშვენიერეს ათიათასებდა.

თავადებისათვის გალავნის კარები გაღებს და ამოდენა ცხენოსან ურმიანნი სტუმართ მოყვარე ბერებმა შიგნით შეიწვიეს.

აქ ყველა ოჯახისთვის ცალცალკე სენაკი იყო მომზადებული.

აკაკი თავისის ამხანაგებით მაღლა სართულში აიწვიეს, არხიმანდრიტს თავისი სადგური დაეთმო. იშვიათ სტუმრისათვის.

მე ჩემ ნათესავებს მივეკედლე. მალე მოეწყვნენ მგზავრი დიასახლისნი, აქა იქ გალავნის კედლებთან ხალიჩა-ფარდაგები გაიშალა; სამოვრები აშიშინდნენ, მზარეულები ვახშმის სამზადისს შეუდგნენ.

საღამო ლოცვის ზარის ხმა გაისმა და სასიამოვნო მელოდიათ გაიფანტა ტყის სივრცეში. ხალხი ეკლესიისაკენ გაემართა. ბერთა ტკბილ გალობას დადი მშვენიერი ეკლესიის თაღები ბანს აძლევდნენ და მლოცავთ სასოებას აორკეცებდნენ.

მლოცველნი წამით ღვთის ღაღადებას მიეცნენ, გარშემო გაშლილი წალკოტი მიივიწყეს და სულიერად აღფრთოვანებული ზეცას შეუერთდნენ.

ლოცვის შემდეგ კვლავ ლხინი გაიმართა. მორთულ მოკაზმული ხალხი გალავანში გაიშალა და შვებას მიეცა. თამაში, სიმღერა ერთმანეთს სცვლიდა. აკაკი ზემოდგან გადმოჰყურებდა ამ აფერადებულ სურათს და თავისის ზეციურ-ქვესკნელის ღიმილით იღიმებოდა. ვინ იცის მხიარულობდა თუ ხალხთა ამოებას დასცინოდა.

,,ჩემო თავო ბედი არ გიწერია, ჩემო ჩანგო ეშხით არ გიჟღერია'' მოისმა ეკლესიის გალავნის ერთი კუთხიდან მშვენიერი კონტრალტო და ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხი მიწყნარდა, სმენად გარდაიქცა.

პირზე დაირა აფარებული ყმაწვილი ქალი გასაოცარის სინარნარით და გრძნობით სავსე ხმით არაკრაკებდა სიმღერას და მსმენელთა გაკვირვებას იწვევდა.

ფანჯარაში გამომდგარი აკაკიც ყურს უგდებდა.

მომღერალმა კილო შესცვალა და ახლა ,,სალამური'' დაიღეღუნა.

სალამურს ,,შიქასტა'' მოჰყვა. ასე რამდენსამე ხანს მთელ საზოგადოების ყურადღებას იპყრობდა ტკბილის ხმით და მარგალიტის სიტყვებით დაირა აფარებული მომღერალი. აკაკის სახეზედ თანდათან კმაყოფილება იხატებოდა.

არ იცოდა მომღერალმა რომ აკაკის საკვეველს უკმეოდა და არც მომეტებულმა მსმენელთაგანმა იცოდნენ რომ სიმღერის

სიტყვა — მარგალიტები ჩვენს ძვირფას სტუმარს ეკუთვნოდა.

სიმღერას ცოტა ხნით დუმილი მოჰყვა. დუმილს გაორკეცებული ხმაურობა, ზურნა, თამაში. მე ისევ სიმღერის ძალის ქვეშ ვიყავ და გაუნძრევლად მომღერლის გვერდით ვიჯექ და ოცნებას მივეცი.

— აჰა! თქვენც აქა ხართ? უცებ მოგესმა აკაკის ხმა და იმისმა მომცინარმა თვალებმა შემომანათეს. — ეხლა კი მეს მის, თუ საიდგან წარმოდგა, რომ ამ მომღერალმა ქალბატონმა ჩემის ლექსების მღერით დამატკბო? — მაშ თქვენი მადლობელი უნდა ვიყვე, თქვენ უკარნახებდით მაგას სიტყვებს! მე კი მეგონა რომ ხალხი მიცნობს, ხალხი მმღერს!

მე როგორც ცუდ კაცობაზე დაჭერილი ავაზაკი, ასე შევკრთი და არ ვიცოდი რითი მემართლებინა თავი.

— რას ჩიცივდი, ბატონო, ამ გაბაანთ რძალს! მაგასთან მთელი დღით მგზავრობა არ გეყო?! წამოდი, გაეცან, დაენახვე ხალხს! ამ სიტყვებით ხელი სტაცა აკაკის ერთმა მანდილოსანმა და ერისკენ გაიტაცა.

დიახ მაშინ ცოტანი იცნობდნენ აკაკის და ჩვენი მომღერალიც სხვის ნაკარნახევს მღეროდა; მაგრამ აი დადგა დღე, როდესაც მთელი საქართველო ფეხზედ დადგა და აკაკი თავის საუკეთესო შვილად აღიარა, თაყვანი სცა იმის სახელს და ქვეყანას აჩვენა, რომ მადრიელი ქართველი არ ივიწყებს თავის რჩეულთა და მით ღირსეულად აჯილდოვებს.

აკაკის ახლა სრულის კმაყოფილებით შეუძლია სთქვას, რომ ხალხი იცნობს და ხალხი მღერის იმის ლექსებს.

ეკ. გაბაშვილისა.

ეკატერინე გაბაშვილისა

ქართული მწერლობის ისტორიას ვწერდი რუსულად, როდესაც თითოოროლა პირმა დახმარება გამიწიეს ბიოგრაფიული ცნობების მოწოდებით. ამათ რიცხვში სიამოვნებით შევნიშნე ეკატერინე რევაზის ასულის გაბაშვილის წერილიც. აი რას მწერდა ამ თხუთმეტის წლის წინად ჩვენი დამსახურებული მოღვაწე და მწერალი ოავის ცხოვრების შესახებ:

„მე დავიბადე 1851 წ., ივნისის 16 იმავე ქალაქში, რომელიც თქვენს სამშობლოსაც შეადგენს; პირველად ჩემი მოგონებანი, სწავლის დაწყება და აღზრდა განუყრელად ეკუთვნის ქალაქ გორს, ამ „ქართლის მეთაურს“, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, ჯერჯერობით კი ფრიად დავრდომილს. . დედა ჩემი ეკუთვნოდა ბაგრატიონ-დავითიშვილის გვარეულობას, გორში კარგად ცნობილი ვახტანგ დავითიშვილის ქალიშვილი იყო. ვახტანგს, რადგანაც მემკვიდრე არა ჰყოლია, დედა-ჩემი აღუზრდია ვაჟკაცურად და ამისათვის დედა ჩემი, სოფიო, შესანიშნავი დედა-კაცი თურმე იყო თავისის სითამამით, მხნეობით და გულადობით. მისი ჯირითი, თოფის სროლა ცხენ და ცხენ, გრაციით სავსე თამაშ-სიმღერა და მემუსიკობა დღესაც ყველას ახსოვს და აკვირვებს, რომ მისი ქალი, კატო, ასე

მოუხერხებელი და ყოველ გვარ გარეთადს პოეტურ შეხედულებას მოკლებულია, ამის მიზეზი იქნება ისიც იყოს, რომ დედა ადრე დავკარგე და დავრჩი მამის ხელში, რომელიც თავის დამჯდარი ხასიათით და ზნეობრივი სიმშვიდით

სრულს წინააღმდეგ ელემენტს წარმოადგენდა თავის ცოლთან.

სწავლა მივიღე კერძო პანსიონში სამოციან წლებში კარგად ცნობილ M. Lavre-სას. თუმცა ზემოხსენებული პანსიონი მიდის პანსიონად ითვლებოდა და

ეკ. გაბაშვილისა, ახალგაზდობის დროინდელი სურათი

მასში მხოლოდ ფრანგულ ენის შესწავლას ჰქონდა განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, მაგრამ მაშინ, როგორც მოგეხსენებათ, ისეთი დრო იყო, ჰაერში ისეთი გამაძხნევებელი და გამაფაქიზებელი ძალები ტრიალებდა, რომ ამ პანსიონის შეზღუდული სამზღვარიც გადმოლახა და ჩემს გულამდინაც მოაღწია.

მამი ჩემის გარდა, რომელიც დიდი რომანტიკი და ზნეობა მაღალი კაცი იყო, ჩემ გულში კაცთმოყვარეობის ლამპარი აანთეს რამდენიმე დედაკაცმა, მათ შო-

რის დიმიტრი ყიფიანის ძმისწულმა მაიკომ ეს კაცმოყვარეობა თავისის სათნოებით ავათმყოფობამდინ მიიყვანა ჩემში. რაც შეეხება ჩემ პატრიოტულ გრძნობების განვითარებას, ეს რასაკვირველია, ჩვენის მიმდინარე ლიტერატურის ზედგავლენით მოხდა; მეტადრე ილია ჭავჭავაძის კალმის, მისი უკვდავი „მგზავრის წერილების“ ზედგავლენა უაღრესი იყო ჩემზე. „რას ვეტყვი ჩემს სამშობლოს და რას მეტყვის იგი მე?“ აი სიტყვები, რომელნიც მამხნევებდნენ და შეძლებისა და გვარად მაწარმოებდნენ. და აი დღეს, როდესაც ორმოცდა ოთხის წლისა შეესრულდი და მაშასადამე „ცხოვრების ნახევარი გზა გავლილ, თქვენის საშუალებით გულ ახლით შემიძლიან უთხრა ჩემ ქვეყანას: ყოველი წამი ჩემის სიცოცხლისა გეკუთვნის შენ და შენი გაუმჯობესობის სურვილს. და თუ ჩემი ნაბიჯი მკრთალი და უფერულია, ნუ დამსჯი, ის ხომ, რაც არს, შენია და შენ გეკუთვნის!

ჩემი ნაწერები ეურ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა 1881-დან. მას აქეთ არც ერთ წამს არ შემიწყვეტია ჩემი მეცადინეობა, თუმცა საუბედურ ად ამ დიდ დროს განმავლობაში წინ დიდი ნაბიჯი არ წარმიდგამს. ჩემი პირველი შრომა: „რომანი დედხევაში“ და უკანასკნელი „თამარის ნუგეში“ სავსებით გამოგიხატავთ ჩემს სურვილებს და მისწრაფებას; გაგრძელება მხოლოდ ვარიაციები იქნება“. ,მით თავდება ეს საუცხოოდ შედგენილი ავტობიოგრაფია.

წელს სრულდება ოცდაათი წელიწადი ზემო მოყვანილი სტრიქონების დამწერის მოღვაწეობისა. ამიტომ ვერ გაგვიგია, *) რათ ანგარიშობდნენ წარსულს წელს („დროება“ № 11, 1910 წ.) ორმოცდა წლიურ მოღვაწეობად. ოცდაათი წლის განმავლობაში ამ ნიჭით დაჯილდოვებულმა მწერალმა იმდენი ძვირფასი ნაწარმოები შესძინა ჩვენს ლიტერატურას, რომ ღრმა კვალი დაჩნია ქართველთ საზოგადოების ისტორიულს განვითარებაში. მან არ დამარხა მიწაში ღვთით მიცემული ქანქარი, ასარგებლა იგი ქვეყნის სასიქადულოდ; როგორც კალმით, აგრეთვე მხურვალე მონაწილეობით ემსახურებოდა ყოველს საზოგადო საქმეს. იგია დამაარსებელი, გამგე და პატრონი ქართველ ღარიბ ქალთა სახელოსნო სასწავლებლისა. მეტადრე დიდი სამსახური გაუწია საბავშვო ლიტერატურას, რომელიც აქამდის ასე ღარიბი და უფერულია. 1899 წ. ცალკე წიგნად გამოვიდა მისი „საყმაწვილო მოთხრობანი“, რომელშიც მოქცეულია 16 პატარ-პატარა ამბავი; ამათ შორის ისეთი მშვენიერი სურათებია, როგორც „თამროს შეხვედრა“, „ნანოს დედოფალი“, „საახალწლო ფეშკაში“. მას შემდეგაც საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ თითქმის ყოველ წელიწადს ჰბეჭდავდა მისი მადლიანი კალმით შექმნილ მოთხრობებს, 1910 წ. ჯეჯილში დაიბეჭდა „საწყალი ნონია“ (№№ 1, 2, 3) და „პატარა ვაჭარი“ (№ 4) და უძღვნა წერილი ჯეჯილის ოცი წლის არსებობას და მისს დამსახურებას ქართველთა ოჯახში. ჩვენ ვერ ჩამოვთვლით ეკ. გაბაშვილის ყველა ნაწერებს. დავასახელებთ მხოლოდ რამდენსამე, რომელნიც გამოქვეყნებულ იქმნენ „ივერიაში“, „მოამბეში“ და „თეატრი და ცხოვრებაში“, რომელიც დაიბეჭდა დროებაში 1870 წ. („ნაკადული“ 1910, № 1) თვით ეკ. გაბაშვილი, როგორც მოყვანილი ავტობიოგრაფიიდან სჩანს, სთვლის მოღვაწეობის წლად 1881 წ.

*) თუ არ მივიღებთ მხედველობაში მისს წერილს „გლეხკაცობის აზრი სასოფლო სკოლებ-

ში“. მკითხველის ყურადღებას ყოველთვის იქცევდა წმიდა ენა, მარტივი სიუჟეტი, სიბრალული გრძნობით და ამაღლებული იდეიით განსჭეტაკებული, დაცული ზომიერება ყოველს დახასიათებაში და აღწერაში. ასეთი ღირსებით არიან აღნიშნული მისი „სხვა და სხვა გვარი ქორწილი“, „ორგნა და ქუჩე“, „ქონა“, „ჰეურმე“, „ლუარსაბს პატრონი გაუჩნდა“, „გამარჯვებული ნიკო“, ბაბო გურჩანაული.

პატივცემულმა მოღვაწემ თავისი წვ-

ეკ. გაბაშვილისა

ლილი შეიტანა დრამატიულს ლიტერატურაშიაც: 1897 წ. დაიდგა ქართულს სცენაზე მისი „ბედი მუხთალია“ გადმოკეთებულია ავტორის მოთხრობიდან „ორხევი“. ამ ბოლო დროს დაიბეჭდა „სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდან“. ხშირად ჰბეჭდავდა აგრეთვე პუბლიცისტიურ წერილებს, მოგონებებს (თეატრი და ცხოვ. № 10, № 16), ნათარგმნ მოთხრობებს მაგ. „დედაკაცი“ ჟიპისა. ეკ. გაბაშვილის მოღვაწეობა უკვე ღირსეულად დაფასებულია: იგი საყვარელი მწერალია, მისი სახელი დიდებით შემკულია და ისტორიამ სიცოცხლეშივე მიუძღვნა მასუკვდავი „მამულიშვილის გვირგვინი“.

ა. ხახანაშვილი.

ქ ა ლ ი

(გუძღვნი ეკ. გაბაშვილისს)

ამთიდან ნიავმა დაჰბერა,
მზემ სხივი სტყორცნა მდელოსა
და განახლება დაეტყო
ჩვენს ტურფა საქართველოსა!

—

საგაზაფხულოდ მოირთვენ
მთები, მინდვრები, ჭალები,—
ზამთრის ყინვისგან დაზრულნი,
დაჩაგრულ-განაწვალები!

—

ყველა იმ საქმეს მისდევდა,
რაც ჰქონდა დანავალები:
ყანას უვლიდენ კაცები,
ოჯახს-კი მხოლოდ ქალები!

—

კაცმა მტერს გასკეს პასუხი,
ქალი შინ უმჯობესია;—
ეს ჩვეულება, მგონია,
ჩვენს ძველებს დაუწესია!

—

მაგრამ გონებამ დასძლია
უნიადაგო გრძნობასა
და ეხლა ამ აზრს არავინ
უცხადებს თანაგრძნობასა!

—

კარ-ჩაკეტილი ცხოვრება
აღარ ინდომეს ქალებმა
და ზღუდე-საზღვარს გასცილდენ
კოპწია, ბაგე-ლალებმა!

მოღვაწეობენ, შრომობენ
კაცებთან ერთად ქალები;
მომავალს შესტრფიალებენ
და უბრწყინდებათ თვალები!

—

მაგრამ პირველად ეს საქმე
ვის მიერ ჩადენილია?—
ამ გვარ ქალთა წრეს ეკუთვნის
დღეს კატო გაბაშვილია!

—

როგორც შუქურა ღიმილით
მიეგებება განთიადს,
ისე ხალისით გაუხსნა
თვის გული საქმეს მან დიადს!

—

ორმოცი წელი მწერლობდა,
არ გაუგდია კალამი;
ხელთ ეპყრა მუდამ ძმობის და
ერთობის დროშა-ალამი!

ჩვენც ნიშნათ დიდი მადლობის
ვუძღვნათ მას წრფელი სალამი!

ლადო გეგეჭკორი.

ბულბულის ამონაკვნესი

ჩიტრაკი იყო. შავად ნაღები ცის ტატნობი იწმინდებოდა. კუნაპეტ ღრუბლებს განთიადი სხივებს სტყორცნიდა და ხევებისკენ ისტუმრებდა ცრემლად დამდნარსა. აგერ მნათობიც ამოცურდა კირჩხიბზე მჯდარი და არე-მარე აანარნარა-ააქთქათა. ყინვით ნაკვეთი იალბუზის მთა განსპეტაკდა და ზათით სტყორცნა კვარცხლ-ბეკადშილი ბარს თოვლის ზვავი. ცელქმა ნიავმა ფრთა დაშვებით კორდს გადურბინა და თექა აშლილ წალკოტისას ჩაეკრა წიაღს.

მალხაზმა წყარომ ყვავილ წყობას შხეფნი აპკურა და ჩუჩჩუხითა სიყვარული მტკიცედ შეჰფიცა.

ღილის მედროშეს პირველ ყოვლის ტოროლა შეხვდა და ტკბილი ზევსური მიაწნა მის ელვარებასა.

ღელის პირებში შავ-ქათიბამ შეიფრთხიალა და სიმღერები ფსალმუნებით ჩააწკრიალა. ატეხილ ტევრში შაშვმა გრძნობით მორთო ჭახჭახი.

— ვიშ, რა ლამაზი, რა წარმტაცი რამ არის ღილა. რა საუცხოოდ შვენის ცის თაღს შარავანდედი.

ტურფა ბუნებავ, იყავ მარად ეგრე მომხიბლი!

ღილის კისკასო, არ იცვალო სხივფერადობა. ოცნების მდელოვ, აკმიეევ მარად მუშკ-ამბრი.

ასე უძღვნიდა ყველა არსი ბუნებას ქებას, ასე არ ჰქონდა საზღვარი მათ გრძნობიერებას.

მხოლოდ ბულბული მწარედ ჰკვნესდა, სულთქმით სტიროდა...

— ყოველი ხარობს... ყველა სტკბება სიცოცხლის ნექტრით, შემოქმედების ძალს აქებენ კრიმანჭულებით. მე კი... მე მხოლოდ მწარეთ ვჩივი ჩემს უბედობას. რად, რად დამკოდეს უკურნებლად გარეწარ სირთა, რად გამომტაცეს უსუსური ჩემი ბღარტები. წყეულიმც იყვნენ ძერა, ჭოტნი და მიმინონი! ოხ, აღარა მსურს ქვეყნად სიცოცხლე. მძაგს-მეზიზღება ქვეყნიური სიამ-ტკბილობა. რა კი ჩემ ბღარტებს ულმობელად მოუსპეს დღენი. მოდი სიკვდილო, უკურნებელ სევდის მალამოვ! მხოლოდ შენ ძალგიძს მიმცე ნეტარ განსვენებასა.

— რას, რას იძახი მეგობარო, ღმერთს რადა სცოდავ? განწირულებამ ეგრე როგორ დაგხვია ხელი?.. მართალი არის ქვეყნად მწარე სევ-ბედი შეგვხვდება და არც შემდეგში მოგვშორდება კაეშანსევდა, მაგრამ მაინც აქ სიკვდილი რა საფიქრია.

ჩვენი ვალია მქირდავები სხვებსაც გავაცნოთ და მით საზარელ მტაცებლობას ბოლო მოუღოთ.

მამა პაპათგან ნაანდერძი არ დავივიწყოთ ჩვენი მგოსნობა. ცით მონაბერსა აღმაფრენას ფრთები აუწყოთ და შევთხზათ ჰიმნი—სევდებისა ისარ-ნაგები.

მოდგმის განგრძობა იყოს ჩვენი პირველი ვალი. კვლავ გამოვჩიკოთ პაწა ბღარტნი და შევასწავლოთ სიმღერები მრავალნაირი. თან გავაფრთხილოთ მტაცებელნი არ გაიკარონ... რაც ჩვენ დაგვაკლდა მწუხარებით—მათ გაიხარონ.

ჭკვაში დაუჯდა დედა ბულბულს მიჯნურის რჩევა,—თანხმობის ნიშნად ლმობიერი თვალნი მიაპყრო და იმ იმედით, რომ კვლავ ლამაზ ბღარტებს დაზრდიდა და ასწავლიდა კრიმანჭულებს მრავალ მუხლოვანს,—აღეგზნო გული ხილულ ქვეყნის ტრფიალებითა და ცის სივრცისკენ ლაღი ფრთებით გაჭრა კამარა.

დ. თურდოსპირელი.

გაზაფხული

Ყველაზე ადრე ბზეწვიამ
თავის საკრავი დაუკრა,
გვახარა: „გაზაფხულმაო
ქვეყანას თავი დაუკრა!“
დღეს ნათელს, მიწას გამშრალსა
იმის სიმღერა მოუხდა.
მღერის: „იხარეთ ყველამა,
ქვეყანას ნატვრა აუხდა,
გაწბილდა ბილწი ზამთარი,
ანგარიშები წაუხდა!“
ეიყომაც თავი ამოყო
მიწიდან, ქვიდან, კლდიდამა,
მწვანეთ დაიწყო ღაღანი
მშობელმა დედა-მიწამა!
სუყველა არსი, რაც კი რამ
დედამიწაზედ ღიოდა,
გაცოცხლდა, სული ჩაედგა,
სიკვდილს აღარა ჩიოდა.
პატარა ჭია-ღუებსაც
მთელი ზამთარი სციოდათ,
დათბნენ და დაძღნენ,
„ღმერთს მადლი!“
ყველა ამასა წიოდა.

ცხოველმყოფელი შუქითა,
მთელი სამყარო აივსო...
სადაც იხილა ეს შუქი
დღემ, ღამემ, დილამ, დაისმა,
სიცოცხლის მადიდებელი
ხმა ყოველ მხრიდან გაისმა.
ახლად ნაშობი სიცოცხლე
ამზეოს იარებოდა,
ძირს ჩადიოდა ხევშია,
მაღლა მთაზედა ჯდებოდა,
ჰაერის, წყლისა, ტყის, მინდვრის,—
ყველას სტუმარი ხდებოდა;
რიგორ გამოვსთქვა, სიცოცხლით
ყველა როგორა ტკბებოდა!
აქამდე ბევრი ურწმუნო
ფიქრობდა, უკვირდებოდა,
სიცოცხლის გამოცანასა
ვერც ხსნიდა, ვერცა სწვდებოდა,
არსობის საიდუმლოსა
ვერ მისწვდა, უჭირდებოდა,
დღეს კი ეს ძნელი საკითხი
თავისთავადა სწყდებოდა.

თ. რაზიკაშვილი.

* * *

„ვერას გავხდები შენის წამებით!...
მაგრამ დავრჩები მით მოხიბლული,
რომ საჩუქრებით, ვერც მრისხანებით
ვერ დავიმონე ეგ შენი გული!..
ხელ-ფეხ შეკრული გდიხარ ჩემ წინა,—
არ დამემონო—რა დაგრჩენია?!..
შენმა სიმხნემ კი სხვა მაგრძნობინა
და გამარჯვებაც სწორედ შენია!..
წადი, ერთგულო შენი მამულის,
კვლავ ემსახურე სამშობლო აკვანს!..
ერის გულისთვის თავ-განწირულის
მაღალ სულს—გწამდეს—მეცა ეცემ თაყვანს“!..

ასე ეტყოდა ხშირად ქართველსა
ძველად აზიის მტარვალთ-მტარვალი
და, თუ ხედავდა მას მარტოხელსა,
მით უფრო მასზე რჩებოდა თვალი!..
ეს იყო მაშინ, როს ჩვენს სამშობლოს
გარს მტერი ადგა აზვირთებული!..
მაგრამ, ვაგლახ ჩვენ!--დღეს რამ მოხიბლოს
„ევროპიელი“ მტარვალის გული?!..

დ. თომაშვილი.

მუშაკის ხსოვნას

(გურმანელთა პოეტის ფრიალი გრატისა † 1876 წ.)

პატივი მას, ვინც სიტყვა-სიცივეს
ხვნა-თესვისა ჟამს არ ერიდება,
წელში მოხრილი ეწევა შრომას
და თავისს სახნისს კვალში მიჰვეება,
ვინც მიწისა ქვეშ ბნელს მადარაში
ეწევა ჯაფას, ტანჯვით აღვსილსა,
და გაშუქებულ ტვირთისა ხიდვით
ინახავს თავსა და თვისს ცოლშვილსა.
დიდება თქვენდა, შრომისა შვილნო,
და შენცა, შრომავ, გეკუთვნის ქება,
პატივი თქვენდა, მშრომელნო ხელნო,
და იმ ოფლისა წვეთსაც დიდება,
რომელიც სოფლად ან ხვნის ან მკის დროს
სვეტი შუბლიდან ვარდება ძირსა
იმის ნიშნად, რომ მისი პატრონი
თავსა ვერ აღწევს მუდმივსა ჭირსა.
ნუ დავივიწყებთ იმა მუშაკსაც,
რომელიც თუმცა ნახნავს არ ფარცხავს,
მაგრამ, ვით მონა გაჭირვებული,
თვის ტვინის გუონით სხვა გვარს მინდორს
ხნავს...

თუნდა იჯდეს ის წიგნთა საწყობში,
ანუ „ძველთსაცვის“ მტვერსა ულაბავდეს,
თუნდა თავლებსა კითხვით იღლიდეს
და ანუ ლექსებს და დრამებს სთხზავდეს,
თუნდ სოფსერით სხვისა ნაწერსა
კითხულობდეს და ტვინს ისუსტებს
და ანუ მშრალსა გრამატიკასა
თვისს მოწაფეებს განუმარტავდეს;
მასაც ჩასძახის გაშუმებით ხმა:
„შენცა იშრომე და ოფლი დაარე“,
აღრე უჭადრებს იმასაც თმასა
მუდმივი ჯაფა და ხვედრი მწარე.
უზომო ჯაფით თვის ღონის ძალებს
ისიც ასუსტებს, ეოველ დღე ხარჯავს,
და გაჭირვება, მისი მჩაგვრელი,
ანახვებს იმას უდროოდ სოფლავს...
არ ფრინავს იგი ოცნებით ცაში,
მუდამ ეწევა ზრუნვას დღიურსა;
მუდამ შიმშილი, მუდამ ტანჯვები,
მუდამ ბავშვებიც სთხოვენ მას პურსა.
ბევრსა ვიცნობდი ასეთს მუშაკსა:
ერთი მათგანი ცისკენ ფრინავდა...
მაგრამ პურისა ლუკმა ეს გულისთვის
ის სიკვდილამდის მტვერში ეორავდა.
იგი მხნე იყო... მის ოცნებანი
იყო მხურვალე, მეტად ცოცხალი,
მაგრამ ოცნებებს გულში იკლავდა
სიღარიბის ქვეშ იგი საწყალი.
სწერდა ქადაღდებს გამუდმებულად,
ოჯახში იჯდა სულ შეხუთული,
და მის გარშემო კი ეოველივე
სიცოცხლით იყო გატაცებული...
ველი ჭეკაოდა გულის წარმტაცად,
ტოროდა მარდად ლინაგარდობდა,
ტკბილად მღეროდა ნახი ბულბული,
მთელი სოფელი იღიმებოდა...
არ უტქეროდა იგი ქვეყანას,
თითქოს არ მქონე თავლის, ეურისა...
ოთხს კედელს შეა დდეს იმოკლებდა
საწყალი მონა, მეშა სულისა!
ოდეს ხან და ხან ოხვრას და გმინვას
იწყებდა მისი მკრძნობარე გული,
სევდას სიჩქაროდ განიქარვებდა
სულითა მხნე და ჭკეთა სრული...
ბოლოს სნეული დოგინში ჩაწვა;
აღარ შესწევდა შრომისთვის ძალი,
თუმცა ამ დროსაც მას ემჩნეოდა
ჭაზრი ნათელი, ფიქრი მადალი.
მოკვდა... არც ჯვარი, არც ქვა წარწერით

არ ამშვენებენ იმის სიფლავსა...
მშვიდობა იმას და ტკბილი ძილი
ბორბოტს ბრძოლაში დაღუპულს ძალსა!
საწყალ მებრძოლის ობლებს მოელის
მტირე წლოვნება ძალიან ძნელი...
მაგრამ მამისა წმინდა სახელი,
არის იმათი სამკვიდრებელი.
ნუ დავივიწყებთ იმა მუშაკსაც,
რომელიც თუმცა ნახნავს არ ფარცხავს,
მაგრამ, ვით მზა გაჭირვებული,
თვის ტვინის გუთნით სხვა კვარს მინდორს
ხნავს...

ილ. ფერაძე.

სიკვდილი.

—

ლიახ, ის მოვა...
ჩემდა მხსნელად ისლა მშთენია;
მე იმას ველი,
დღე ღამე ვერ მომისვენია,
მოდი სიკვდილო...
სულს უშენოთ მოუწყენია!...

—

მხოლოდ ის ისმენს
ავად მყოფის კვნესას გულისას;
იგი უყურებს სამუდამოთ
ტკივილს წყლულისას.

—

მეც იმას უცდი...
მოვა... დიდხანს აღარ მაწვალებს,
ცივი ხელებით დამიხუჭავს
ცრემლიან თვალებს.

—

მოვკვდები... მოვლენ,
შავ კუბოში ჩამასვენებენ...
ცოდვილნი სულნი
მეც ცოდვილათ მომიხსენებენ.

—

შემდეგ ამწევენ, წამიღებენ ოხერ საფლავზე
და სადმე ახლათ გათხრილ მიწას მიმაბარებენ...
იქ ჭია ღუა იწყებს ცოცვას ჩემს ხრწნილ სხეულში,
ახალი მდგმურით მეზობლებიც გაიხარებენ...

გოგია უიშვილი.

ვაჭარი და მეზობელი

(იგავი „ქილიდა და დამანიდან“)

Ადიდარ ვაჭარს შორს სავაჭროთ
წასასლველი შეხვდა რიგი,
და სათუო შავ დღისათვის
დაიჭირა თავდარიგი:
ერთ მეზობელს ასი ლიტრა
მიაბარა რკინა კარგი,
თუ წავაგე, თქვა, ამ რკინამ
საქმე მიქნას მე ფარსაგი.
გავყიდი, ხელს მოვიბრუნებ,
ჩემ გზას მაინც გავაგნებო,
ამონაგებს კმა დავრჩები,
და ნელ-ნელა ვათავნებო!
ივაჭრა და შემოიქცა,
მიაკითხა მეზობელსა.
მან ოთახში შეიწვია,
წააყენა ერთ დიდ ხვრელსა:
„შენი რკინა აქ დავმარხე,
სად ყოფილა ვირთხის ხვრელი...
და სულ მთელათ შეეჭამა,
კბილები აქვს თურმე მკრელი!“
ვაჭარმა თქვა: „ჰო, ასეა—
ვირთხას უყვარს რკინის ჭამა;
რკინის სილბო და სიმსუქნე
უეჭველათ მას იამა!“
მეზობელი ფიქრობს: „სწორეთ
ამ კაცს ჭკუა აქვს სულელის!“
და სადილათ დაპატიჟა—
გამორჩენას კიდევ ელის.
წვეულმა მას სახვალიოთ
სტუმრობისა მისცა პირი.
წავიდა და თან ქურდულათ
წაიტყუა მისი შვილი...
ბავშვი დამალა და ისე,
გულ ხარბს, გამოქნილ მეზობელს,
პირობისამებრ, ეწვია,—
მასპინძელს ხედავს ცრემლის მდვრელს:
„—ვაიმე, ჩემო სტუმარო,
არ გებრალები ბედ მწარი?
გუშინ რომ შვილი გამებნა,
დღესაც არ ვიცი—სად არი!“
ვაჭარმა უთხრა: „გუშინ ერთს
ძერას მიქონდა ბიჭიო,
ვისი ძე იყო, ვერ ვიცან—
ცნობის არა მაქვს ნიჭიო“.
— შე კაცო, სად გაგონილა.
ძერას მიქონდეს ბავშვიო!
ვაჭარი ეტყვის: „შეუშვი
ეს აზრი მაგ შენს თავშიო:
ვირთხა თუ ასს ლიტრა რკინას
შეკვნეტავს, შეჭამს კბილითო,
რათ არ იჯერებ, რომ ძერა
აფრინდეს შენი შვილითო?!“
— მე მოგატყვილე. ის რკინა
არ უჭამია ვირთხასო!
— მეც მოგატყვილე: შენი ძე
არ წაუღია ძერასო!
ხომ გაზღვევინე, ძმობილო,
შენი სიცრუის ბაჟიო?
აწ მომე ჩემი რკინა და,
წაიყვა შენი ვაჟიო!“

—

ამ უცნაური ამბვისა
ეს არის სწორი იგავი:
ნუ მოეპყრობი სხვას ავათ,
თუ არ გსურს გიზღოს მანც ავი!

თ. მაგმაძე.

შინაური მიმოხილვა

დიდ თოვლიანობა დასავლეთ საქართველოში და ჩვენი გულგრილობა-უმოქმედობა.

ლიდი, არა ჩვეულებრივი ზამთარია დასავლეთ საქართველოში! იმ დროს, როდესაც ქართველ-კახეთში და, ასე წარმოიდგინეთ, სვანეთშიაც—ამ განხორციელებულ თოვლის სიმეფეში—თიოქმის არც კი მოსულა თოვლი, დასავლეთ საქართველო (იმერეთი, გურია-სამეგრელო, ბათუმის ოლქი, სამურზაყანო და აფხაზეთი) თოვლშია ჩირდაბერ ჩაფუდული და აუწერელს ტანჯვა-ვაებს განიცდის. მთელი ნახევარი ნაწილი საქართველოსი აგონიაშია, სიკვდილს ებრძვის და ლონე-სახსარიც არა აქვს ჯოჯოხეთური კვნესა-ტანჯვის ამონახეთქი ხმაც განცხრომაში მეოთე თანამოძმეებს გაგონოს და მათი გაყინულ-ადრეულ-ბედეული გული ამოძრავოს, აუტოკის და დახმარება—ხელის გაწვდის სურვილი აღუძრას...

სხვაგან, მაგ., რუსეთში დიდი თოვლი და ყინვა ჩვეულებრივი მოვლენაა. საკენი თოვლი, ოდეს ათი გრადუსი ყინვა, ზამთარი 7 – 8 თვის განმავლობაში—აბა ვის გაკვირვებს ან ვის ამოქრებინებს იქ, რომ ასეთი მოვლენაში ხალხისთვის საბედისწერო და გამანადგურებელი იქნება. ამისთანა ზამთარს რუსეთისთვის არავინ სთვლის სთაქიოსურ უბედურობად. ეგვლამ იცის, რომ რუსის ბალეხი, რაც გინდ ლარიბი იყოს, ზამთრისთვის შეძლებისა და გვარად მოწყობილ-მომზადებულია. ლარიბი, ვიწრო და ჩაქოქვილია მისი ქოხი, მაგრამ ქარ-სიცივეკ მაინც არ შეეძლის და რუსული „ბეჩითაა“ გამბარი; ულაზათო და უშნოა მისი წვარიანი ქერქი და მატელიანაგან მოთელილი ფეხსაცმელი (валенокъ), მაგრამ ტანს კარგად ათბობს; მარტივი და მწირია მისი წლიური სარჩო სანოგაგე, მაგრამ ახლოს მაინც აქვს დამზადებული; ახლოსვე აქვს ქარის წისქვილი, რომელსაც არც ყინვა და არც თოვლი არ შეაჩერებს; მას საქონელსაც გომურში თბილად შეუფარებია თავი. ამას ისიც დაუმატეთ, რომ რუსის სოფელი მწიდროდაა დასახლებული, ქუჩებითაა დაყოფილი და ამისთვის შეერთებული ბრძოლა საერთო უბედურობასთან ადვილად მოსახერხებელია და კერძო გაჭირვებაში მეოთე ოჯახი მეზობლებიდგან დახმარებას იღებს.

სულ სხვა ჩვენში, ბომეტებულად დასავლეთ საქართველოში. აქ თოვლი ხშირად სრულებით არ მოდის და თუ მოვიდა, ისიც ცოტა და ჩქარა დნება; ყინვა დიდი, დიდი თუ ნ გრადუსამდე ავიდეს და ისიც იშვიათ შემთხვევაში. საზოგადოდ კი ზამთარში თბილა და ხანდისხან ქუქუნა წვიმა მოდის. ხშირად ოებერვლის დამლევს მოლი ამოყოფს თავს და მარტის ბირვეულ რიცხვებში კი მთელი მინდორ-ველები ბალახ-ყვავილებით მოხატვრდებულ-მოქარგულია. ჩვენი ხალხიც ბუნების შვილია და, როგორც კულტურას მოკლებულს, მას ისე აქვს მოწყობილი ოჯახობა და საზოგადოდ ცხოვრება, როგორც ეს მშობლიურ ბუნებას შეეწონ-შეეფერება. ფიცრული, უჭერ-ფიატაკო, უბუსრო. შეულესელ-შეუტეკეელი ფარდალალა სახლი, სადაც ქარი თავისუფალ დასეირნობს და წვიმის წვეთები და თოვლის ფერფლები უხვად შეაქვს და ატრიალებს—აი ჩვენი გლეხის თავშესაფარი და მეფლმეი სამკვიდრებელი. შეა ცეცხლი, რომლის ალს ქარი აქეთ-იქით აბრიალებს და სითბოს უკარგავს—აი ჩვენი გლეხის ოჯახის სითბოს წყარო, მისი კამბრი.

ასეთი ქოხი მიეუნჭულა სადმე მიერეულებულ ადგილში ობლად, უტოლ-ამხანაგოდ. „არსაი-

დან ხმა, არსით ძახილი“... ძაღლების გამ-
წარებული ეეფა და ქალების ეურის მოშეეგ-
ლელი წივილ-კივილი (როცა ვინმე ოჯახში
გარდაიცვლება) თუ გამოაცოცხლებს მოურეე-
ბელ არე-მარეს!

დაკვირდით ამ ქოხში შეხოვრებთ. მამა-
კაცს დაფლეთილ დაკონკილი ახალუხი და ჩოხა
ამოსია; ხშირად ეს ჩოხა-ახალუხი ესახელო
და ეეაღლოოცა. შალვარი ისე დაძველებულა
და დაცრეცილია, რომ ფეხ-კაცს დაკერებაც
ვერ მოეხერხებია და მასში ქარი ისე დანა-
ვარდობს, როგორც ჩვენებურ ქოხში. თეთილ
ეაბალახის ნაცვლად, საბრალო კლეხს თავი
ჭეშეეიანი ამერიკანის ძველი ნაფლეთით ეაეეა-
რავს; მომეტებულს შემთხვეევაში ფეხშიშვე-
�ა: არა აქვს ჩუსტები—ჩაფეულები, ეინ-
დები, ხელთათმნები, არა აქვს ნაბადი—ეს
ქართველების კამბობი ქურქი.

ქალიც დახეულ-დაძველებულ ჩითეეულობა-
შია კახეული: მის კამხმარ კულ-მკერდს—
მომავალ საქართველოს შვილების მსაზრდოე-
ბელს—არ ფარავს თბილი მანდილი; ფეხ-
შიშველია და ნახევრად ტიტეული. მისი კა-
ლტრეცილ-ჩაქვითლებულ, მაგრამ დამაზ, სა-
ხეზე ფიქრ-ზრუნვა და ტანჯვა-წვალებაა ა-
ბეჭდილი...

ლტიტეულებულან ბავშვებიც. ქარ-ბუქი და
თოვლ-ეეუაზშიაც მარტო ეერანგძა ამარა მობუ-
ზულნი დაიარებიან. კამხმარი წვივები კერსა-
თან ტრიალით წითლად აფოროეკებია; ეუცე-
ლები დაბერვია. მხოლოდ შავი ნახშირივით
ტოტხალი თვალები მოწმობენ, რომ ისინი
საქართველოს—ამ „ცა-ფირეზ, ხმელეთ-ზურ-
მუხტა- მგზნებარე კოლხიდის შვილები
არიან.

კახფეულის ნირწ ბაღანს და ნოეიერ სა-
ზამთრო საკვების მოკლებული ჩვენი კლეხის
საქონელი, ჩამომხმარ-ჩამოტეაებული, ძღივს
დაღოდავს და სულს ამბით იბრუნებს, რომ
ბუჩქ-სეროს და ეკალს ჭკორტნის. თუ არ
ეს ბუნებრივი საკვები, მარტო კამხმარ ჩალის
ამარა დარჩენილი ჩვენებური საქონელი ეასა-
თეოდ თქვენს ჯირს წაიდებდა.

ეი ქოხის ტოტა იქით ოთხ წვრილ-მოკ-
რეენჩულ ფეხებზე წამოეეუნტულა ჩალით კა-
დახურული ნალია ან სასიმინდე. აქ ქვეს
კლეხს შენახული თვისი წლიური სარჩო.
ქარის დროს ის ისე ირეევა და ბარბაცობს,
როგორც ძალზე მთვრალი კაცი; ბატარა თოვ-
ლიც ჩაეხნექს მის სეეტ სახურავს.

საქონლისთვის უმოავრესი საკვები—ჩალა
კლეხს სიშორის კამო ეანაში მდგარ ხის კარ-
ხეშიდ ტოტებზე მიეფეთ აესხამს და ისე
მიეტოვებია იმ იმედით, რომ, როცა დას-
ჭირდება, მოიტანს.

წისქვილები, რადგანაც ჩვენში ეიდეე-ედი-
ნარეები ხშირი არ არის, ძლიერ დაშორებია
სოფელს, ხშირად ათ-თხეთმეტ ვერსტის
მანძილზეა და ადმართ-დამართ და უგზო-ბ-
ბისა კამო ძნელი მისაწვდომია ამინდებიან
ზამთარშიც.

ხშირად ჩვენს კლეხს ეგზაში წეალიც არა
აქვს და იძულებულია ზურგით დიდ მანძილი-
დგან ზიდოს... როდესაც ჩვეეულებრივი ზამ-
თარია, მეგიდრნი, თუმცა კეჭირვებულად, მაგ-
რამ ცხოვრობენ, საზრდოობენ და საქონელ-
საც ჭეეებენენ.

მაგრამ წარმოიდგინეთ, მძაბ მდგომარეობა,
როდესაც მოეყოდნელად თავზე დაატეეება
ისეთი არა ჩვეეულებრივი ზამთარი, რომელიც
წრეეანდელი ზამთარია!

თითქმის ოთხ არშინიანმა თოვლმა ჩაფლა
ჩამარხა დასავლეთ საქართველოს მეზრვრეები,
მოსწე�ეტა, მოაშორა მეზობელ-მოკეთეებს და
ამ ბატარა-ბატარა ცენტრებს, სადაც ნავთ-სა-
ბონის და მარილის შოგნა მაინც შეიძლებო-
და; შეეძლებლად გაეხადა წისქვილში საფქვა-
ვის წაღება, ტეეში შეშისათვის ურმით წასვ-
ლა, რე-წეარიებიდგან ეოკით წეალის მოტანა.
ჩაიკეტა, მოსწედა სეეეეფერს სბრალდო

მცხოვრები, უნუგეშოთ, უიმედოთ! ამას დაუმატეთ არა ჩვეულებრივი ეინვა, რომელიც სიშინლად ზრავს და ავიჩხებს საბრალო მუშის ხელ-ფეხს და განძრევა-გამონძრევას, გასვლა-გამოსვლას და მუშობას უშლის, თითქმის შეუძლებელს ჭეოფს.

ეველა, ვინც კი იცნობს დასავლეთ საქართველოს ეოფა-ცხოვრებას და ადგილის მდებარეობას, ადვილად წარმოიდგენს, თუ რა უბედურობა უნდა ტრიალებდეს ათას, ათი ათას ოფოლში ჩაფლულ, ეინვისგან გაფიჩხულ, შიშველ-ტიტველ და მშიერ-მწყურვალს ოჯახებში. ალბად რამდენი სასოწარკვეთილი, გულგამგმირავი ევირილი „მიშველეთ, ვიღუშებით“ გამოუხმაურებლად ჩამკვდარა და უსარგებლოდ ქარს წაუდია ტეე-დრესაკენ! ალბათ რამდენს ბავშეს „მსია, ბელი მინდას“ უკანასკნელად წამოძახილით უმნკო სული განუტეეგია! ალბად რამდენი მშობიარე მოუფლელ-მშიერი და გაეინული მოშორებია წუთი სოფელს თვისი იმ ძვირფასი კანძით, რომელსაც „ცხრა თვეს მუცლით ატარებდა“.

ალბად რამდენი ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი გაეინა გზაზე საფქვავზე, შეშაზე, საქონლის საგეებზე მიმავალი...

ბატონებო! ძნელი ჩამოსათვლელი და წარმოსადგენია მთელი ის ვაი-უბედურობა, რაც უნდა დატრიალებულიეო მთელ დასავლეთ საქართველოში. მერე გავიგებთ კი მწვავს სინამდვილეს? ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი ცალ-ცალკე, გათიშული, მარტოდმარტო იღუნება და თვისი ტანჯვა-წვალების და სიკვდილთან ბრძოლის შემაძრწუნებელი ისტორია თითონვე მიაქვს სიდუმლოდ იქ, სადაც „არ არის არც ურგა, არც ტანჯვა“.

მხოლოდ ხანდისხან და ისიც საუკეეტ-ნაუკეტად გაზეთებში იბეჭდებოდა ცნობები დასავლეთ საქართველოდან: იწერებოდნენ, რომ რამდენიმე მთის კალთებზე მიკრეფილი სოფლები მთლად ჩაიმარხა ოფოლში და მცხოვრებნი ამოწყდნენო; რომ ხალხს საფქვავი წისქვილში ვერ მიაქვს და მხოლოდ მოხარშული სიმინდით იკვებებიან, რამც მრავალი ავადმყოფობა გამოიწვიაო; რომ ჰიროუტეეი და წვრილფეხობა მთლად ამოწყდა შიშმიდ-სიცივისაგანო; რომ ხალხს მიცვალებული სამ-ოთხ კვირაობით სახლში უსვენიათ და, რადგანაც სასოფლოზე წასვენება შეუძლელია, სარდაფებში ან იითონ სახლში მარხამენო (კერძო წერილიდგან შეეიტეეეთ რომ სამეგრელოში ერთი დეკანოზიც სარდაფში დაუსაფლავებიათ) და სხ.

„Новая рѣчь“-ის უკანასკნელ ნომერში ერთი გულსაწვავი ამბავია მოთხრობილი. ფოთელი კორესპონდენტი. ი როგორ აგვიწერს სოფელ ნაბადას დადუმვას: „11 თებერვალს შიშისაგან გადარეული სოფ. ნაბადას მცხოვრებნი მორბოდნენ ფოთისაკენ, ქვითინებდნენ და მოგვითხრობდნენ, რომ მათი სოფელი რიონიდგან გადმოსულმა წყალმა მთლად დაეარა, დაიღუბა მთლად საქონელი და ოჯახთა მოროეულობა, მრავალი ხალხიც იღრჩობა და შემწყობა არსიდ არისო“.

კიდევ კარგი, რომ ეს უბედურობა ქალაქს ახლო მოხდა და ფოთის ადმინისტრაციამ შეძლებისადაგვარად შემწყობა ადმოუჩინა მაშინათვე და მომეტებული ნაწილი ადამიანების სიკვდილს გადაარჩინა. ვინ იცის რამდენი ამისთანა უბედურობა დატრიალებულა და აწიც დატრიალდება მიურეებულ და მოწყეეტილ სოფლებში და რამდენი ადამიანის სიცოცხლე და სარჩო-საბადებელი უმსხვერშლია? გაკვირვება უფრო აწია მოსალოდნელია, როდესაც ეაურეელი ოფელი ეცფად დაწეებს ნობას და უბრალო ღელეებსა და ნიადგრებს მრისხანე მდინარეებად გადაქცეევს და წალეკავს იმასაც, რაც საბრალო მცხოვრებმა ვაი-ვაგლახით და თავ-განწირვით თოფლს და ეინვას გადარჩინა. არა, კალამი ვერ აწერს იმ უბედუ-

რობას, რაც კაშოაარა და რასაც აწი კამოიგ-
ლის დასავლეთის საქართველო!

მერე როგორ შეგხვდით ჩვენ ამ ხალხის
უბედურობასს? რა დონე იდონეს ქართულმა
ბრესსამ, ქართულმა განათლებულმა და შეძ-
ლებულმა საზოგადოებამ, ქალაქების და და-
ბების ოვით-მართველობამ? — ოითქმის არავი-
თარი! ორიოდ უფერული წერილი უძღვნა ამ
საერო მოვლენას ჩვენმა ჟურნალ-გაზეთებმა,
რამოდენიმე შემთხვევითი კორესპოდენტია და-
ბეჭდა და მერე ჩვეულებრივად „ღადაღებს“
ჩინეთზე, „წითელ ოთახებზე“, ოქტომბრის-
ტებზე, ნიკულინის და ეიხენვალდის დასებზე
და სახალემიკო წერილებში ეუმბარებს ისევის
ბირად ანგარიშების გასასწორებლად. ქუთაისის
„განათლებული“ საზოგადოება და თვითმარ-
თველობა, დას.ლასობის მოტრფიალე და ბი-
რად კონკლობას მიჩვეული, ისევ ქალაქის
თავის ძებნაშია და თვის ღონე-ენერგიის ბი-
რად, ხშირად სამარცხვინო ბრძოლას ანდო-
შებს... ამის შემდეგ ალბ სხვა ჩვენი დასავ-
ლეთ საქართველოს დაბა-ქალაქებს რა უნდა
მოვთხოვოთ?!

რას მოწმობს, რას ჩაგვძახის ასეთი ჩვენი
გულგრილობა-უმოქმედობა?—იმას, რომ ჩვენ,
ეგრედ წოდებულ „განათლებულ“ საზოგადოე-
ბას, და ხალხს შუა არაფერი საერთო, ნათე-
სური არ ეოფილა; რომ ჩვენს და ხალხის
გულს ცოცხალი და მგრძნობიარე ნერვები
არ აერთებენ და არ აკავშირებენ! ასე
რომ არ იყოს, მაშ რისთვის არ ვგრძნობთ
მწვავად იმას, რომ ეს ნერვები დაწუვეტი-
ლან? რათ არ ვიტანჯებით ხალხის ტანჯვით?
როგორ ჩაგვიდის ტკბილად ლუკმა ბირში,
რანაირი გულით დავიარებით ჩვენ თეატ-
რებში, ბალ-სადამოებზე, ტირეში, კლუბებში
ულარდელად, დაწუნარებულად, როდესაც მთე-
�ი დასავლეთ საქართველო ტანჯვა-გაწირვე-
ბაშია? ანდა შეიძლება ჩვენ იმის შეგნებაც
დავკარგეთ, რომ მომხდარი უბედურობა ჩვენი,
ისევდაც დაძაბუნებული, ხალხის დამდუბველია?
თუ მართლა ჩვენმა მოწინავე საზოგადოებამ
ასეთი მოვლენათა გაგების ნიჭიც დაჰკარგა,
მაშინ რა ვეოფილვართ? **ეარა რა**, მეტი არა-
ფერი!

თუ ასეთმა უბედურობამაც არ აგვამეტეველა,
არ აღგვიძრა გრძნობა შებრალებისა და სურვილი
დახმარებისა; თუ ეველა არ გაგვმეტვალა შრო-
მა-მოქმედების სურვილიი, არ შეგვაერთა ე�e-
ლა და არ დაგვაყოფა დროებით მაინც ბირადი
ინტერესები და კინკლობა, მაშინ ჩვენ სა-
ბოლოოდ დავცემულვართ, დავდაჩრებულვართ
ზნეობრივ-ეონებრივად.

და რომ საბუნებრად ჩვენს საზოგადოებას
გახარწა შეეზარვია, გრძნობა დაჩლუნგებია და
მოვლენათა შეგნებაც დაჰკარგვია, ამის მოწ-
მობს დასავლეთ საქართველოში მომხდარ
უბედურობის შესახებ **ღღემდის** გამოჩენილი
გულგრილობა-უმოქმედება.

ბატონებო! ჩვენი „განათლებულნი“ გატა-
ცებულნი ერიან სხვა და სხვა გმირების „კინ-
ჯით“. „კინსაჯეს“ ზეინაბი, ჩეხლიეფადეი,
კანდეკილი და სხვ. რამდენი მეჭერმეტეველ-
ობა და ენერგია დაიხარჯა! სამართლიანი
და დროს შესაფერიც იქნებოდა, რომ ჩვენი
ინტელიგენცია თვისი თავის „კანსაჯასაც“
დანიშნავდეს თბილის-ქუთაისის თეატრებ-
ში...

ბ. ბ. საზოგადო მოღვაწენო და „განათ-
ლებულნო!“ ჩვენ თავი მიგვაჩნია „მარილად
ამა სოფლისა“. საქართველო კი კითხვას
გვაძლევს: „თუ თქვენ მართლა მარილნი
ხართ ამა სოფლისა“, რათ იხრწნება ჩვენში
სუფეველაფერი საზოგადო საქმე“?

ნუ შეგვრცხვება, მივცეთ გულახდილი პა-
სუხი... შეგნება საქმის დასაწყისია, განკურ-
ნების მომასწავებელია!

იპ. ვართაგავა.

სოციოლოგია

III

სოციოლოგიის მამა-მთავარი ოგიუსტ-კონტი

1837—42 წლ. დაიბეჭდა ოგიუსტ კონტის (Auguste Conte) „Cours de philosophie positive". ამ გამოკვლევაში ოგიუსტ კონტმა დაარქვა ახალი მეცნიერული დარგი სოციოლოგია. მართალია, ზოგიერთი ცნებანი, აქ გამოთქმულნი ახალი მეცნიერების შესახებ, კონტზედ ადრე იყო გამოქვეყნებული, მაგ. კონდორსესგან, სენ-სიმონისაგან, მაგრამ კონტის უდიდესი დაკვალი იმაში გამოიხატება, რომ დაბნეული, დაფანტული, სხვა და სხვა შემთხვევების დროს გამოთქმული, შეაერთა, შეაზავა, ამასთან საკუთარი კანსაზღვრა ახალი მოძღვრების შინაარსი, მისი შემადგენელი ნაწილები, ერთის სიტყვით შექმნა—სოციოლოგია, და ამიტომ მას ფირსეულად უწოდებენ სოციოლოგიის მამა-მთავრის სახელს. ვიდრე კონტის სოციოლოგიური მოძღვრების განმარტებას შევიდგებოდეთ, საჭიროა გავეცნოთ საერთოდ კონტის ფილოსოფიას, მისს მეცნიერულ შეხედულებას. ფილოსოფია, განუკენებული აზროვნობით სცდილობს გადაბიჯოს ამ ნივთიერ, ჩვენ გარშემო არსებულ ბუნებას და შეიგნოს ის, რაც არსებობს ამ ბუნების იქით, ცდილობს მისწვდეს ფენომენების არსების შეგნებას. ამ ნიადაგზედ აღმოცენილა **მეტაფიზიკა** ე. ი. ისეთი მეცნიერული ცოდნა, რომელმაც მოიწადინა უზენაესი ძალების, უზენაესი, არა ნივთიერი ბუნების შეგნება. ჩვენი შეგნების საშუალებანი კარ შესძლებენ იმის გამოკვლევას, რას წარმოადგენს ის, რაც არ შეიცავს ნივთიერ ბუნებას და ხასიათს. მაშასადამე ჩვენ უნდა შეიგნოთ ის, რასაც ჩვენ გარშემო არსებული მოვლენანი შეიცავენ, იმ საზღვარ, რა საზღვარიც ისინი ჩვენ წინ მდებარობენ. ჩვენ უნდა შეგისწავლოთ და უნდა გამოვიკვლიოთ ბუნება იმ თვიოოუფლი, კერძო მოვლენისა, რომელსაც მიწვდება ჩვენი ორგანოები, ჩვენი გრძნობა. ჭეშმარიტი მეცნიერული იარაღების შემწეობით ჩვენ უნდა შეგიგნოთ მოვლენათა თვისება, მათი ელფერი და მასთან ერთად უნდა შეგვეცადოთ, მივაგნოთ იმ კავშირს, დამოკიდებულებას, რომლებიც აუცილებლათ არსებობენ სხვა და სხვა ნივთებსა და მოვლენათა შორის, ე. ი. უნდა აღმოვაჩინოთ კანონები. აი უმთავრესი მიზანი, მეცნიერული საშუალებანი, აი ერთათ-ერთი ჭეშმარიტი შეგნების გზა. ამ გვარ ფილოსოფიურ აზროვნობას უწოდებენ **პოზიტივიზმის** სახელს. კონტის ფილოსოფიაში შესანიშნავი აზრი არის გატარებული, რომელმაც დიდი ადგილი დიკავა საერთოთ მეცნიერულ აზროვნებაში და დიდი დაკვალი დასდო მეცნიერებას. კონტი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ადამიანის აზრი თან და თან იზრდებოდა, ვითარდებოდა და თან და თან უახლოვდებოდა უმაღლეს ფორმებს განვითარებისას,—კონტს განმარტული აქვს ძალიერ ნათლად აზრები **ევოლიუციის** თან-და-თანური ზდის შესახებ. კონტის შემდეგ ევოლიუციის დასაბუთებას შეუდგენ დარვინი და სოციოლოგიაში განსაკუთრებით სპენსერი. კონტი გვიხატავს კატობრიობის აზროვნობის ევოლიუციის სურათს. უპირველეს ეოფლისა გამეფებული იყო **თეოლოგიური** აზროვნობა, მაშინ ადამიანს ეგონა, რომ მოვლენებს ამოძრავებს, შექმნის უზენაესი, უმაღლესი ძალები. მათი სურვილი მხოლოდ ამოძრავებს და შექმნის ყველაფერს. შემდეგ-თეოლოგიურმა აზროვნობამ ადგილი დაუთმო **მეტაფიზიკურ**, ანუ განუკენებულ

ცხოვრობს, ამ ცხოვრობის კაბატონების დროს ადამიანმა შეიმუშავა საზოგადო წარმოდგენანი, მაგ. იდეა, სუბსტანცია, არსება, და ამგვარი საზოგადო, განეკუთვნებული ტერმინებით ცნებით ცდილობდა აეხსნა და შეეგნო თვისება, ბუნება მსოფლიოისი, ნივთიერი და საერთო ქვეყნიერობისა, იმისა, რაც ჭეშმარიტად არსებობს. დასასრულ ფეხს იკიდებს ჭეშმარიტი ცხოვრობა, ჭეშმარიტი მეცნიერული შეგნება, **პოზიტივიზმი**, რომელიც მხოლოდ მეცნიერული გამოკვლევით მოვლენათა ურთიერთ შორის დამოკიდებულისა ცდილობს მოჰძებნოს ჭეშმარიტი კანონები. მართალია, პოზიტივიზმი არ გაბატონებულა, მაგრამ მომავალი, კონტის აზრით, მას ეკუთვნის. მე-XIX საუკ მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ კონტის კლასიფიკაცია, არ არის ჭეშმარიტი; ჭეშმარიტია თუ არა კონტის მოსაზრება, ჩვენთვის ამის გამოკვლევა და გამოძიებაა საჭირო არ არის. კონტის მოსაზრებაში მხოლოდ ის არის საყურადღებო, რომ მისი სურვილია წარმოადგინოს აზროვნობის განვითარება, როგორც ზრდა, როგორც ევოლიუცია. ეი უდიდესი აზრი და მნიშვნელობა კონტისა.

კონებრივი განვითარება წინ მიეძღვის საზოგადოების დამოკიდებულებათა განვითარებას. ჯერ ადამიანის კონება ვითარება, უმჯობესდება და შემდეგ კი საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე, რომ კონებრივი განვითარება აჩქარებს და ბეჭედს ადებს საზოგადოებრივ განვითარებას, მაშასადამე, ჯერ უნდა შეეისწავლოთ თუ რანაირთ იზრდებოდა ადამიანის კონებრივი ძალები და შემდეგ საზოგადოებრივი ცვლილებანი. თუ ასე არ მოვიქეცით, მაშინ ჩვენ ისეთ მუშას დავემსგავსებით, რომელიც სახნავს უკან კამეჩს მოაქცევს. მსოფლიო წესწყობილება შეიცავს ერთ მთელს, რომლის ნაწილები ურთიერთ შორის მჭიდროთ დაკავშირებულნი არიან, მაშასადამე სხვა და სხვა მეცნიერული დარგები ცდილობენ თავის შემოფარგლულ მანძილზედ აღმოაჩინოს აუცილებელი კანონები, ვინაიდგან მსოფლიო მჭიდროთ მთელს წარმოადგენს. თითოეული მეცნიერებისაგან აღმოჩენილი კანონები, საერთოთ შეადგენენ ურთიერთ შორის დამოკიდებულ განუყოფელს, რათა მიაღწიოს უმაღლესს წერტილს შეგნებისას.

თუ ჩვენ განვიხილავთ თითოეულ ხანას ადამიანის ცხოვრებისას, დავინახავთ, რომ ასეთ ხანას აქვს თავისი ელფერი, თითოეულ ასეთ ხანაში ცხოვრება წარმოადგენს ერთ მთელს, გარმონიას. სოციოლოგიის მიზანია თითოეულ ასეთის ხანაში აღმოაჩინოს დამოკიდებულება. განუყოფელი კავშირი, ერთობა საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა შორის (consensu); როდესაც თითოეული ხანისათვის აღმოჩენილი იქმნა დამოკიდებულება, კავშირი საზოგადოებრივ მოვლენათა შორის, consensus, შემდეგ სოციოლოგმა უნდა აღმოაჩინოს ზრდა, ცვლილება კაცობრიობის ცხოვრებაში საზოგადოებრივ დამოკიდებულებათა შორის.

სოციოლოგია, კონტის აზრით, საზოგადო მეცნიერებაა. ეს წმინდა მეცნიერული ცოდნაა. კონტს ეკუთვნის შესანიშნავი განმარტება მეცნიერების ხასიათისა; ზოგი მეცნიერება ცდილობს შეისწავლოს მხოლოთ კერძო თითოეული მოვლენანი; ზოგი კი ცდილობს ამ კერძო მოვლენათა შესწავლის შემწეობათ შეიგნოს საზოგადო კანონები და ის საერთო ძალები, რომელსაც ექვემდებარება მოვლენანი. სოციოლოგია ეკუთვნის უკანასკნელ მეცნიერულ დარგს, მისი მიზანია აღმოაჩინოს ის კანონები, რომელსაც ექვემდებარება საზოგადოებრივი ცხოვრება. მაშასადამე სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოებას მის შესადგენელ ნაწილებს, როგორც ერთ განუყოფელ მთელს, რათა დასასრულ მოსძებნოს მისი ცხოვრების საზოგადო აუცილებელი კანონები: რა საშუალებით უნდა

ისარგებლოს სოციოლოგმა? კონტი ამის შესახებ მშვენიერად ეტყვის: „ფენომენებს უნდა დაუთმოს ადგილი დაკვირვებას; სოციოლოგია იმავე საშუალებას მიმართავს თავის კვლევაში, როგორც ბუნების მეტყველება. ბუნების მეტყველებიდან გადმოიღო კონტმა რამდენიმე ტერმინი და იმას ხმარობს შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრებისა. **სოციალური ფიზიკა**—ცდილობს შეისწავლოს საზოგადოებრივი მოვლენანი ისე, როგორც ასინი არიან, უცვლელად; როგორც ფიზიკოსი ცდილობს შეისწავლოს ნივთიერი ბუნება; მხოლოდ **სოციალური დინამიკა** შეისწავლის საზოგადოებრივ მოვლენათა მიმდინარეობას, მათ ცვლილებას, მაშასადამე იმ ძალებს, რომელნიც მათ ამოძრავებენ. სოციოლოგი ამასთან ერთად მიმართავს შედარებითი ისტორიულ საშუალებას, შეისწავლოს საზოგადო მოვლენანი.

მეცნიერული აზროვნობის ზრდამ ბევრი რამ უკუ აგდო კონტის მოძღვრებიდან, მაგრამ ის საზოგადო აზრები, რომელიც მან ბერგვლათ დასაბუთა. საშეცნიერო საუნჯის კუთვნილებას შეადგენენ და მაზედ ახალი ცნებანი და მოძღვრებანი ადმოცენდენ.

სიმ. ავალიანი.

ალაზანი

(ინგილოური ლეგენდა)

Iქ, სადაც აღიაზლოსა და შირაქის თვალუწვდენელი მინდვრები ერთდებიან და მათს შორის ნელად მიიზლაზნება უწყინარი და მშვიდი ალაზანი, მეტად ხრიოკი, უდაბნო და მწირი ადგილებითაა მოცული. მთელი გაზაფხული და ზაფხული გამოყრუებულია აქაურობა და მხოლოდ ზამთრობით ცოცხლდება და სულს იდგამს აქაურობა, მთელი მიდამო ივსება ცხვრის აუარებელი ფარებით და მწყემსის მხიარული ღიღინი გაისმის ყველგან. სხვა დროს კი ამ უდაბნოში კაცის ჭაჭანება არ არის და მხოლოდ ალაზანი, ეს წყნარი და მშვიდი მდინარე, არღვევს სიმშვიდეს და გამუდმებულს სამარებრივ მდუმარებას. ალაზანი იქ უშველებელის სიმაღლის კლდის უფსკრულიდგან ძირს ასკდება და ვარდება. შეუდარებელია ეს ჰიგანტიური ჩახრიალა, უშველებელი მდინარე, რომელიც აქ ისე წყნარად და მშვიდათ მიმდინარეობს, რომ ადამიანი არამც თუ ხმაურობას ვერ შეამჩნევს, არამედ იმის გამოცნობაც კი გაუჭირდება თუ საით მიმდინარეობს წყალი, უცებ უშველებელს უფსკრულიდგან ძირს ეშვება და ვარდება. შეუდარებელია ეს კონტრასტი, მაგრამ უფრო შეუდარებელია თვით ჩახრიალა. ამოდენა მოყრუებულს ადგილში, ამოდენა თვალუწვდენელს უდაბნოში მისი ხმა რალაც შემზარავი და არა ჩვეულებრივია. თითქოს ღმუის, მოსთქვამს, უხმობს გამვლელს, სთხოვს გამოეხმაუროს, ადამიანის ხმა გაიგონოს და ასე მარტოდ, ეულად ნუ ამყოფებს მწირს უდაბნოში. შესაბრალისია აქ ალაზანი, შესაბრალისია მისი სპეტაკი უწყინარი ზვირთები, რომელნიც ამაოდ ასკდებიან და ეხეთქებიან სალს-პიტალურ კლდეს, მაგრამ იოტის ოდნათაც ძვრას ვერ უშვრებიან და მხოლოდ მისი უშვე-

ლებელი და დაუსრულებელი ღრიალი ღა გაისმის ირგვლივ მიდამოში და ყველას აყრუებს. ხალხი ამბობს ამ ღრიალში გაისმის ალაზნის მოთქმა ტირილი და წარსულის დიდების გლოვა.

ძველად ალაზანი დიდი ტბა ყოფილა. მთელი ის ბარი და ველ-მინდორი, რომელზედაც ტურფა წალკოტად გადაქცეული საინგილო არის გადაჭიმული, უძველეს დროში ტბათ იყო გადაქცეული. ამ ტბას რკინის სალტასავით ჰქონდა შემორტყმული ერთის მხრივ შირაქის გორაკები, ხოლ სხვა მხრებიდგან კავკასიონის მთაგრეხილი, ხალხი კი ამ ტბის ირგვლივ მოსახლეობდა და მთის ფერდობებს შეჰკედლებოდა.

ტურფა და მიმზიდველი იყო ეს ტბა და მის ნაპირს გაშენებული კოხტა სოფლები. როცა ტბა წყნარად ეყო და ანკარა მის ზედაპირზედ მთელი სოფელი და მთის მწვერვალები სარკესავით მოსჩანდნენ, ერთი ორად უფრო ჰხიბლავდნენ და აორკეცებდნენ სურათის მიმზიდველობას. მცხოვრებნი მოხიბლულნი იყვნენ ტბის მიმზიდელობით და მშვენიერებით. მაგრამ დრო გადიოდა და წყნარი და მშვიდი ტბა მრისხანედა ხდებოდა და, რაც ხანი მიდიოდა, თან და თან მატულობდა, ბობოქრობა და მოსვენებას არ აძლევდა მცხოვრებთ. მრისხანე, აბობოქრებული ტალღები ისეთის ძალით ასკდებოდა მთის კალთებს, სადაც სოფლები იყო შეფარებული, რომ თითქოს ყველაფერს წალეკვასა და ჩანთქმას უპირებდა. მცხოვრებთ მოსვენება არა ჰქონდათ, მოვიდოდა თუ არა გაზაფხული, აბობოქრებული, პირქუში ტბა სოფლებს მიეცემოდა, წალეკდა და ჩანთქავდა სოფლის ნაამაგდარს სახნავ-სათესს, სარჩო-საბადებელს. მცხოვრებნი, რაც დრო მიდიოდა, უფრო ზევით-ზევით მიიწევდნენ, მთის მწვერვლებს მიაშურებდნენ და იქა სახლდებოდნენ, მაგრამ პირქუში ტბა თითქოს უკანა სდევდა, წავიდნენ მცხოვრებნი ზევით და ისიც იმატებდა და იქ დაუკრავდა თავს.

ბობოქრობდა ტბა, ბობოქრობდნენ და. მოსვენება არა ჰქონდათ მთელს სოფლებს. სამკვდრ-სასიცოცხლო ბრძოლა შეექნათ მცხოვრებთ; ან ტბისთვის რამე უნდა ეშველათ, ან არა და გადასახლებულიყვნენ სადმე და სრულიად მოშორებოდნენ საინგილოს არე-მარეს. ფიქრში, დიდს საგონებელში ჩავარდა მთელი მოსახლეობა საინგილოსი, ტბა მოსვენებას არ აძლევდა, უძირო ზღვასა ჰგავდა, ყველაფერსა სნთქავდა და აოხრებდა. მასთან ბრძოლა შეუძლებელი ხდებოდა.

ბევრი იფიქრეს სოფლელებმა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოიგონეს და ვერ-ფერი მალამო ვერ გამოუძებნეს პირქუშს ტბას. მცხოვრებლებმა იხმეს თავისი მეფე, შესჩივლეს თავის გაჭირვება და დახმარება სთხოვეს.

— ჩვენ იქ ცხოვრება აღარ შეგვიძლიან, ერთხმად შესძახა ხალხმა, წყეულმა ტბამ წაგვართვა რაც კი რამ გვქონდა,—სახნავ-სათესი, ბაღ-მინდვრები და აი ეხლა ამ მთის ფერდობზედ შემოხიზნულებს, აქაც არ გვასვენებს და ჩვენს ჩანთქმასა ლამობს.

საგონებელში ჩავარდა მეფეც. ხუმრობა საქმე არ იყო, მთელს ქვეყანას ატიალებდა ტბა და ასე უყურადღებოთ მიტოვება ქვეყნისა შეუძლებელი იყო, რამე ნაირად უნდა მოევლო და ეპატრონნა მისთვის. მეფემ მოიწვია თავის მრჩეველები და ბჭობას შეუდგნენ. დიდის ფიქრისა და რჩევის შემდეგ ერთმა მრჩეველთაგანმა მოახსენა:

— გაეჭრათ დიდებულო მეფეო, გზა მივსცეთ ტბას და ამ რიგად გადავარჩინოთ უბედურობას მცხოვრებნი.

ყველას მოეწონა მისი რჩევა, მაგრამ საქმე იმაში იყო საითკენ გაეჭრათ და გაეკაფათ გზა ტბისათვის. შირაქის მთების გაჭრა მოუხერხებელი იყო, კავკასიონის მთაგრეხილისა, რომელიც სამის მხრიდგან ერტყა ტბას, ხომ უფრო შეუძლებელი და შეუსაბამო იყო. ხელახლივ ფიქრსა და ბჭობას შეუდგნენ, მაგრამ მოხერხებულმა პირველმავე მრჩეველმა დაარღვია სიჩუმე და მოახსენა:

— მეფეო და დიდებულნო, ჩავაგდოთ ტბაში დიდი გოგრა, შევაცუროთ შიგ შუაგულში და მერე ვუცადოთ სად გარიყავს და სადაც გაჩერდება გოგრა სწორედ იქ იქნება ყველაზედ მოხერხებული და შესაძლებელი გზის გაჭრა-გაკვალვა

მცხოვრებნიც ასე მოიქცნენ და ტბაში უშველებელი გოგრა შეაცურეს. მცხოვრებნი ისეთის გაფაციცებით და გულის ძგერით გასცქეროდნენ უშველებელს გოგრას, თითქოს მარტო მასზედ ყოფილიყვეს დამოკიდებული მათი ბედი და ილბალი. დიდხანს ახეთქებდა აქეთ-იქით დაუდეგარი ტბა გოგრას, ხან თვისს ტალღებს შუა ჩანთქავდა, ჩაყურყუმელავებდა და მთელის ხალხის იმედიც თითქოს ჰქრებოდა და შავი ზეწარი ეფარებოდა ხოლმე. მაგრამ მეორე წამს ზვირთები უმალ ზევით ამოისვროდნენ გოგრას და ხალხსაც უმალ გაუბრწყინდებოდა ხოლმე ბედკრული სახე. დიდხანს ებრძოდა ტბა გოგრას, ბევრს ცდილობდა მის ჩანთქმას და თითქოს გრძნობდა თავისს დაღუპვის მოახლოვებას, არ უნდოდა ხელიდგან გაეშვა. გოგრა კი არ ნებდებოდა და ტბის შუაგულიდგან ნაპირ-ნაპირ მიიწევდა, მიიწევდა და ძლივს არღვევდა მთელს გორებს დაუდეგარის ტალღებისას. ტბა მთელის ძალღონით ებრძოლებოდა, მაგრამ რა ექნა, გოგრა იმდენად მძიმე არ იყო, რომ ჩაენთქა და ჩაეძირა და არც იმდენად სუმბუქი, რომ ზეცაში აესროლა და შორს სადმე გადაენარცხებინა. ვერაფერი ვერ ავნო გოგრას, დაჰყარა ფარ-ხმალი, დასრულდა ბრძოლა, გაიმარჯვა გოგრამ და სწორედ იმ ადგილს სადაც დღეს ზემოხსენებული ალაზნის ჰიგანტური ჩახრიალაა ნელად მიადგა ნაპირს.

ხალხის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მყისვე შეერთდნენ ყველანი და საერთო ძალით დაიწყეს არხის გაყვანა. ტბა წამოვიდა, გადმოსკდა არხზედ, თვითვე არღვევდა და იკვლევდა ეხლა გზას, მაგრამ ჩქარა ძირს კლდიანი დახვდა და აი ეს კლდიანი დღესაც ვერ გაუპია, ის მხოლოდ მასზედ გაცოფებული გადახრიალებს, გაჰყვირის და ძირს უფსკრულში ვარდება.

ტბა თანდათან დაპატარავდა, ხალხი შვებას მიეცა და აბობოქრებული გრძნობა დამშვიდდა. ტბა იწურებოდა, იკუმშებოდა, ბოლოს გაჭრა და მორცხვ მდინარედ გადაიქცა, ისეთივე მშვიდათ და წყნარად, როგორც წინად იყო თვით ტბა. ტბის ნაკალაპოტარს მის ნაპირებზედ მშვენიერი ატეხილი ქალები გაიზარდნენ და ნაპირები დაუმშვენეს უმისოდაც მიმზიდველსა და ტურფა მდინარესა, რომელთ შორისაც ნელად, ზანტად მიიზლაზნება დღევანდელი ალაზანი.

ზ. ედილი.

ბიბლიოგრაფია

მეფე იმერეთისა სოლომონ მეII.—1810—1910—ისტორიული წერილი პროფ. ალ. ხახანაშვილისა.—წიგნის მადაზია „ცოდნა“-ს გამოცემა. თბილისი 1910 წ. 81 გვ. ფასი 25 კ.

1910 წელს შესრულდა ასი წელიწადი, რაც იმერეთის სამეფომ დაჰკარგა დამოუკიდებლობა და რუსეთს შეუერთდა. საზოგადო ჩვეულების მიხედვით მოსალოდნელი იყო, რომ ჩვენი პრესა და „ისტორიკოსები“—უფრო კი ეროვნულ თვით არსებობის მომხრენი—ამ შემთხვევას ჯეროვან ყურადღებას მიაქცევდენ და ბედკრულ სამეფოს უკანასკნელ დღეების აღწერას ვრცელ წერილ გამოკვლევებს უძღვნიდენ. მაგრამ სასტიკად მოვსტყუვდით. კენტად მხოლოდღა პროფ. ალ. ხახანაშვილის ზემოაღნიშნული შრომა მოგვევლინა და—გარდა ამისა—„არსით ხმა არსით ძახილი“... ცხადია, ეროვნული თვითშემეცნება ჯერ კიდევ არ განგვიცდია და შორს, ძლიერ შორს ვართ კულტურულ ხალხებთან შედარებით, რომლებიც, სამშობლო ისტორიის ღირსშესანიშნავს მოვლენებიდან არა თუ მარტო 100 წლის თავს—ათი-ოცის წლის თავსაც ღირსეულად იგონებენ და ამ ნაირად en masse აცხოველებენ და ზრდიან სიყვარულს და კრძალულებას სამშობლოს კულტურისადმი და მის ყოველმხრივ კვლევა-ძიებისადმი.

შრომა ბ-ნ ა. ხახანაშვილისა, როგორც თვით სათაური გვეუბნება, ეხება სოლომონ II-ის, იმერეთის უკანასკნელ გვირგვინოსნის, პიროვნებას და მის მოქმედებას. „იმერეთის უკანასკნელ მეფის მოღვაწეობაო, შენიშნავს ბ-ნი ა. ხახანაშვილი წინასიტყვაობაში,—დაკავშირებულია იმ რთულ გარემოებათა ვითარებასთან, რომლის გამონასკვამ და შემდეგ ხმლით გაკვეთამ მოუღო ბოლო დასავლეთ საქართველოს სამეფოსო. ამიტომ ჩვენ გვსურს მოკლედ გავაცნოთ მკითხველს ცხოვრება სოლომონ II-ის მეფისა და მივუწყოთ ტანჯულს გვირგვინოსანს იმ საწყაოთი, რომლის ღირსიც გახდა იგი მიუდგომელ ისტორიის მსჯავრის წინაშეო“. ამ მიზნით ბ-ნი ავტორი თავში გვამცნევს—თუ რა პირობებში მოუხდა სოლომონ II-ს ტახტზე ასვლა და ხელოვნურად აღგვიწერს იმ საშინელს შუღლს და მტრობას, რომელიც სოლომონ I დიდის გარდაცვალების († 1784 წ.) სუფევდა იმერეთში სამეფოს ტახტის ორ პრეტენდენტთა—დავით გიორგისძის და დავით არჩილის ძის (სოლომონ II-ის სახელწოდება გამეფებამდის)—და მათ მომხრეთა შორის. შემდეგ, მოგვითხრობს რა სოლომონ II-ის მეფობას, ავტორი ვრცლად გვიხასიათებს მთავარმართებლების (ციციანოვ-გუდოვიჩ-ტორმასოვის) ორპირიან პოლიტიკას და გვიჩვენებს თუ როგორი გულუბრყვილობით „იმერლები“ ენდობოდენ რუს მოხელეების ყოველივე ლიტონ სიტყვას და პლატონიურს დაპირებებს. ხელოვნურად გვისურათხატებს ბ-ნი ა. ხახანაშვილი მეფის დატყვევებას (1810 წ. მარტის თვეში) და ამასთანავე ღირსეულად ამკობს სამშობლოს მოღალატე თავადებს (იხ. გვ. 24, 30, 31...). ასეთივე ხელოვნურ სურათს გვიშლის თვალწინ ბ-ნი ავტორი, როდესაც გვიბაასება მეფის—მოსამსახურის ტანისამოსში—თბილისიდან გაქცევის შესახებ (11 მაისს 1810 წ. და შემდეგ გაგვაც-

ნობს მის მრავალტანჯულ ცხოვრებას ახალციხეში, არზრუმში, ტრაპიზონში და უკანასკნელ მწარე სიკვდილსაც (7 თებ. 1815 წ. ქ. ტრაპიზონში). წიგნის ბოლოში ბ-ნი ა. ხახანაშვილი მოგვითხრობს 1810 წლიდან რუსის ჯარების წინააღმდეგ იმერეთში გაჩაღებულ პარტიზანულ ომებზე (შეტაკებებზე), რომლის მასულდგმულებელი (რასაკვირველია, შორიდან) რამოდენადმდე სოლომონიც იყო, და იქვე იძლევა მოკლე ცნობებს სამეფო კარის (იმერეთის) მოხელეებზე და მათ ფუნქციებზე.

როგორც სჩანს, შრომა ბ-ნი ა. ხახანაშვილისა ცალმხრივია, ვინაიდგან ხატავს მხოლოდღა პოლიტიკურ მხარეს სოლომონ II-ის მოქმედებისას. მაგრამ რომ დირსეულად დაფასდეს ტანჯულ გვირგვინოსნის პიროვნება და სამართლიანად მიეწყოს მას იმ საწყალოთი, რომლის ღირსიც მართლადაც არის იგი მიუდგომელ ისტორიის მსჯავრის წინაშე, ჩვენის აზრით, საჭიროა ვრცლად დახატვა მის მოღვაწეობის დანარჩენ (გარდა აღნიშნულის) მხარეებისაც: ადმინისტრატიულის, საეკლესიოსი, განმანათლებელის და სხვა. *) იქვს გარეშეა, ამას თვით ჰატივცემული ჩვენი პროფესორიც კარგად გრძნობს, როდესაც წინასიტყვაობაში ლაკონიურად გვაფრთხილებს—სოლომონის ცხოვრებას მოკლედ გაგაცნობო.

გვსურს კიდევ ერთი შენიშვნა. სამშობლოს ხსნის წადილით გატაცებულის, მაგრამ ამავე დროს შეუბრალებელ პიროვნებით ყოველმხრივ შებოჭვილის სოლომონ II-ის სულიერს დრამას ბ-ნი ალ. ხახანაშვილი ანალიზის ნეშტარს ღრმად ავლებს. მხოლოდ კი, სამწუხაროდ, ამ ამ ანალიზში მივიწყებულია ერთი რამ, სახელდობრ: არ არის ნაჩვენები თუ როდის და რა მიზეზით სოლომონ II შეიქმნა რუსეთთან შეერთების შეურიგებელი მოწინააღმდეგე. ჩვენის აზრით, სოლომონი თავდაპირველად რუსეთთან შეერთების მტკიცე მომხრე იყო (უნიის სახით), მხოლოდ კი შემდეგ, როდესაც დროთა მსვლელობაში de facto დარწმუნდა რუსების თვალთმაქცურ პოლიტიკაში (ქართლ-კახეთში და სამეგრელო-გურიაში), მან უარჰყო პირვანდელი თვისი შეხედულება საგანზე და ამ უარისყოფაში კიდევაც დალია თვისი მრავალტანჯული სული.**)

სასურველია ბ-ნ ალ. ხახანაშვილის წიგნაკის ხშირი გავრცელება ჩვენში და პირველ ყოვლისა კი ჩვენებურ ქალაქ-დაბა-სოფლების თუ სკოლების წიგნსაცავ-სამკითხველოებში. მშვენიერის ენით, წარმტაც სურათებით დაწერილი და ამასთანავე უტყუარ საბუთების შემოტანით დადასტურებული შრომა პროფ. ალ. ხახანაშვილისა დიდის ხალისით იკითხება.

სამ. ცომაია.

P. S. არ შეგვიძლიან არ მივაქციოთ ჩვენებურ მელპომენას ტაძარში მემსხვერპლეთა ყურადღება დრამატიულ ეფექტებით აღსავსე სოლომონ II-ის ცხოვრებას. დატანჯულ მეფის ფატალური პიროვნება დიდებული მასალაა დრამატიულ თხზულების შესაქმნელად. ს. ც.

*) მასალები ამ გვარ შრომისათვის ბლომად მოგვეპოვება წიგნთსაცავ-მუზეუმებში, როგორც თბილისში, აგრეთვე თბილისის გარეშედაც,—უფრო კი პეტერბურგ-მოსკოვში,—ასე რომ მთელი ტომები შესაძლოა დაიწეროს..

**) თუმცა სოლომონ II თვის მეფობის უკანასკნელ წლებშიაც რუსეთთან უნიის მომხრე იყო (როგორც ამას ოფიციალური საბუთები მოწმობენ), მაგრამ ეს მომხრეობა მხოლოდღა იძულებითი კომპრომისი იყო ყოველის მხრით სასოწარკვეთილის მონარხისა, რომელიც პირველ მარჯვე შემთხვევისათანავე მზად იყო განდგომოდა ამ უნიას.

მოწერილი ამბები

სწავლა-განათლების საქმე აჭარაში

ძველი საქართველოს არე-მარეში, სწავლა-განათლების მხრივ არც ერთი კუთხე არ არის ისე ჩამორჩენილი, როგორც ამ ჟამთა აჭარა. გული მოგიკვდება მგზავრს, ბათომიდგან ახალციხისკენ 150 მანძილზე აჭარა-ახალციხის გზა-ტკეცილით მიმავალს, როდესაც მრავალ რიცხოვან, ბუნებით დავიდოგებულ, სიმშვენიერით შემკულ აჭარის 45000 მცხოვრებში, მხოლოთ ორ-სამ სკოლას შეხვდებით. საუბედუროთ ჩვენდა ამ ორ-სამ სკოლასაც ცარიელს ხედავთ; მათში შეიძლება წლის განმავლობაში 7—10-მდე მოსწავლე დადიოდეს და ისიც დროგამოშვებით, რომლებშიაც უმეტესობა ადგილობრივ ვაჭარ ბერძენთა შვილებია. ამ სამ სკოლაში ორი ორკლასიანია და ერთი 1 კლ. მთავრობას მათი შენახვა წლიურად არა ნაკლებ 3000 მანეთისა უჯდება. ეს სკოლები მხოლოთ ქალაქზე ითვლება აჭარაში სკოლებათ, მხოლოთ ხალხისთვის უსარგებლოა, რადგანაც დღეს ხალხი სხვა და სხვა დამბრკოლებელ მიზეზთა გამო ვერ სარგებლობს ამ სკოლას. უმთავრესი მიზეზი ცხადია მასწავლებლების ადგილობრივ ენის უცოდინრობაა. აქ მასწავლებლობენ ბერძნები, რომელთაც ქართული ენის არაფერი გაეგებათ, რის გამო მათთან უმეტესთა ბერძნების შეგირდების ნახავთ. როცა აჭარაში მასწავლებლად ქართველები იყვნენ, მაშინ მოწაფეების რიცხვიც შედარებით დღეანდელზე მეტი იყო. მაგალითათ შეგვიძლია მოგიყვანოთ ხუდოს და ქედის ორკლასიანი სკოლები. აქ ხშირათ შეხვდებით ისეთს კაცს, რომელსაც ბარათი მიუღია ნაცნობიდგან და წამკითხავედს 3—4 საათს დაეძებს. თუმცა აქ სიუკეთეების განმავლობაში ხალხმა დიდი წამება გამოსცადა და სარწმუნოებაც შეიცვალა, მაგრამ დედა ენა აქ ისევ შეურყეველად არის ხალხში დარჩენილი. მთელ აჭარაში ამ ჟამად უმეტესათ ქართული ენაა ხმარებაში და არა სხვა ენა, როგორსაც ზოგიერთები ცდილობენ დაამტკიცონ. აქ თათრულათ დაბარაკს გაიგონებთ უმეტესათ ბეგების და მოდების ოჯახებში, რომლებსაც მიმოსვლის დროს შეუსწავლიათ ეს ენა. რაც შეეხება სახლში მომუშავე ხალხს იმათ კი კარგათაც არ გაეგებათ ამ ენაზე დაბარაკი. ქალები, როგორც კარ ჩაკეტილი მცხოვრებნი, სრულიათ მოკლებულნი არიან თათრულ ენას. აქედგან აშკარაა, რომ ბავშვებს შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოთ ქართულ ენაზე და არა სხვაზე.

როდესაც ერთ მასწავლებელს ქართული ენის სწავლებისთვის მოდებმა სჩივარი აუტეხეს, ისინი ამტკიცებდნენ რომ აჭარლების სამშობლო — ენა თათრულია და არა ქართული. სამოსწავლო მთავრობიდგან გამოგზავნილმა კომისიამ, ამ საქმის გამორკვეკის დროს, სკოლაში მოწაფეებს თათრულათ შეკითხვები მისცა უბრალო საუბრის დროს, მაგრამ ამ უკანასკნელი მათგან არავითარი პასუხი არ მიუღია, ვინადგან თათრული ენასა არა გაეგებოდათ რა.

ამ რიგათ თუმცა მათი საჩივარი უსაფუძვლო დარჩა, მაგრამ საქმით კი ამ ჟამთა ისინი არიან გამარჯვებულნი, ვინაიდგან იქ უფალა ქართული არ მცოდნე პირები მასწავლებლობენ და სკოლაც ცარიელია. ხალხის უმრავლესობიბ სულის კვეთება ქართული ენისადმი გამოიხატება, და მოზდილებიც ცდილობენ, ქართულად წერა კითხვის შესწავლას, თუ კი ეს ადგილობრივ მოსახერხებელი გახდება.

დანარჩენი მრავალ-რიცხოვანი სოფლები სრულიად უფერადდებოთ არის მიტოგებული და 10 სოფელში ერის რუსულ-ქართველის წერა-კითხვის მცოდნეს ვერ შეხვდებით.. მათ ყოველ სოფელში ჯამესთან პაწია ბნელი ოთახები აქვსთ მიშენებული, სადაც რამდენიმე ბავშვებს იატაკზე დამსხდარი არაბულ-ყორანნის სწავლებაში 7—8 წელს აყონებენ ხოჯები, მაგრამ შედეგს ვერ დებულობენ.

ბოლო შეგიწუხდება კაცს, როდესაც ხედავ ამ ველებერთელა ისტორიულ მთა-ბორიან წინაპართა სისხლით მორწყულ ადგილებში სიბნელით მოსილ ხალხს, რომელთა მოზარდი ახალ-თაობა ცხოვრების უმადურობას კამდელს სალამურის სტვენით ანიშნებს. აქა იქ ხედავთ ძველ ისტორიულ ნაშთებს: სიმაგრეებისა, ეკლესიებისას და ჯერ კიდევ უფნებლათ-მეურ-ეველს შეთორმეტე საუკუნოებში გაკეთებულ ხიდებს.

ველა ესენი და მასთან აჭარლების ცოცხალი კამომეტყველება მოწმობს, რომ თუ ამ სალხს დახმარება ადმოუჩინეს ადრე მომავლში სწავლა-განათლებით არ ჩამორჩება სხვა ხალხს. მაგრამ სადაა ველა?

ბოლო წლის ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. კრებაზე გამოტანილი დადგენილება აჭარაში სკოლის გახსნის შესახებ საუბედუროთ ეკუბედებულ იქმნა ჯერ ჯერობით. ეფერალსათვის აშკარაა, რომ აჭარლებს სიდარიბისა და სიშორის გამო არ შეუძლიათ ისარგებლონ ბათომში არსებულ ქართული სკოლებით. ძალიერ საჭიროებს ასეთს სკოლას ზემო აჭარა, რომელიც სრულიათ მოწეკტილია ქალაქს მოკლებული და სკოლის. ასეთ ადგილათ შეი ძალებად დაგვესახელებინა ს. დორჯომი,ან დიდი აჭარა. თუმცა სკოლა 1—3 წლის განმავლობაში კრიზისს განიცდის, მაგრამ ცხადია ადრე საკრძნობელ დალს დაჭვრავდა აჭარას და შემდეგ სხვა სკოლებისთვის ხალხს მოამზადებდა. ამ ადგილ ქ. შ. წ -ბ. ბ. ს. ადრე მომავალში შეუდგება განხორციელებას ამ დიად მნიშვნელოვან საკითხისას, როგორიც არის ქართული სკოლა აჭარაში და მით საშუალებას მისცემს რამდენიმე 1-0000-ბით უგზო-უკვლოთ სწავლა განათლებას მოკლებულს ახალ-გაზდობასა; რომ მათ სიბნელეს თავი დაანებონ.

ბ. ოცხანელი.

მასწავლებლები

ჩემი შთაბეჭდილებანი

(წერილი გურიიდან)

თუმცა მასწავლებელი არა ვარ, მაგრამ: ასე თუ ისე, მაინც ვიცი რა მოვალეობა აწევს მასწავლებელს, როგორი უნდა იყენენ და როგორი არიან ზოგიერთი მათგანი

მასწავლებლის მოვალეობა საზოგადოთ და მით უმეტეს სოფლის მასწავლებლისა დიდია.

ჩვენი მომავალი ახალთაობის ბედ-იბადალი მათ ხელშია.

ზოგიერთ კერძო პირსაც და თვითონ მასწავლებელსაც, ჭეშმარიტია: მასწავლებელის ვალდებულება არის მოწაფეს წერა-კითხვა ასწავლოს, მთავრობის მიერ ნაჩვენები „პროგრამა“ კანონს, მორჩა და კათავდა. მაგრამ თუ ზნეობრივი, ადამიანური მხრით შეეხედავთ ამ საკანს, დავრწმუნდებით, რომ ბევრი ნაკლი აქვს ჩვენებურს მასწავლებლებს.

მასწავლებელი კარდა იმისა, რომ მოწაფეს კაკვეთილი დაუზეპირებინოს, ვალდებულია კანონა ბავშვები ბუნებას, ცხოვრებას, ზრდილობა-პატიოსნებას; აუსწავლა ადამიანის ვალდებულება ცხოვრებაში; სოფლის სკოლის დასრულების შემდეგ უჩვენოს გზა, ადუძრას გულ-

ში მოწაფეს სწავლის წყურვილი და შეაყვა-
როს კერძო წიგნების კითხვა, რაც თავი და
თავია ადამიანის თვის. რადგანაც ის მოწაფე,
რომელსაც თავიდანვე შეუყვარებია კითხვა-მე-
ცადინობა, იშვიათად იკარგება ცხოვრებაში და
და წიგნები, როგორც საუკეთესო ამხანაგი,
ადამიანთან ხდის მას.

ეს კარგათ იცის კარგმა, შეგნებულმა მას-
წავლებელმა და ასეც იქცევა. იწერს მოწაფე-
ებისათვის საუმწვილო ჟურნალებს: „ჯეჯილს“,
„ნაკადულს“; იძენს საუმწვილო წიგნებს ამა
თუ იმ საგანთხვლოებიდან, გინდა კერძო პი-
რებიდან; თავისუფალ დროზე უკითხავს მათ,
ან სახლში ატანს წასაკითხათ. ჭმართავს საუ-
მწვილო წარმოდგენებს, რასაც ძალიერ დიდი
მნიშვნელობა აქვს მოწაფეებისათვის: ისინი
ჭატარაობიდანვე ეჩვევიან სცენაზე გამოსვლას.
მის მოწყობას, ეჩვევიან საზოგადო საქმეს:
მაგრამ, საბუნებრივად, ასეთი მასწავლებლები
ჯერ-ჯერობით ძალიან ცოტანი არიან, თუმცა
არიან კი.

მართალია ჟურნალების გაშოწერას და წიგ-
ნების შეძენას ფული უნდა, ჩვენში კი მასწავ-
ლებლებიც და მოწაფეებიც ნიღარიბეს გან�d-
ლან, მაგრამ „თუ გული გულობს, ქაღა ორივე
ხელით იშშეგ“-ო ნათქვამია. ყველა მასწავ-
ლებელს შეუძლია შეაგროვოს ნაცნობებში ხუ-
თი და ათი მანეთი. მოწაფეებსაც შეუძლიათ
მოაგროვონ ოთხი შაური, ამნაირათ ჟურნა-
ლების არსებობასაც ხელს შეუწყობს და მო-
წაფეებსაც საგანგებლობას მოუტანს. მაგრამ
ე�ეგ ეს ასე ჯერ-ჯერობით არ ხდება.

მე ვიცი ისეთი მასწავლებელიც, რომელმაც
მოწაფეებს ოკტომბერში რომ წიგნების საეთ-
�ელი ფული გამოართვა, წიგნები ჯერაც არ
უნდია!! ასეთი დანაშაულობა მასწავლებლი-
სათვის შეუნდობელია, რაც უნდა დარიბეულათ
და ხელმოკლეთ ცხოვრობდეს ის. ამის შემ-
დეგ ასეთ მასწავლებელს რა უნდა მოვასთხო-
ვოთ, ან რაღა საგანგებლობა უნდა მოუტანოს
მას მოწაფეებს?! უწიგნოთ სწავლა ხომ ძნე-
ლია... ვიცი კიდევ ისეთი მასწავლებლები,
რომლებიც გაზეთებს იწერენ და ერთი მეო-
რეს კი არ აკითხავენ. ორივე ერთ სკოლაში
არიან მასწავლებლათ. რა უნდა მოგასთხოვოთ,
ან როგორი ახალი ითობა უნდა აღუზარდონ
ამისთანებმა ხალხს?!.

ამასთანავე ზოგიერთმა მასწავლებელმა არც
კი იცის როგორ დაიწერაოს თავი მოწაფეებ-
თან, მან თუ იეგორა, რაც ძალი და ღონე აქვს,
ფეხები აბრახუნა, ბავშვებს სცემა, ეს მას კარ-
გი მასწავლებლობა ჭგონია. კარგი შეგნებული
მასწავლებელი კი, რომელსაც შეუსწავლია
ბავშვის სულის მდგომარეობა, ასე არ იქცევა.
ის უწინარეს ყოველისა თავისი ქცევით და
ალერსით ბავშვებს თავს აყვარებს. მოწაფეს
კი არ უნდა ეშინოდეს მასწავლებლის, არამედ
ეხათრებოდეს მისი. ეი როდის შეუძლია სწავ-
ლებამ კეთილი ნაყოფი გამოიღოს.

ვიცი აგრეთვე ასეთ შემთხვევაც: მასწავ-
ლებელმა მოწაფე იატაკზე დაახეთქა. მოწაფე
მთელი დღის ანმავლობაში ტიროდა. როცა
მასწავლებელს გული დაუმშვიდდა, ეჩვინა მი-
სი ასეთი სიტიელი, მოწაფესთან ბოდიშს
მოხთაც მოინდომა. როგორა ხარო ჭკითხა
მას—მაგრამ მოწაფემ მას ხმა არ გასცა.
როგორც სჩანს თავმოყვარეობა მოწაფესაც
ჭქონია. ასეთი მასწავლებელი მოწაფეს არ
შეუყვარდება.

— Давайте кнутъ-о გაიძახოდა ამ რამ-
დენიმე წლის წინეთ ერთი მასწავლებელი, რა-
ცა გული მოუგიდოდა. მთარახს მიარომეკვლინე
და ისიც იმდენს სცემდა ერთსა და მეორეს სი-
ნამ ზურგზე ბოლს არ აადენდა. დღეს მისი
მოწაფეები დიდრონებია და, როცა შეხვდებიან
მის ეოფილს მასწავლებელს, ასე ამბობენ: (რა-
თქმა უნდა ზოგიერთები) მაგის მთარახები
ახლაც მახსოვსო და სხვა.

ეეთ დრო, როცა სხვებთან ერთად მასწავ-
ლებლებიც აფუსფუსდენ, ხმა ამოიღეს აბი-

რებდნენ სკოლაში ახალი სხივის შენათებას. თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მაგრამ ჟამთა ვითარებამ და ცხოვრების ჩარხის უკუღმა დატრიალებამ, სხვებთან ერთად, ისინაც ჩაჩუმა და მგონია ზოგი მათგანი სამუდამოდაც...

მაშ რას ნიშნავს ეს თუ არა სამუდამო დაძინებას, როდესაც სწავლების საკითხი სოფლის მასწავლებლის მიერ იშვიათად არის წამოყენებული დღეს ამა თუ იმ გაზეთში კასარკვევად და გასინთლებლად? კამოდის „განთლება“ რომელიც სპეციალურად მასწავლებლების საკითხის გარკვევას და გაშუქებას, ამათი მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. მაგრამ ასეთი ჟურნალი, მიუხედავად იმისა რომ ათი დირს, ეს მასწავლებელში ხუთს არ ეკუნება გამოწერილი. არავითარი კურსების გამართვა, არავითარი ეკსკურსია, შეერთებული სხდომის მოწვევა და მოლაპარაკება თავიანთ ეერ-ეარამზე, სამასწავლო სახელმძღვანელოების გაუმჯობესობაზე... ნუ თუ უველა ეს არ უნდა ანტერესებდეს მასწავლებელს?!..

სწავლის საქმეც ხომ ერთნაირად არ არსებობს სოფლის სკოლებში. მაგალითად: ზოგან პირველ განყოფილებაში სრულიათ არ ასწავლიან ლექსიკურ განყოფილებას, რაც ჩვენის აზრით ძალიან კარგია. რადგანაც მოწაფეს ჯერ ქართული კითხვა არ უსწავლია, საგნების სახელი მშობლურ ენაზე არ იცის კარგად, თქვენ კი რუსული ენიდან ასწავლოთ, რაც პატარა მოწაფეს თავში დომხალივით ირევა. პირველ დაწყებით დედ-ენაზე სწავლება ასე განინჯეს სახელმწიფო სათათბიროშიც კი მიიღო, სიბჭომ თუ დაამტკიცა, ჩვენს მასწავლებლებს კი არ სჯერარო ასეთი სწავლების მავნებლობა, მაგრამ ალბათ უფროსების შიშით...

ზოგიერთის აზრით უფროსი მასწავლებელი ის არის, ვინც პირველ ნაწილ „დედა-ენის“ დეკემბერში კაითავებს და მეორეს დაიწყებს. ამხანართა პირველ დედ-ენის ზოგი დეკემბერში ათავებს, ზოგი თებერვალში და სხვა.

რატომ არ შეიძლება ერთ სწავლების წესი სოფლის ორ კლასიან სკოლებში უველგან ერთნაირი იყოს, როგორც სამინისტროში ისე სამრევლოში, სახელმძღვანელოებიც თითონ მასწავლებლებმა აირჩიონ, რომლებიც უველაზე უფრო კარგათ არის შედგენილი და შემუშავებული.

ჩემის აზრით მეოთხე და მეხუთე განყოფილებისათვისაც, რუსული ქრესტომატია ადგილობრივად შედგენილი აჯობებს, ვინემ რუს ბავშვებისათვის რუსეთში შედგენილი. მათი ზნე-ჩვეულება, ბუნება და სიტყვიერების თეორია სულ სხვა, ვინემ კავკასიელებისა. ჯერ კი აქ შედგენილი არა გვაქვს, მით უმეტეს მეხუთე განყოფილებისათვის.

შარშან ზემო გურიის მასწავლებლებმა ერთნაირი გამოცდა შემოიღეს: დადიოდნენ მახლობელ სკოლებში და გამოცდა-კადაცემის დროს შენიშვნებს თვითეული მათგანი ქადალდზე იწერდა. შემდეგ კი უზიარებდნენ ერმანეთს ამა თუ იმ ნაკლს და უსწორებდნენ. რამაც კარგი ნაყოფი მოიტანა. იმედია წელსაც ასე მოიქცევიან და მათ მაგალითს სხვებიც მიბაძავენ.

ბევრი, კიდევ ბევრი რა-ზე თქმა შეიძლება ამ დიდ საკითხის შესახებ, მაგრამ ამის განთება და გამორკვევა, უფრო იმათი საქმეა. ვინც საქმეს ახლოს უდგანან და იცნობენ; მაგ. იმედი მაქვს დანარჩენს თვით მასწავლებლები იტყვიან, ამიტომ ეგენ ხმა თავიანთ მდგომარეობისა და სწავლა განთლების საქმის გაუმჯობესებაზე, რადგანაც დღეს უველანი დარწმუნებულნი უნდა ვიყენეთ, რომ თუ არა თვითონ, თავისთავათ, ზევიდან არავინ არაფერს გვაწყალობებს...

ს. რემონიძე.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. ზოლაძე.

გამოვა 1911 წ. საუმაწვილო ჟურნალი

ნ ა კ ა დ უ ლ ი

წელიწადი მეშვიდე

ხელის-მოწერა მიიღება ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციაში. (ოლოფინის ბრილიანტზე ზუბალაშვილის სახლში № 8. და წერაკითხვის გამავრც. საზოგადოების მაღაზიაში, ბაგიანზე. ქარვასლა)

1911 წლის 1-ლ იანვრიდან 1912 წლის 1-ლ იანვარამდე. წლიური ხელის-მოწერლებს მიეცემა: **24** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის. **36** სურათი, რომელიც ნაკადულის წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ კვირეულ ჟურნალზე

„ცხოვრება და ხელოვნება“

ფასი: წლიურად 5 მან. ნახევარი წლით 2 მან. 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

რედაქცია: თბილისი, სათავად-აზნაურო ქარვასლა თეატრის გვერდზედ, ტელეფონი № 862.

მისამართი: *Тифлисъ, Дворцовая, д. дворянства, рядомъ съ театромъ.*

Редакція **„Цховреба да Хеловнеба“.**

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ლორთქიფანიძე.

ОТКРЫТА ПОДПИСКА на 1911 годъ

на газету

„Закавказская Рѣчь“

Годъ изданія третій.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

съ доставк. на домъ:	Въ Тифлисѣ	Въ провинц.
На годъ	6 руб.—коп.	8 руб.—коп.
„ полгода. . . .	3 руб. 50 коп.	4 р. 50 к.
„ 3 мѣсяца . . .	2 руб. — коп.	2 р. 25 к.
„ 1 мѣсяцъ. . .	— 70 коп.	— 75 к.

АДРЕСЪ: Тифлисъ, редакція газ. „Закавказская Рѣчь“ Эриванская площадь, домъ Харазовой.

Для телеграммъ: *Тифлисъ, „Закавказская Рѣчь“.*

Редакторъ Р. Д. Бебіевъ.

Издатели: { Кн. Г. І. Амираджиби. П. А. Готуа.

1911 წლის 10 იანვრიდან გამოვა ორშაბათობით დიდი ლიტერატურული და პოლიტიკური გაზეთი

— თ ე ბ ი —

წლიურად 2 მან. 50 კაპ. ნახევარი წლით 1 მან. 50 კაპ. 3 თვით 1 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ.

დროებით ადრესი: Эриванская площ. д. Харазовой.

რედაქტორ-გამომცემელი გრ. დიასამიძე

Открыта подписка на 1911 г.

на еженедѣльную общественно-педагогическую газету

ШКОЛА И ЖИЗНЬ

съ ежемѣсячными приложеніями.

Въ книжкахъ приложеній, которыя за годъ составятъ около 80 печатныхъ листовъ, будутъ помѣщаться цѣльныя произведенія русскихъ и иностранныхъ авторовъ, старыя классическія, или выдающіяся новѣйшія, или касающіяся наиболѣе интересныхъ вопросовъ текущаго времени. Три книжки приложеній будутъ посвящены памяти Л. Н. Толстого, Н. И. Пирогова и работамъ извѣстнаго нѣмецкаго педагога Кершенштейнера. Въ числѣ приложеній—три сборника, спеціально посвященные нашей низшей, средней и высшей школѣ.

Газета издается по слѣдующей программѣ: 1) Руководящія статьи по вопросамъ: а) организаціи школы и школьнаго законодательства, б) общепедагогической теоріи и практики. 2) Статьи по различнымъ вопросамъ образованія и воспитанія. 3) Фельетонъ, характеризующій по преимуществу внутреннюю жизнь школы или популяризующій различныя стороны знанія. 4) Обзоръ печати. 5) Хроника образованія: дѣятельность законодательныхъ учрежденій, правительства, мѣстнаго самоуправленія и т. д. 6) Хроника школьной жизни въ Россіи и за границей. 7) Обозрѣніе спеціальной литературы русской и иностранной. 8) Справочный отдѣлъ съ подъотдѣломъ отвѣтовъ редакціи на запросы подписчиковъ.

Въ газетѣ принимаютъ участіе, въ числѣ прочихъ, слѣдующія лица:

Проф. М. М. Алексѣенко, акад. В. М. Бехтеревъ, проф. И. И. Боргманъ, И. П. Бѣлоконскій, проф. В. А. Вагнеръ, В. П. Вахтеровъ, акад. В. И. Вернадскій, В. А. Гердъ, проф. Н. А. Гредескулъ, проф. Д. Н. Гриммъ, Я. Я. Гуревичъ, проф. В. Я. Данилевскій, Я. И. Душечкинъ, Е. А. Звягинцевъ, проф. П. Ф. Каптеревъ, проф. М. Я. Капустинъ, проф. Н. И. Карѣевъ, проф. М. М. Ковалевскій, акад. А. Ф. Кони, проф. Н. И. Ланге, А. Л. Липовскій, проф. И. В. Лучицкій, прор. А. А. Мануйловъ, П. Н. Милюковъ, Н. Ф. Михайловъ, проф. А. П. Нечаевъ, акад. А. Н. Овсянико-Куликовскій, Ф. Ф. Ольденбургъ, А. Н. Острогорскій, А. В. Петрищевъ, И. И. Петрункевичъ, А. С. Пругавинъ, Н. А. Рубакинъ, М. А. Стаховичъ, І. В. Титовъ, Д. И. Тихомировъ, графъ И. И. Толстой, И. В. Тулуповъ, проф. Г. В. Хловинъ, В. П. Чарнолускій, проф. Г. И. Челпановъ, Н. В. Чеховъ, П. М. Шестаковъ, А. И. Шингаревъ, акад. И. И. Янжулъ и многіе другіе.

Изъ иностранныхъ ученыхъ, между прочимъ, обѣщали свое участіе въ газетѣ слѣдующія лица: проф. Рене Вормсъ, Шарль Жидъ, извѣстный французскій педагогъ Бюссонъ, фе-Гревъ и др.

Редакція газеты имѣетъ корреспондентовъ въ разныхъ городахъ имперіи и спеціальныхъ корреспондентовъ въ Г. Совѣтѣ и Г. Думѣ.

Подъ общей редакціей Г. А. Фальборка.

Подписная цѣна:	на годъ	на 6 м.	на 3 м.
Съ доставкой и пересылкой въ города имперіи	6 р.	3 р.	2 р.

Принимается подписка на два мѣсяца—съ 1-го ноября до конца года—1 руб.

Для учащихъ въ начальныхъ училищахъ допускается разсрочка по 1 р. за каждые 2 мѣсяца. Лица, подписавшіяся до 1-го января 1911 г., получатъ газету въ 1910 г. безплатно.

Газета выходитъ съ ноября мѣсяца. Пробные №№ высылаются безплатно.

Подписка принимается: въ Главной Конторѣ, Петербургъ, Кабинетская, № 18, тел. 547—34, во всѣхъ почтово-телеграфныхъ конторахъ Россіи и въ книжныхъ магазинахъ.

Объявленія принимаются въ Главной Конторѣ газеты. Цѣна объявленій за строку иноннарели на первой страницѣ 60 коп., позади текста—30 коп.

Издатели: *Н. В. Мѣшковъ и Г. А. Фальборкъ.*

ელექტრო-ბეჭდავი სტამბა, ფასიანი მ. ლოსაბერიძისა, თბილისი ქუჩა სალეთ. ხახლი № 5.